

ალმოაზინე საქართველო DISCOVER GEORGIA

საქართველო – ღვინის აკვნა
GEORGIA – CRADLE OF WINE®

ქეთი მელუა – ექსკლუზიური ინტერვიუ
KATIE MELUA – EXCLUSIVE INTERVIEW

მეფე კომა
KING KOMA

www.sakpatenti.org.ge

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“
პერიოდული გამოცემა

IP საქართველო

გამოდის სამ თვეში ერთხელ

© საქპატენტი, 2013



PERIODICAL PUBLICATION
OF NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA “SAKPATENTI”

IP GEORGIA

PUBLISHED QUARTERLY

© SAKPATENTI, 2013



ირაკლი ღვალაძე

საკპატენტის თავმჯდომარე

IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN

Dear reader,

We are introducing the 5th edition of our periodical magazine *IP Georgia*. The slogan of this edition is "Discover Georgia". It has a presentation character, since the large number of the magazine is intended to be disseminated in Geneva at the Georgian event to be held during the WIPO General Assembly. Accordingly, in this edition we made a special effort to provide all the important information concerning Georgia, a country with the ancient culture and traditions, rich in intellectual property.

The geographical location of the country considerably determined the fact that Georgia is a centre of ancient civilization. Since ancient times our country was known for goldsmithery and other metal working. Facts confirming this are found abundantly in historical sources and mythology. The evidence on the Golden Fleece and Prometheus reveals that the Georgian people had a keen interest in technological progress from the ancient period. Along with this, favourable weather conditions facilitated the development of agriculture, and according to numerous historical sources, Georgia is considered the homeland of wine. Apart from the well-known grape varieties, up to 500 other indigenous grape varieties have survived in Georgia. Exactly due to the unique weather conditions, Georgian protected areas and remarkable landscapes are completely different from one another. Our ancestors have created numerous architectural monuments, the design and execution technique of which are also quite different and unique. That is why this special edition of the magazine presents articles on Georgian wine, cheese, choreographic and cinematographic works, protected areas, cultural treasures as well as Georgian inventors.

We are proud to present this edition of magazine and are looking forward to host you in Georgia to make you feel the slogan of the edition and to "Discover Georgia".

ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ ჩვენი პერიოდული გამოცემის ჯუჟნალ „IP საქართველოს“ რიგით მე-5 ნომერს. ამ ნომრის სლოგანია „აღმოაჩინე საქართველო“ და ის საპრეზენტაციო ხასიათისაა, რადგან მისი უმეტესი ნაწილი გავრცელდება ჟენევაში, ისმო-ს გენერალურ ასამბლეაზე გამართულ საქართველოს საღამოზე. შესაბამისად, განსაკუთრებულად შევეცადეთ წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილი ყოფილიყო ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოზე – უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაზე, რომელიც მდიდარია ინტელექტუალური საკუთრებით.

ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ საქართველო უძველესი ცივილიზაციის კერაა. ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე ცნობილი იყო ოქროსა და სხვა ლითონების დამუშავებით. აღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად მოიპოვება ისტორიულ წყაროებსა თუ მითოლოგიაში. ცნობები ოქროს საწმისისა და პრომეთეს შესახებ ცხადყოფს, რომ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ჰქონდა სწრაფვა ტექნოლოგიური პროგრესისკენ. გარდა ამისა, ხელსაყრელი კლიმატური პირობები ხელს უწყობდა მინათმომქმედების განვითარებას და, არაერთი ისტორიული ცნობის თანახმად, საქართველო მიჩნეულია ღვინის სამშობლოდ. ყველასთვის კარგად ცნობილი ყურძნის ჯიშების გარდა, საქართველოში დღემდე შემორჩენილია 500-მდე ჯიშის ყურძენი. სწორედ უნიკალური კლიმატური პირობების გამო, საქართველოში არსებობს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული დაცული ტერიტორიები და საუცხოო ლანდშაფტები. ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილია უამრავი ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომელთა დიზაინი და შესრულების ტექნიკა, ასევე, სრულიად განსხვავებული და უნიკალურია. სწორედ ამიტომ, ჟურნალის ამ სპეციალურ გამოცემაში წარმოდგენილია სტატიები ქართული ღვინის, ყველის, ქორეოგრაფიული და კინემატოგრაფიული ნაწარმოების, დაცული ტერიტორიების, საქართველოს კულტურული საგანძურისა და, ასევე, ქართველი გამომგონებლების შესახებ.

სიამაყით წარმოგიდგენთ წინამდებარე გამოცემას და ყოველთვის სიამოვნებით გიმასპინძლებთ საქართველოში, რათა სრული სიცხადით გაიზიაროთ ამ ნომრის სლოგანი და „აღმოაჩინოთ საქართველო“.

ირ. ღვალაძე



მთავარი რედაქტორი

ქეთევან ბოჯგუა

სარედაქციო კოლეგია

ირაკლი ღვალაძე, ეკატერინე ეგუტია,
ელენე ქემაშვილი – აღმასრულებელი რედაქტორი,
ანი გობეჩია, ეკატერინე შანიძე, ზვიად მათიაშვილი,
რეზო თაბუკაშვილი, გიორგი ქურდიანი

ტექნიკური რედაქტორები

ნინო ცუხიშვილი, ნინო ბებრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ

ქეთევან ბოჯგუა,
ლიკა ბერაია, სოფო კვინტრადე

თარგმანი

ანა მეტრეველი, ნათია ალადაშვილი

კორექტორი

ლალი ჭანტურია

ფოტო

ვანო ფიცხელაური

დიზაინი და დაკაბადონება

თეონა კერესელიძე

პოლიგრაფიული აპუფი

მიხეილ მეჩიტაშვილი, არსენ ლომიძე, ლალი დოლიძე

განსაკუთრებული მადლობა

საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნულ
სააგენტოს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს,
პროექტ „ქართული ყველის“ ხელმძღვანელობას,
სუხიშვილების ოჯახს, რამაზ ბლუაშვილს, საქართველოს
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს

EDITOR-IN-CHIEF

Ketevan Bojgua

EDITORIAL BOARD

Irakli Ghvaladze, Ekaterine Egutia,
Elene Kemashvili – Executive Editor,
Ani Gobechia, Ekaterine Shanidze, Zviad Matiasvili,
Rezo Tabukashvili, Giorgi Kurdiani

TECHNICAL EDITING

Nino Tsukhishvili, Nino Bebrishvili

AUTHORS

Ketevan Bojgua,
Lika Beraia, Sophie Kvintradze

TRANSLATION

Ana Metreveli, Natia Aladashvili

CORRECTOR

Lali Chanturia

PHOTO

Vano Pitskhelauri

DESIGN AND LAYOUT

Teona Kereselidze

POLIGRAPHY TEAM

Mikheil Mechitishvili, Arsen Lomidze, Lali Dolidze

SPECIAL THANKS TO

Agency of Protected Areas, National Museum of Georgia,
project “Georgian cheese”, Sukhishvili family,
Ramaz Bluashvili, National Agency for Cultural Heritage
Preservation of Georgia

აღმოაჩინე საქართველო
DISCOVER GEORGIA

- 4** სუხიშვილები – ბრენდი, რომელიც ცეკვის სინონიმია
THE SUKHISHVILIS – BRAND SYNONYMOUS WITH DANCING
- 20** საქართველო – ღვინის აკვანი
GEORGIA – CRADLE OF WINE®
- 40** საქართველოს შვიდი და მეტი საოცრება
SEVEN AND MORE WONDERS OF GEORGIA
- 60** ქართული სუფრის საგანძური
TREASURE OF GEORGIAN FEAST
- 74** მუზეუმებში დაცული ქართული საგანძური
GEORGIAN TREASURES PRESERVED IN MUSEUMS

კვანტური ნახტომი დიაბეტის
მკურნალობის გზაზე
QUANTUM LEAP TOWARDS RECOVERY FROM
DIABETES

16

ქეთი მელუა – ბრიტანელების საყვარელი
ქართველი მომღერალი
KATIE MELUA – BRITAIN'S FAVORITE GEORGIAN
SINGER

34

54


მეფე კომა
KING KOMA

68

ბაბლუანების კინო
CINEMA OF BABLUANIS

82

ალექსანდრე ქართველი – ამერიკული
სამხედრო ავიაციის შემოქმედრი
ALEXANDER KARTVELI – CREATOR OF AMERICAN
MILITARY AVIATION



**ბრენდი
BRAND**

**სუხიშვილები – ბრენდი,
რომელიც ტანკის
სინონიმია**

**THE SUKHISHVILIS – BRAND
SYNONYMOUS WITH
DANCING**

**ლიკა ბერაია
LIKA BERAIA**



ფოლკლორი დახვეწას საჭიროებს ისევე, როგორც ძვირფასი თვალი დამუშავებას. პროფესიონალი ქორეოგრაფი ტანკს აშორებს ყველაფერს რაც ზედმეტი, ამავეთ-რებს, ავსებს და წარსულის პლასტიკურ მემკვიდრეობას თანამედროვეობასთან ახამებს.

ილიკო სუხიშვილი უფროსი

დედამიწაზე ალბათ არ არსებობს უმცირესი ეთნოსი კი, რომ არ ჰქონდეს გამორჩეული, შესაძლოა პრიმიტიული, მაგრამ მაინც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცეკვა. ცეკვის მუზა განსაკუთრებით გულუხვი ქართველებისთვის აღმოჩნდა. იშვიათი მრავალფეროვნებით და საცეკვაო ილეთების სიმდიდრით ცნობილი ქართული ცეკვა იმდენივე საუკუნეს ითვლის, რამდენსაც ერი ინახავს თავის კოლექტიურ მემკვიდრეობაში.

თუმცა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, ქართულმა ცეკვამ არნახულად სწრაფი განვითარებისა და მსოფლიო აღიარების მიღწევა სწორედ უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში, უსასტიკესი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც შეძლო. ეს კი უკავშირდება ქართული კულტურის ჰორიზონტზე ორი ადამიანის – ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის გამოჩენას. სწორედ, მათ შექმნეს ქართული ნაციონალური ბალეტი – ანსამბლი „სუხიშვილები“, გაზარდეს ბრწყინვალე მოცეკვავეთა თაობები და ახალი სული შთაბერეს ქართულ საცეკვაო ხელოვნებას. დღეს მათ დაწყებულ საქმეს მესამე თაობა – უმცროსი ნინო და ილიკო სუხიშვილები აგრძელებენ.

„ილიკო სუხიშვილი ახალგაზრდობიდანვე ფიქრობდა შეექმნა დასი, რომელიც გააერთიანებდა საქართველოს ყველა კუთხის ცეკვას. ძალიან მდიდარი ფოლკლორი

AS PRECIOUS GEMSTONE NEEDS TREATMENT FOR BRILLIANCE, FOLKLORE NEEDS IMPROVEMENT. IN THE PROCESS OF IMPROVEMENT, A PROFESSIONAL CHOREOGRAPHER REMOVES ALL THE UNNECESSARY THINGS, INTENSIFIES, REPLENISHES AND HARMONIZES PLASTIC HERITAGE FROM THE PAST WITH CONTEMPORANEITY.

ILIKO SUKHISHVILI, SR.

Even the smallest nation in the world has its own distinct, probably primitive, but characteristic dance. Muse of the dance has treated Georgians with particular generosity. Georgian dances known for their rare variety and rich dancing techniques dates back all the way to the very beginning of the nation's collective memory.

However, despite centuries-old history, Georgian dances developed at an extraordinarily fast pace and gained worldwide recognition in the last 70 years, even amid the most severe totalitarian regime, which had to do with the appearance of two people in the horizon of the Georgian culture – Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili. They were the ones who created the Georgian national ballet – Ensemble Sukhishvilis, raised excellent generations of dancers and revitalized Georgian art of dancing. Their work is now being carried on by the third generation – Nino and Iliko Sukhishvili Jr.

“Since youth Iliko Sukhishvili started thinking about creating such an ensemble that would combine in itself various dances from all parts of Georgia. Our country is rich in folklore but it was more at an ethnographic level. Iliko augmented folk choreography with his own fantasy and modernism while Nino Ramishvili was a classic ballet dancer, and they both created an ideal synthesis – mix of classic, modern and folklore. These three com-

აქვს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ეს ფოლკლორი იყო უფრო ეთნოგრაფიულ დონეზე. ილიკომ ხალხურ ქორეოგრაფიას საკუთარი ფანტაზია და მოდერნიზმი დაუმატა. ნინო რამიშვილი, თავის მხრივ, კლასიკური ბალეტის მოცეკვავე იყო და მოხდა იდეალური სინთეზი – კლასიკის, მოდერნისა და ფოლკლორის მიქსი. ამ სამმა კომპონენტმა ძალიან მომგებიანად იმუშავა და შეიქმნა ფოლკლორზე დაფუძნებული ფანტასტიკური საბალეტო დასი. იმ წლებში ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო“, – ამბობს უმცროსი ნინო სუხიშვილი, რომელიც ახლა ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია.

იმ წლებში ნინო სუხიშვილი უმცროსი გასული საუკუნის 30-40-იან წლებს გულისხმობს, „სუხიშვილების“ ისტორია, სწორედ, ამ დროიდან იწყება. ოფიციალურად ქართული ნაციონალური ბალეტი – ანსამბლი „სუხიშვილები“ 40-იან წლებში ჩამოყალიბდა, მაგრამ დამაარებლები მასზე უკვე 30-იანი წლებიდან ფიქრობდნენ. ანსამბლის დაბადების დღედაც 1945 წლის 11 ივნისი ითვლება, როცა ომის დამთავრების შემდეგ სტატუსი მიიღო. თუმცა, რეალურად ილიკო სუხიშვილს ანსამბლის შექმნის იდეა 20-იანი წლების ბოლოს გაუჩნდა და ამ იდეის გამო თქვა უარი საქართველოდან ნასვლახეც.

მაშინ ილიკო პეტერბურგში, ჯორჯ ბალანჩინისთან ერთად მუშაობდა. ქვეყნის დატოვების შემდეგ, ბალანჩინიმ დააარსა „ნიუ-იორკ სიტი ბალეტი“ და ილიკოსაც

ponents have proven to be very gainful and effective in creating a fantastic ballet ensemble founded on folklore. This was something very new back then“, – says Nino Sukhishvili Jr., who is now the manager and art director of the ensemble.

When she says “back then”, she means 30s and 40s, when the history of the Sukhishvili started. The Georgian National Ballet – Ensemble Sukhishvili was officially formed in the 40s but founders started contemplating about creating the ensemble in the 30s. June 11, 1945 is considered to be the birthday of the ensemble, when it received official status after the war was over; however, Iliko Sukhishvili conceived the idea of creating the ensemble in the late 20s. That was why he refused to leave Georgia.

At that time Iliko was working together with George Balanchine in St. Petersburg. After leaving Georgia Balanchine had established New York City Ballet and offered Iliko to join him but Iliko turned down his offer saying that he would only be able to establish Georgian ballet in Georgia. After some time when they met in New York again, Balanchine told Iliko that he made the right decision. Georgian National Ballet introduced Georgia to the world.

More than two hundred tours throughout the world, five continents, 90 countries, more than 19 200 performances and the audience of more than 60 million.

As early as in the 1935, after he performed a solo at the festival of folk dances in Britain, King of England George VI and Queen Mary awarded Iliko Sukhishvili with a golden medal. When following tour of the ensemble coincided with football championship in Britain, no one thought that the concert hall would be full of fans of this sport.

During one of the open air performances in India, wooden stage collapsed but the audience captivated by the performance rushed under the stage and during the second part of the performance dancers were performing on the stage standing on the shoulders of Indians.

In 1988, their performance on Broadway was recognized as the best show of the year.

In Australia, the ensemble was ranked as the eighth wonder of the world.

In La Scala, Theatre of Milano, where none of the folk ensembles have performed so far, at the end of the performance the curtains were raised fourteen times amid ovations of the audience!

“In 1967 when our ensemble performed in La Scala, it was the first and the only time so far a folk ensemble performed on that stage. Our dance was considered as a classic dance and a very valuable show since they allowed the ensemble to perform in La Scala and it was a triumph. We are still proud of the triumph in La Scala. Curtains were raised fourteen times which was a re-

ქართული ცეკვის სწრაფი განვითარება ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელს უკავშირდება.

Fast development of Georgian Dance is connected to the names of Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili.





ეპატიუებოდა, მაგრამ უარი მიიღო: ქართული ბალეტის შექმნას მხოლოდ ჩემს ქვეყანაში შევძლებო. წლების შემდეგ, როცა ნიუ-იორკში ერთმანეთს ისევ შეხვდებიან, ბალანჩინი ილიკოს ეტყვის, რომ მისი გადანყვეტილება სწორი იყო. ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა ხომ საქართველო მთელ მსოფლიოს გააცნო.

ორასზე მეტი ტურნე მსოფლიოს ირგვლივ... მსოფლიოს 5 კონტინენტი... 90 ქვეყანა... 19200-ზე მეტი წარმოდგენა... 60 მილიონზე მეტი მაყურებელი...

ჯერ კიდევ 1935 წელს, ინგლისში გამართული მსოფლიო ხალხური ცეკვების ფესტივალზე სოლო გამოსვლისას, ინგლისის მეფემ გეორგ VI და დედოფალმა მერიმ ილიკო სუხიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოვეს. როდესაც ანსამბლის მორიგი გასტროლები დიდ ბრიტანეთში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს დაემთხვა, არავის ეგონა, რომ სპორტის ამ სახეობის ფანები საკონცერტო დარბაზებს გაავსებდნენ!

ინდოეთში დასის ერთ-ერთ წარმოდგენაზე, ღია ცის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილი ხის სცენა ჩაინგრა, მაგრამ მოწადიებული მაყურებელი სცენას ქვეშ შეუვარდა და მეორე განყოფილება ქართული საცეკვაო ხელოვნების მოტრფიალე ინდოელების ბეჭებზე შემდგარ სცენაზე შესრულდა.

სუხიშვილები ერთადერთი ფოლკლორული დასია, რომელსაც ლა სკალას სცენამ უმასპინძლა.

The Sukhishvilis is the only folk ensemble which has performed on the scene of La Scala Theatre.

cord following the great Caruso! They raised curtains 11 times after Caruso's performance. The record has been inscribed with golden words in the history of the ensemble. They performed by encore five times and repeated their last dance five times at the request of the audience", – says Nino Sukhishvili Jr. and recollects that for over the years the Sukhishvilis have enjoyed sincere enthusiasm and admiration many times, also evidenced by various press reports about the Sukhishvilis.

"The Ensemble Sukhishvilis is the unique phenomenon whose performance on stage must be seen by everyone at least once in their lifetime!" – wrote French newspaper *Figaro*.

"Unarguably... there's no other folk dance troupe more exquisite and professional than Sukhishvilis in the world" – *Washington Post*.

"Jewelers throughout the world differentiate between precious and semi-precious gemstones. This ensemble is the most precious stone of folklore with classic facets. Performances of the ensemble can be explained with only two words: absolutely amazing!!!" – *New York Times*.

1988 წელს ბროდვეიზე დასის წარმოდგენები წლის საუკეთესო შოუდ იქნა აღიარებული.

ავსტრალიაში სუბიშვილების ანსამბლს მსოფლიოს მერვე საოცრება უწოდეს.

მილანის ლა სკალას თეატრში კი, სადაც არც ერთი ერის ფოლკლორულ დასს დღემდე ფეხი არ დაუდგამს, სუბიშვილების ანსამბლის წარმოდგენის დასრულების შემდეგ, ოვაციების თანხლებით ფარდა 14-ჯერ აინია!

„1967 წელს, როცა ლა სკალას სცენამ უმასპინძლა ჩვენი ანსამბლს, ეს იყო პირველი და დღემდე ერთადერთი ფოლკლორული დასი, რომელიც ამ თეატრის სცენაზე გამოვიდა. ჩვენი ცეკვა კლასიკად და ძალიან ღირებულ შოუდ მიიჩნიეს, რადგან მისცეს უფლება, რომ ლა სკალაში დასი გამოსულიყო და ეს ტრიუმფი იყო. ტრიუმფი ლა სკალაში დღემდე საამაყოა ჩვენთვის. ფარდა 14-ჯერ აინია, ეს იყო რეკორდი დიდი კარუზოს შემდეგ! კარუზოზე მაქსიმუმ 11-ჯერ ანიეს ფარდა. რეკორდი ლა სკალაში ჩვენი ანსამბლის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩანერილი – ანსამბლი ბისზე 5-ჯერ გამოიძახეს, ბოლო ცეკვაც 5-ჯერ გაამეორებინეს“, – ამბობს უმცროსი ნინო სუბიშვილი და იხსენებს, რომ წლების მანძილზე „სუბიშვილები“ არაერთხელ გამხდარა მსოფლიოში გულწრფელი აღფრთოვანებისა და თავყვანისცემის ობიექტი, რასაც სხვადასხვა ქვეყნის პრესაში გამოთქმული შეფასებებიც ადასტურებს.

„სუბიშვილების ანსამბლი ის უნიკალური ფენომენია, რომლის წარმოდგენაც ყოველმა ადამიანმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა იხილოს სცენაზე!“ – წერდა ფრანგული გაზეთი „ფიგარო“.

“World’s greatest dancers are on the stage. Have you seen how Georgian dancers fly? Have you seen the storm they start whenever they perform on stage” – Australian newspaper *Daily Mirror*.

“There are many such reports and I am proud that this work is now continued by the third generation of the family – my brother and myself. Our names are Iliko and Nino too, as we have been named after our grandparents. People are often confused and therefore, we have introduced terms Iliko Senior and Iliko Junior, Nino Senior and Nino Junior” – says Nino Sukhishvili.

Nino Senior and Iliko Senior met each other at the Tbilisi Opera and Ballet Theatre in late 20s. Nino Ramishvili had graduated from Maria-Pelini Ballet Studio and was a dancer at the Opera and Ballet Theatre. Iliko Sukhishvili performed Georgian folk dances at Opera and Ballet Theatre. This is where they met and soon became partners not only on stage but also in real life. They staged several duets, worked on stage, had tours together and constantly thought about establishing an ensemble. The first ensemble was composed of only 8 girls and 12 boys, while today the number of its members has greatly increased and is more than one hundred. There is also a dance school currently raising 800 aspiring dancers in different age groups.

However, in order to achieve such results amid the most severe totalitarian regime, the ensemble needed

ილეთები და ცეკვები, რაც დღეს ხალხურად ითვლება, ილიკო სუბიშვილისა და ნინო რამიშვილის შექმნილია.

Techniques and dances that are now considered to be folklore were created by Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili.





„უდავოა, რომ მსოფლიოში არ არსებობს სუხი-შვილების ანსამბლზე უფრო დახვეწილი პროფესიონალი ფოლკლორული დასი!“ – „ვამინგტონ პოსტი“.

„მსოფლიოს იუველირები ანსხვავებენ ძვირფას და ნაკლებად ძვირფას ქვებს. ეს დასი კი ფოლკლორის უძვირფასესი ქვაა კლასიკური ნახნაგებით. დასის წარმოდგენები შეიძლება 2 სიტყვით აიხსნას: პირდაპირ გასაოცარი!!!“ – „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

„სცენაზე არიან მსოფლიოს უდიდესი მოცეკვავეები! გინახავთ, როგორ დაფრინავენ ქართველი მოცეკვავეები? არც ის გინახავთ რა ქარბუქი ამოვარდება ხოლმე სცენაზე მათი გამოსვლისას?“ – წერდა ავსტრალიური გაზეთი „დეილი მირორი“.

„ასეთი შეფასებები ძალიან ბევრი იყო და მემამყება, რომ ამ საქმეს დღეს ჩემს ძმასთან ერთად ოჯახის მესამე თაობა ვაგრძელებთ. ჩვენც ილიკო და ნინო ვართ – როგორც ბებია და ბაბუას ისევე გვქვია, სწორად ეწოდებოდა და ამიტომ, შემოვიღეთ ტერმინები: უფროსი ილიკო, უმცროსი ილიკო, უფროსი ნინო, უმცროსი ნინო“, – ამბობს ნინო სუხიშვილი.

უფროსი ნინო და უფროსი ილიკო ერთმანეთს 20-იანი წლების ბოლოს, თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრში შეხვდნენ. ნინო რამიშვილს მარია პელინის საბალეტო სკოლა-სტუდია ჰქონდა დამთავრებული და ოპერისა და ბალეტის თეატრში ცეკვავდა. ილიკო სუხიშვილი კი ოპერისა და ბალეტის თეატრში ასრულებდა ქართული ცეკვის პარტიებს. იქ გაიცნეს ერთმანეთი და ძალიან მალე გახდნენ პარტნიორები არა მხოლოდ სცენაზე, არამედ

პირველი ანსამბლი სულ 8 გოგონასა და 12 ბიჭს ითვლიდა. დღეს მასში უკვე 100-ზე მეტი მოცეკვავეა.

First ensemble was composed of only 8 girls and 12 boys. Today the number is more than one hundred.

to survive. Nino and Iliko went through the epoch of ruling by Stalin and Beria, but did everything they could for the survival of the ensemble.

Nino Sukhishvili recalls the period when in order to show the need of creation of the ensemble, young Iliko Sukhishvili spent hours performing two-hour program alone in the offices of secretaries of the Central Committee of the Communist Party.

“At one of the receptions in Kremlin when they heard Nino Ramishvili’s name, Stalin gave a cold look and said – Ramishvili?! They are all Mensheviks and need to be arrested”.

“It was 1937, the worst year in the history of the country. Kremlin was hosting *Georgian Decade* event in its acting hall. Stalin was fascinated by Iliko’s dance while my grandmother was at a disadvantage for bearing the surname of Ramishvili. All relatives or persons bearing the surname of the first president of the Republic of Georgia, Noe Ramishvili were predestined. Stalin loved Iliko’s dance so much that he offered to make his any wish come true. Iliko could ask for everything, including a house or an office but instead, he did something wise and asked for a photo with Stalin’s signature – he knew he would need it later. This is how they survived repressions. We have kept the photo at home. My grandmother was hiding it all the time. Grandpa would

ცხოვრებაშიც. დადგეს რამდენიმე დუეტი, მუშაობდნენ ესტრადაზე, დადიოდნენ გასტროლებზე და ანსამბლის შექმნის იდეა არ ასვენებდათ. პირველი ანსამბლი სულ რაღაც 8 გოგონასა და 12 ბიჭს ითვლიდა. დღეს კი ანსამბლი ძალიან გაზრდილია, მასში უკვე 100-ზე მეტი მოცეკვავეა. ჩვენ გაქვს ჩვენი ცეკვის სკოლა, სადაც იზრდება 800-მდე სხვადასხვა ასაკის მომავალი მოცეკვავე.

თუმცა, ამ შედეგის მიღწევას უსასტიკესი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ანსამბლის გადარჩენა სჭირდებოდა. ნინომ და ილიკომ სტალინის და ბერიას მმართველობის ეპოქა გაიარეს, მაგრამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ანსამბლს ეარსება.

ნინო სუხიშვილი განსაკუთრებულად იხსენებს პერიოდს, როცა ანსამბლის ჩამოყალიბების აუცილებლობის დასამტკიცებლად ახალგაზრდა ილიკო სუხიშვილი ცკ-ს მდივნებთან კაბინეტში იდგა და 2 საათიან პროგრამას მარტო ცეკვავდა. „კრემლში ერთ-ერთ მიღებაზე ნინო რამიშვილის გვარის გაგონებისას, სტალინმა ცივად გადახედა და თქვა – რამიშვილი?! – ისინი ხომ ყველანი მენშევიკები არიან, დასაჭერი ხალხია“.

„37 წელი იყო ყველაზე საშინელი წელი ქვეყნის ისტორიაში, კრემლის სააქტო დარბაზში საქართველოს დეკადის დღეები ტარდებოდა. ილიკოს ცეკვით სტალინი მოხიბლული იყო, ბებია კი იჩაგრებოდა, რადგან მისი გვარი რამიშვილი გახლდათ. თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის – ნოე რამიშვილის ყველა ნათესავი თუ მოგვარე განწირული

take it and she would hide it again“.

They survived the repressions but still received an order from Moscow to dissolve the ensemble in 1953. The order said that they had travelled enough. The ensemble was already very successful by that time. They had performed in Finland, the country Russia was unable to occupy and viewed it as enemy. They had also performed in capitalist countries, while no one could leave the Soviet Union at that time. This is when the order to dissolve the ensemble was received.

Nino Sukhishvili recalls that Iliko did something very clever – “he rented two carriages with his own financial means, placed the whole ensemble there and went as far as he could go. In every city where the train stopped, he visited cultural centers or theatres and offered their managers holding of a concert in return for sharing the profit”.

The ensemble spent six months travelling throughout the Soviet Union. They were in Siberia when they learned about the death of Stalin. During these hectic times when the government and the politics was changing, the ensemble was least of everyone’s concern and it survived.

სუხიშვილების სასცენო კოსტიუმებიც კი უნიკალური სამუზეუმო ექსპონატებია.

The Sukhishvilis stage costumes are unique museum exhibits.







იყო. ილიკოს ცეკვა იმდენად მოეწონა სტალინს, რომ შესთავაზა ნებისმიერი სურვილის შესრულება. ილიკოს შეეძლო ყველაფერი ეთხოვა, დაწყებული სახლიდან, დამთავრებული თანამდებობით, მაგრამ ხრიკს მიმართა და ფოტოსურათი სთხოვა ავტოგრაფით – იცოდა, რომ გამოადგებოდა. ასე გადაურჩნენ რეპრესიებს. ეს ფოტო დღესაც გვაქვს სახლში. ბებია მას სულ მალავდა, ბაბუა ამოიღებდა, ბებია დამალავდა.“

რეპრესიებს გადარჩნენ, თუმცა, 1953 წელს მოსკოვიდან ანსამბლის დაშლის მოთხოვნით ბრძანება მაინც მოვიდა. ბრძანებაში ეწერა – საკმარისად იმოგზაურესო. ამ პერიოდში ანსამბლი ძალიან წარმატებული იყო. უკვე გამართული ჰქონდათ კონცერტი ფინეთში, რომლის დაპყრობა რუსეთმა ვერ შეძლო და მტრად მიაჩნდა. ანსამბლი კაპიტალისტურ ქვეყნებშიც იყო გასული და ეს იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირიდან არავინ გადიოდა. სწორედ ამ დროს მოვიდა ანსამბლის დაშლის ბრძანება.

ნინო სუხიშვილი იხსენებს, რომ ილიკომ აქაც ხრიკს მიმართა – „საკუთარი სახსრებით პირდაპირ სადგურში იქირავა 2 ვაგონი, მთელი ანსამბლი ჩასვა და წავიდა სადაც თვალი მიუწვდებოდა. ყველა ქალაქში, სადაც ჩერდებოდა მატარებელი, მიდიოდა კულტურის სახლში ან თეატრში და დირექტორს კონცერტის გამართვასა და შემოსავალის გაყოფას სთავაზობდა.“

ნ თვე გაატარა ანსამბლმა ასე, მთელი საბჭოთა კავშირი მოიარეს და სადღაც ციმბირისკენ იყვნენ ჩასულები,

„სუხიშვილები“ 2005 წლიდან უკვე ოფიციალურად რეგისტრირებული ბრენდი გახდა.

“The Sukhishvili” has been officially registered as a brand since 2005.

Today the ensemble is headed by the third generation of the Sukhishvili. According to Nino Sukhishvili Jr., similar to her ancestors the ensemble is the main thing that keeps her occupied – “the ensemble is like a big family for us. We spend more time there, during rehearsals and tours, than with our families. My father Tengiz Sukhishvili headed the ensemble in a very dignified manner and for a long time, and I am proud that today Iliko and I are continuing his work. My grandfather always used to tell us – do everything that you can to keep the name of the Sukhishvili now carried by the ensemble on theatre posters throughout the world, and his dream did come true. Sukhishvili is already synonymous with dancing in my country”.

What has come to be a synonym of Georgian dancing was created as a result of innovation and unlimited fantasy throughout years. What many of us don't know is that all the techniques and dances that are now considered to be folklore were created independently by Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili based on Georgian folklore. Amid the totalitarian regime when individualism was punishable, they had to willingly give

როცა სტალინის გარდაცვალების შესახებ შეიტყვეს. ამის შემდეგ არავის ჰქონდა სუბიშვილების ანსამბლის დარდი. ქვეყანაში შეიცვალა მთავრობა, პოლიტიკა და ანსამბლიც გადარჩა.

დღეს ანსამბლს სუბიშვილების მესამე თაობა უდგას სათავეში. უმცროსი ნინო სუბიშვილი ამბობს, რომ ნინა-პრების მსგავსად, ანსამბლი მისთვისაც მთავარი საქმეა. „ანსამბლი ჩვენთვის არის დიდი ოჯახი. ჩვენ უფრო მეტ დროს ვატარებთ აქ, დასში რეპეტიციების დროს და გასტროლებზე, ვიდრე სახლებში. მამა – თენგიზ სუბიშვილი ძალიან ღირსეულად, დიდხანს ხელმძღვანელობდა ანსამბლს და მეამაყება, რომ დღეს, უკვე მამის შემდეგ, მე და ილიკო ამას ვაგრძელებთ. ბაბუაჩემი სულ გვეუბნებოდა – ყველაფერი გააკეთეთ, რომ სუბიშვილის გვარი, რომელსაც სახელსაც დღეს ანსამბლი ატარებს, არ გაქრეს მსოფლიოს თეატრების აფიშებიდანო და მისი სურვილი მართლაც ასრულდა. სუბიშვილი ჩემს ქვეყანაში უკვე ცეკვის სინონიმია.“

ის, რაც დღეს ქართული ცეკვის სინონიმია, წლების მანძილზე ინოვაციისა და უმრეტი ფანტაზიის ხარჯზე იქმნებოდა. ბევრმა დღემდე არ იცის, რომ ილეები და მთელი ცეკვებიც კი, რაც დღეს ხალხურად ითვლება, ილიკო სუბიშვილისა და ნინო რამიშვილის მიერ, მართალია, ქართული ფოლკლორის ბაზაზე, მაგრამ დამოუკიდებლად არის შექმნილი. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როცა ინდივიდუალიზმი ისჯებოდა, მათ საკუთარი შემოქმედების ავტორობაზე უარის თქმა და ხალხურ შემოქმედებად გასაღება უხდებოდათ.

ნინო სუბიშვილი იხსენებს, რომ ნინო და ილიკო ჯერ კიდევ 20-იან წლებში ცეკვავდნენ გასაოცარ დუეტს –



ნინო სუბიშვილი
Nino Sukhishvili

დღეს ანსამბლს სუბიშვილების მესამე თაობა უდგას სათავეში.

Today the ensemble is headed by the third generation of Sukhishvils.

up authorship of their own creation and pretend that it was a folk art.

Nino Sukhishvili recalls that Nino and Ilko were dancing an amazing duet as early as in the 20s – “both were wearing a Chokha¹, Ilko was dressed in black while Nino was dressed in white. Her technique was in no way lesser than his. At first the audience was not aware that the dancer wearing white Chokha was a woman. At the end of the performance when Nino took off her headpiece, the audience was clapping in awe. It was a very effective performance. *Mtiuluri – Lekuri* was the name of it. We have now renamed it and it is included as *Ilouri*² in our program as Ilko Sukhishvili was the one who came up with it”.

¹ Georgian national costume

² Literally translates as Ilko's way of dancing

ცეკვა „ილოური“

The dance “Ilouri”



ილიკო სუხიშვილი
Iliko Sukhishvili

ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი (უმცროსი) დამაარსებლების გზას აგრძელებს

Main choreographer of the ensemble, Iliko Sukhishvili Jr. continues the path of its founders

Tradition combined with innovation – main choreographer of the ensemble, Iliko Sukhishvili Jr. continues with the path of its founders in the 21st century. Dances he has directed, including “Zekari”, “Chavla”, “Samani”, “Uchkhrest”, “Ilouri”, “Juta”, “Shkhelda”, “Kisturi”, “Lazuri”, “Tsdo”, “Khorumi”, “Khanjluri”, “Svanuri” and “Nanila” were organically harmonized with the old program.

“It is safe to say that performing became more difficult, draft was modified, together with movements and technique. As a director of choreography I was focused on maintaining a golden balance and I think I managed to do it. We maintained a golden balance all the time. I did not know whether it was going to work but the new

„ორივეს ჩოხა ეცვა, ილიკოს – შავი, ნინოს – თეთრი. შავ-ჩოხიანს ილეთებით და მოძრაობით არ ჩამოუვარდებოდა თეთრჩოხიანი... თავიდან მაყურებელმა არ იცოდა, რომ თეთრჩოხიანი ქალი იყო. ცეკვის ბოლოს, როცა ნინო ბოხოსს გადაიდრობდა, დარბაზი ალტაცებისგან ტაპით ინგრეოდა. ძალიან ეფექტური ნომერი იყო. მთიულური – ლეკური, ესე ერქვა ამ ნომერს. დღეს ჩვენს პროგრამაში სხვა სახელწოდებით არის – ილოური. ეს იმიტომ, რომ სინამდვილეში ეს ცეკვა მთლიანად უფროსი ილიკო სუხიშვილის მოფიქრებული ილეთებით დაიდგა.“

ტრადიციის შერწყმა ინოვაციასთან – ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი (უმცროსი) დამაარსებლების გზას XXI საუკუნეში აგრძელებს. მის მიერ დადგმული ცეკვები „ზეკარი“, „ჩავლა“, „სამანი“, „უჩხრესტი“, „ილოური“, „ჯუთა“, „შხელდა“, „ქისტური“, „ლაზური“, „ცდო“, „ხორუმი“, „ხანჯლური“, „სვანური“ და „ნანილა“ ორგანულად შეერწყა ძველ პროგრამას.

„შეიძლება ითქვას, რომ უფრო გართულდა შესრულება, შეიცვალა ნახაზი, მოძრაობები, ილეთები. მე, როგორც დამდგმელი ქორეოგრაფი, ვფიქრობდი იმაზე, რომ დამეჭირა ოქროს შუაღედი და ვფიქრობ ეს შევძელი. ოქროს შუაღედი გვეჭირა ყოველთვის. წინასწარ არც კი ვიცოდი, თუ ასე გაამართლებდა, მაგრამ ახალმა პროგრამამ ხალხის მონონება დაიმსახურა და მსოფლიოში ყველგან დიდი წარმატებით ჩაიარა. ვამაყობ, რომ ჩვენს



ცეკვა „ხორუმი“
The dance “Khorumi”

ქვეყანას შევეუქმენით ეს საოცარი განძი. არ მეგულება არცერთი ქვეყანა, სადაც ხალხური ტრადიციული ცეკვა იყოს ესოდენ პოპულარული ახალგაზრდა თაობაში, თინეიჯერებში, როგორც საქართველოშია. ჩვენი ანსამბლის სტილი იყო ყოველთვის მუდმივი განახლება, სიახლის ძიება, ძველ ტრადიციებზე დაყრდნობით ახლის შენება და დადგმა“, – ამბობს ნინო სუხიშვილი.

ტრადიციებთან ერთად ოჯახი საკუთარ ბრენდსაც იცავს. „სუხიშვილები“ 2005 წლიდან უკვე ოფიციალურად რეგისტრირებული ბრენდი გახდა.

სუხიშვილების სასცენო კოსტიუმებიც კი უნიკალური სამუზეუმო ექსპონატებია. ისევ ეროვნულ სამოსს იყენებენ. შემორჩენილ კოსტიუმებს სულ უკეთდება რესტავრაცია. კონცერტის განმავლობაში 700-მდე კოსტიუმი გადის სცენაზე, რომლებიც აუცილებლად ნატურალური ქსოვილებისგან იქმნება.

„ილიკოსთან და ნინოსთან თავის დროზე იმუშავა უდიდესმა მხატვარმა – პეტერბურგის მარინის თეატრის სცენოგრაფმა და უნიკალური ბალეტების ავტორმა სოლიკო ვირსალაძემ, რომელსაც ბაქსტისა და ბენუას დონეზეც დავაყენებდი, შეიძლება უფრო მაღლაც. 30-იანი წლებიდან მოყოლებული 80-იან წლებამდე – სიცოცხლის ბოლომდე ანსამბლისთვის ყველა კოსტიუმი მისი შექმნილი იყო. სწორედ მან დახვეწა ასე ქართული საცეკვაო კოსტიუმი. ბატონი სოლიკო ვირსალაძისაგან ვისწავლე, რომ უნდა ჩააცვა არა მოცეკვავეს, არამედ უნდა ჩააცვა ცეკვას“, – ამბობს ნინო სუხიშვილი.

ამჟამად, სუხიშვილები სრულიად ახალ პროექტზე მუშაობენ. „რამიშვილები“, ასე ჰქვია ახალ პროგრამას, რომელიც ნინო რამიშვილს მიეძღვნება და მოდერნისტული ბალეტის ელემენტებით იქნება გაჯერებული.

„ბავშვობაში სულ ფვიქრობდი: ალბათ რა მოსაწყენია ცხოვრება იმათთვის, ვინც არ ცეკვავს“ – ეს სიტყვები ნინო რამიშვილს ეკუთვნის. მისი შვილიშვილები ქართული ცეკვის თაყვანისმცემელს სწორედ ამას პირდებიან, რომ მათთან ერთად ცხოვრება მოსაწყენი არასოდეს იქნება.

program gained public approval and was very successful throughout the world. I am proud that we have created such an amazing treasure for our country. I don't know a single country where traditional folk dances are as popular among youth, teenagers, as it is in Georgia. The style of our ensemble was in constant renewal, search of something new, creation of something new based on the old traditions“, – says Nino Sukhishvili.

Together with traditions the family also protects its own brand. „The Sukhishvilis“ has been officially registered as a brand since 2005.

Sukhishvili's stage costumes are unique museum exhibits. They are still using folk costumes. Those costumes that have been maintained are constantly restored. Almost 700 costumes are displayed on stage during a concert and each are made from natural fabric.

„The greatest artist, stage graphic designer of St. Petersburg's Mariinsky Theatre and the author of unique ballets, Soliko Virsaladze worked with Iliko and Nino back in the day. To me, he is equal to Baxt and Benua, if not more. Starting from the 30s through the 80s in his lifetime he created all of the costumes for the ensemble as well as improved them. I learned from Mr. Soliko Virsaladze that you should dress the dance and not the dancer“, – says Nino Sukhishvili.

The Sukhishvilis are now working on a completely different project entitled the Ramishvilis, a new program dedicated to Nino Ramishvili and enriched with modernist elements of ballet.

„I always thought when I was a child how boring life should have been for those who don't dance“ – said Nino Ramishvili. Her grandchildren now promise their fans that together with them life is never going to be boring.

სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება საქპატენტიში.

TRADEMARK

Trademark is a sign or combination of signs that can be represented graphically and is capable of distinguishing the goods or services or both of one undertaking from those of other undertakings. Trademark shall be registered at SAKPATENTI.



კვანძური ნახტომი დიაბეტის
განკურნების გზაზე

QUANTUM LEAP TOWARDS
RECOVERY FROM DIABETES

ლიკა ბერაია
LIKA BERAIA



ეს ის შემთხვევაა, როცა ცხოვრება მეორედ დაბადების შანსს გაძლევს მაშინაც კი, თუ სიცოცხლის გადასარჩენად დონორი არ მოიძებნა. პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ ადამიანის დაავადებულ ორგანოთა შეცვლა ახალი ორგანოების შექმნით გადანეწიდა და მოახერხა კიდევ იმისათვის, რომ ორგანო გადაინერგოს დონორი საჭირო აღარ იქნება. თუ ვიმსჯელებთ რამდენ ადამიანს აქვს გულის მწვავე დაავადებები, თირკმლის უკმარისობა, დიაბეტი ან ციროზი, იოლი წარმოსადგენია რამდენი ადამიანი ელოდება საქართველოში ორგანოთა ტრანსპლანტაციის დანერგვას. თუმცა, მთავარი პრობლემა საქართველოში დონორების არარსებობა, მსოფლიოში კი ამ ოპერაციების კატასტროფული სიძვირეა. ყველა ეძებს გამოსავალს, რომელსაც პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ ქსოვილების ბიოინჟინერიაში ანუ ახალი ორგანოების შექმნაში მიაგნო.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში მხოლოდ C ჰეპატიტის ვირუსით 300000 ადამიანია ინფიცირებული, რაც მოსახლეობის 7-8%-ს შეადგენს. რადგან, დღესდღეობით, C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებები არასრულყოფილია, მის გართულებად სხვადასხვა ტიპის ციროზი გვევლინება.

„სამწუხაროდ, დაავადებულთა უმრავლესობას ესაჭიროება ღვიძლის გადანერგვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი განწირულნი არიან. რაც შეეხება დიაბეტს, ამ პათოლოგიით მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, 300 მილიონი ადამიანია დაავადებული.

დღესდღეობით, მსოფლიოში დიაბეტის მკურნალობის პერსპექტიულ მეთოდად დონორის პანკრეასიდან აღებული ლანგერჰანის კუნძულების (ინსულინის მაპროდუცირებელი უჯრედები) გადანერგვა მიიჩნევა. სამწუხაროდ, საქართველოში დონორის ინსტიტუტის არარსებობის გამო, ამ ტიპის ოპერაციების წარმოება

This is that rare occasion, when life gives you a second chance to be born again even if no donor has been found to save your life. Professor Zurab Kakabadze decided to replace diseased human organs by creating new organs and he actually managed to do it. No donor will be needed any more to transplant an organ. If we discuss how many persons suffer acute heart diseases, renal failure, diabetes or liver cirrhosis, it is easy to imagine how many people are expecting organ transplantation to be introduced in Georgia. However, the key problem is absence of donors in Georgia as well as extremely high prices of organ transplant surgeries abroad. Everyone looks for a solution and this solution has been found by Professor Zurab Kakabadze in tissue bioengineering, i.e. creation of new organs.

According to official statistics, in Georgia 300 000 persons (7-8% of the entire population) are infected with Hepatitis C virus (HCV). Due to lack of medications to treat hepatitis C, the infection further aggravates the liver and causes various types of cirrhosis.

“Unfortunately, most of diseased patients need liver transplantation; otherwise, they are all doomed. As far as diabetes is concerned, 300 million people suffer this disease throughout the world, including Georgia.

Nowadays, transplantation of the islets of Langerhans (insulin producing cells) taken from a donor’s pancreas is considered a perspective method for treating diabetes. Unfortunately, because of absence of donor’s institute in Georgia, it is impossible to perform similar surgeries at this stage. If the country has no donor’s institute, it cannot become a part of the International Registry in Organ Donation, and respectively cannot receive donated organs from other countries. However, patients can apply to various foreign

ამ ეტაპზე შეუძლებელია. თუ ქვეყანაში არ არსებობს დონორის ინსტიტუტი, იგი ვერ შევსა საერთაშორისო რეესტრში და, შესაბამისად, ვერ მიიღებს სხვა ქვეყნიდან დონორულ ორგანოებს. თუმცა, პაციენტებს შეუძლიათ მიმართონ მსოფლიოს სხვადასხვა კლინიკებს, სადაც ორგანოების ტრანსპლანტაცია ხორციელდება, მაგრამ ეს ოპერაციები ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, საფრანგეთში დონორული ღვიძლის ტრანსპლანტაცია უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის დაახლოებით 200 000 ევრომდე ღირს. გარდა ამისა, მსოფლიოში დონორული ორგანოების დიდი დეფიციტიც აღინიშნება. ამ პრობლემიდან გამოსავალს ბევრი ქვეყანა ეძებს“, – ამბობს პროფესორი ზურაბ კაკაბაძე, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს.

დღესდღეობით, პოპულარულია ლეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის მეთოდი, თუმცა, ეს მხოლოდ ხდება დონორის ორგანოს გადანერგვამდე. პაციენტისთვის დონორული ორგანოს მოსაძებნად გარკვეული დროა საჭირო, დაავადება კი ვითარდება და დრო არ ითმენს. ამიტომ, გამოიყენება ლეროვანი უჯრედები, რომელთა გადანერგვა დონორის ორგანოს მოძიებამდე ორგანიზმს ეხმარება. საქართველოში, ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში, პრეზიდენტის პროგრამის ფარგლებში, ღვიძლის ციროზით დაავადებულ 40-მდე პაციენტს ლეროვანი

clinics, which perform organ transplantation, but these surgeries are extremely expensive. For example, donor liver transplantation costs about EUR 200 000 in France for foreign citizens. Moreover, the world faces donor transplant deficit. Many countries are now looking for a solution”, says Professor Zurab Kakabadze, who works in this direction.

Nowadays, the method of stem cell transplantation is quite popular; however, this is only a bridge before organ transplantation. A certain period of time is needed to find a donated organ; however, the disease is further aggravating and time is pressing. Therefore, stem cells are transplanted to help a human body before a donated organ is found. In frames of the presidential program, about 40 patients suffering liver cirrhosis have already undergone stem cell transplantation at the N. Kipshidze Central University Clinic.

“As I have already mentioned above, stem cell transplantation is a temporary replacement therapy for these patients. Hence, organ transplantation is inevitable”, Prof. Kakabadze says.

According to recent data, the world leading clinics use the two methods of tissue engineering to settle this problem. In particular, it is already possible to grow organs in a test-tube for further transplantation into a patient's body. Another method envisages growing of



პროფესორი ზურაბ კაკაბაძე პაციენტის ორგანიზმში ორგანოს გაზრდის ახალ მეთოდზე მუშაობს.

Professor Zurab Kakabadze is working on a new method of growing an organ in a patient's body.

უჯრედების ტრანსპლანტაცია უკვე გაუკეთდა.

„როგორც ზემოთ ავლინხე, ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია ამ პაციენტებისათვის არის დროებითი ჩანაცვლებითი თერაპია. აქედან გამომდინარე, დონორული ორგანოს გადანერგვა გარდაუვალია.“

ბოლო წლების მონაცემებით, მსოფლიოს წამყვან კლინიკებში ამ პრობლემის გადასაწყვეტად მიმართავენ ქსოვილოვანი ინჟინერიის მეთოდებს, რომელიც ორი მიმართულებით ვითარდება. კერძოდ, უკვე შესაძლებელია ორგანოების გაზრდა სინჯარაში პაციენტის ორგანიზმში შემდგომი გადანერგვისთვის და მეორე გზაა ორგანოს გაზრდა თვით პაციენტის ორგანიზმში (აუგზილარული ორგანო).

ქსოვილოვანი ინჟინერიის ორივე მიმართულება რევოლუციურია და, ახლო მომავალში, ბევრი დაავადების მკურნალობის ძირითად პრობლემას გადაწყვეტავს.

„ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ორგანოს გაზრდა თვით პაციენტის ორგანიზმში. ჯერ კიდევ 1997 წელს, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინეთ პაციენტის ორგანიზმში ახალი ღვიძლის გაზრდის შესაძლებლობა. ამისათვის გამოვიყენეთ ნაწლავის დემუკოზირებული იზოლირებული სეგმენტი, რომელშიც ღვიძლის მიკროფრაგმენტები მოვათავსეთ. 2003 წელს კი ამ მეთოდის გამოყენებით ექსპერიმენტში დიაბეტიან ცხოველებზე მოვახდინეთ ინსულინმაპროდუცირებელი უჯრედების ტრანსპლანტაცია და მივიღეთ კარგი შედეგები.“

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში დიაბეტის სამკურნალოდ ინსულინმაპროდუცირებელი უჯრედები პაციენტის ღვიძლში კარის ვენიდან შეჰყავთ. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა სხვადასხვა ტიპის გართულებები.

an organ in a patient's body (auxiliary organ).

The both methods of tissue engineering are revolutionary and will settle the key problems of treatment of lots of diseases in the near future.

“Our sphere of interests is to grow an organ in a patient's body. As far back as 1997, we unveiled the possibility of growing a new liver in a patient's body to the international scientific society. For this purpose we used demucosalized isolated intestinal segment, in which we placed liver micro fragments. In 2013 we used the same method in our experiment on diabetic animals and transplanted insulin-producing cells. The results were quite positive”.


It should be noted that according to the most widespread method of treating diabetes, insulin-producing cells are injected in a patient's liver from a portal vein. However, this method is characterized by various complications.

“In 2011 we acquainted the world medical society with an alternative minimally-invasive method of insulin-producing cell transplantation to treat diabetes. The key essence of this method is as follows: the both ends of a vein are tied off; vein valves are washed from blood and filled with insulin-producing cells”.

In the opinion of American scientists, Zurab Kakabadze's invention has gone beyond the realms of possibility. The Diabetes Research Institute in Miami has shown interest in the Georgian professor's achievement. Innovation, revolution, biological model of re-

ქართველი პროფესორის მიღწევით მაიამის დიაბეტის კვლევითი ინსტიტუტი დაინტერესდა.

The Diabetes Research Institute in Miami has shown interest in the Georgian professor's achievement.



ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com

„2011 წელს მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებას დიაბეტის მკურნალობის მიზნით ინსულინ-მაპროდუცირებელი უჯრედების ტრანსპლანტაციის ალტერნატიული მცირეინვაზიური მეთოდი წარუდგინეთ. მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: პაციენტის ვენის ორივე ბოლო იკვანძება, ვენის სანათური ირეცხება სისხლისაგან და ივსება ინსულინმაპროდუცირებელი უჯრედებით.“

ამერიკელი მეცნიერების აზრით, ზურაბ კაკაბაძის გამოგონება შესაძლებლობების საზღვრებს გასცდა. ქართველი პროფესორის მიღწევით მაიამის დიაბეტის კვლევითი ინსტიტუტი დაინტერესდა. ინოვაცია, რევოლუცია, დიაბეტისგან განკურნების ბიოლოგიური მოდელი, კვანტური ნახტომი დიაბეტისგან განსაკურნებლად, რომელიც ორგანიზმში ბუნებრივი ინსულინის წარმოქმნას აღადგენს და სისხლში შაქრის დონის ნორმალიზებას იწვევს – ასეთია ამერიკელი მეცნიერების და მეცნიერების შეფასებები.

რევოლუციური ინოვაცია ავტორმა საქართველოში უკვე დააპატენტა, საერთაშორისო პატენტის ალბაში კი მას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ეხმარება. უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე ამბობს, რომ გამოგონება, რომელიც მნიშვნელოვან დარგს ეხება, თავისთავად საინტერესოა, საერთაშორისო დაპატენტება კი საჭიროა, რადგან ეს არის ქართული ნოუ-ჰაუ, ქართული გამოგონება.

„ინოვაციის საერთაშორისო არენაზე გატანა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ამ გამოგონებას უკვე ძალიან დიდი და კარგი რეზონანსი ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, მეორე – საქართველო ძალიან ღარიბია საერთაშორისო პატენტებით და მესამე – უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი გამოგონება.“

„ის, რაც ძალიან ძვირია კონკრეტული მეცნიერისათვის, არ არის ძვირი უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო პატენტების ალბის პრაქტიკა და საერთაშორისო საპატენტო მოძრაობაში ჩართვა. პროფესორები უნდა იყვნენ დარწმუნებულები, რომ თუ ღირებულ გამოგონებას შექმნიან, უნივერსიტეტი მათ დაეხმარება საერთაშორისო პატენტის ალბაში“, – აცხადებს გიგი თევზაძე.

„დღესდღეობით ვმუშაობთ ახალი ქსოვილებისა და ორგანოების შექმნაზე. ამისათვის შევიმუშავეთ ორგანოების დეცელულარიზაციის, ლიოფილიზაციისა და რეცელულარიზაციის ახალი მეთოდები, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ქსოვილოვანი მატრიქსი და, მის საფუძველზე, შევქმნათ სვადასხვა ქსოვილი და ორგანო. ის, რაზეც მე ვილაპარაკე მართლაც ფანტასტიკის სფეროდანაა, მაგრამ ასეა“, – განმარტავს ზურაბ კაკაბაძე. მისი ამბიციური მიზნების განხორციელების შემთხვევაში კი შედეგები ბევრად ფანტასტიკური იქნება.

covery from diabetes, quantum leap toward recovery from diabetes that can restore natural insulin producing processes in human body and normalize blood sugar level – this is how American research fellows and scientists assess Prof. Kakabadze's invention.

The author has already patented his revolutionary innovation in Georgia, while the Ilia State University assists him to obtain an international patent. Ilia State University Rector Gigi Tevzadze says that the invention, which facilitates a very important branch, is extremely interesting in itself, but international patent is needed because it is a Georgian know-how, Georgian invention.

“There are several reasons why it is so important to promote the innovation to the international arena: first and foremost, this invention has already received quite a positive response in the United States and Europe; second, Georgia is extremely poor in international patents and third, similar invention is very important for the university.

“What is very expensive for a particular scientist is not expensive for the university. The practice of obtaining international patents and involvement in the international patent movement is very important for the university. Professors should be confident that if they create a valued invention, the university will assist them in obtaining an international patent”, Gigi Tevzadze says.

“Presently, we are working on the creation of new tissues and organs. For this purpose, we have developed new methods of decellularization, lyophilization and recellularization that will enable us to receive a tissue matrix and create different tissues and organs on its basis. What I have talked about is really from the sphere of science fiction, but the fact is certain”, Zurab Kakabadze explains. In case of realization of his ambitious goals, the results will be much more fantastic.

პატიენტი

პატენტი არის გამომგონებლისათვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებული მონოპოლიური უფლება, რომლის საფუძველზეც პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუქრძალოს პატენტით დაცული გამოგონებით სარგებლობა. ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მონოპოლიური უფლების მინიჭება დასტურდება საპატენტო სიგელით (პატენტით), რომელიც გაიცემა საქპატენტის მიერ. პატენტი შეიძლება გაიცეს მაქსიმუმ 20 წლის ვადით. პატენტი, როგორც საკუთრებითი უფლების ფორმა შეიძლება გახდეს გაყიდვის ან ლიცენზირების ობიექტი.

PATENT

A patent is a monopoly right granted to an inventor for a certain period of time, defended by the state, based on which a patent holder can prohibit any person to use a patented invention. Granting of monopoly rights to a natural person or legal entity is confirmed by a patent which is issued by SAKPATENTI. A patent may be granted for a maximum of 20 years. A patent as a form of property right, may become an object of sale or licensing.

საქართველო – ღვინის კრძანო

GEORGIA – CRADLE OF WINE®

სოფო კვინტრაძე
SOPHIE KVINTRADZE

საქართველო ვაზის კულტურის უძველესი ქვეყანაა. ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობით მტკიცდება, რომ ჩვენს ქვეყანაში ვაზს ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ათასწლეულში იცნობდნენ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში მრავალ ადგილას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ საქართველოში მეღვინეობის რვა ათასწლეუანი ტრადიცია გვაქვს.

ღვინის ისტორია ნეოლითის ხანაში იწყება და ამის ნაკვალევი, სწორედ, საქართველოშია აღმოჩენილი. ქართველმა მეცნიერებმა რამდენიმე ათეული წლის წინ ქვემო ქართლში დანგრეული გორის მეზობლად მდებარე ძვ.წ. VI-V ათასწლეულების ნამოსახლარებში ყურძნის რამდენიმე ნიჰნა აღმოაჩინეს, რომელიც, შესწავლის შემდეგ, ვაზის კულტურულ სახეობას „*Vitis Vinifera*“-ს მიაკუთვნეს. მსგავსი მასალები არქეოლოგებმა კიდევ ბევრ ადგილას აღმოაჩინეს და შეისწავლეს.

Georgia is a country with an ancient vine culture. Based on materials from history, archaeology, ethnography and literature, Georgians knew about vine as early as the 6th millennium BC. Archaeological materials found throughout the territory of Georgia, including its eastern as well as western parts confirm that wine-making in Georgia is an eight thousand year long tradition.

The history of wine begins in the Neolithic era, the traces of which have been found exactly in Georgia. Several decades ago Georgian scholars found a few grape seeds in settlement sites dating back to the 6th-5th centuries BC near ruined hill in Lower Kartli, which after examination were attributed to *Vitis Vinifera*, one of the cultural categories of vine. Archaeologists found and studied similar materials in a number of other areas.

ღვინის ისტორია ნეოლითის ხანაში იწყება და ამის ნაკვალევი, სწორედ, საქართველოშია აღმოჩენილი.

The history of wine begins in the Neolithic era, the traces of which have been found exactly in Georgia.





საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ქვევრის ტიპის
ჭურჭლის ექსპონატი თითქმის 8000 წლისაა.

A vessel similar to Qvevri exhibited at the National
Museum of Georgia is almost 8000 years old.

ფოტო: გოგა ჩანადირი
Photo: Goga Chanadiri

ყურძნის წიპნების გარდა, ნეოლითური ხანის ნა-
მარხებში ნაპოვნია, აგრეთვე, კულტურული ხორბლისა
და პარკოსნების ნაშთები, სამეურნეო იარაღები და
თიხის ჭურჭელიც. ეს ყველაფერი ამტკიცებს, რომ
ძვ.წ. VI ათასწლეულში აქ მცხოვრები ადამიანი ეწეოდა
განვითარებულ სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის,
მევენახეობას და მემარცვლეობას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური
ნიმუში არის ქვევრის ტიპის ჭურჭელი, რომელიც ქვევრის
წინაპრადაა აღიარებული. საქართველოს ეროვნულ
მუზეუმში დაცული ექსპონატი მიეკუთვნება ძვ.წ. VI-V
ათასწლეულებს ანუ დაახლოებით 8000 წლისაა და
მსოფლიოში უძველეს საღვინე ჭურჭლადაა მიჩნეული.

საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე
წერილობითი ცნობები უძველეს ბერძნულ, სპარსულ და
ქართულ წყაროებშიცაა დაცული. ქსენოფონტე ძვ.წ. V
საუკუნეში წერდა, რომ კოლხების ღვინო სურნელოვანი
და საამო იყო. ხოლო, სტრაბონის ცნობით (ძვ.წ. I ს.)
იბერიაში ყურძენი ფართოდ ყოფილა გავრცელებული და
ვაზის უხვი მოსავალიც მოდიოდა.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართველი
მეცნიერების დასკვნებს უცხოელი ექსპერტებიც იზი-
არებენ. მაგალითად, პენსილვანიის უნივერსიტეტის
პროფესორი პატრიკ მაკგოვერნი თავის წიგნში „ძველი
ღვინოები – მევენახეობის წარმოშობის ძიება“ წერს:
„არქეოლოგიური ნიმუშები და აღმოჩენები გვიჩვენებს,
რომ ვაზის მოშინაურებას ადგილი ჰქონდა სამხრეთ

In addition to grape seeds, remains of wheat and
legumes, household tools and pottery have also been
found in burials of the Neolithic period. All this con-
firms that people who lived there in the 6th millennium
BC pursued developed agriculture, including viticulture
and crop growing.

One of the most important archaeological exhibits is
a vessel similar to *Qvevri*, which has been recognized
as its predecessor. Exhibited at the National Museum of
Georgia, it dates back to the 6th-5th millennia BC, i.e. it
is almost 8000 years old and has been recognized as
the most ancient wine vessel throughout the world.

Written evidence concerning the existence of wine
culture in Georgia is also preserved in Greek, Persian
and Georgian sources. As early as in the 5th century BC
Xenophon wrote that wine of the Colchis had a pleas-
ant flavor, while according to Strabo (1st c. BC), grapes
were widespread in Iberia, where they had a plentiful
harvest of vine.

The fact is highly important that findings of Geor-
gian scholars are shared by foreign experts as well. For
instance, in the book *Old Wines – Searching for the
Origins of Vine Growing*, Patrick McGovern, professor
of the University of Pennsylvania, writes that “archaeo-
logical evidence and discoveries show that vine was do-
mesticized in South Caucasus – between the Black and
the Caspian Seas. Cultivated vine was later spread to
the north of the Fertile Crescent, the valley of Jordan,
in Egypt 5000 years ago”.

კავკასიაში – შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. გაკულტურებული ვაზი შემდეგ გავრცელდა ნაყოფიერი ნახევარმთიარის ჩრდილოეთით, იორდანის ველზე, ეგვიპტეში 5000 წლის წინ”.

მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი მწერალი და ღვინის მკვლევარი ჰიუ ჯონსონი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1987 წელს იმყოფებოდა საქართველოში და უძველესი არქეოლოგიური მასალების შესწავლისას გაკვირვება ვერ დამალა. წიგნში „ღვინის ისტორია“, რომელიც მსოფლიო ბესტსელერია, ჯონსონმა დეტალურად აღწერა ყველა ის არქეოლოგიური თუ ისტორიული მასალა, რომელიც საქართველოს, როგორც უძველეს ღვინის კულტურის ქვეყანას, წარმოაჩენს. 1999 წელს, მისი თაოსნობით ლონდონში დაარსდა მუდმივმოქმედი გამოფენა „ვინოპოლისი“, რომელიც მსოფლიოში ვაზისა და ღვინის ისტორიას ეძღვნება. „ვინოპოლისის“ ღვინის ოდისეას უწოდებენ, მისი ექსპოზიციები მრავალსაუკუნოვანი არქეოლოგიური და ისტორიული მასალების საფუძველზეა შექმნილი. ოდისეა ღვინის სამყაროში იწყება საქართველოს პავილიონით, რომლის სახელწოდებაც „საქართველო – ღვინის აკვანი“. აქ წარმოდგენილია უძველესი ხანის წიპები, თასები, თიხის ჭურჭელი, სასმისები და ქვევრები.

თითოეული ქართველისთვის საამაყოა იმის ცოდნა, რომ ჩვენი ქვეყანა აგრძელებს ღვინის კულტურის უძველეს ტრადიციებს. ეს ტრადიციები მოიცავს როგორც ვაზის მოვლა-გაშენებას, ღვინის დანერგვასა თუ ჩამოსხმას, ასევე ღვინის მირთმევას ტრადიციულ ქართულ სუფრაზე, სადაც თამადა სადღეგრძელოებს სწორედ ღვინით წარმოთქვამს. როგორც ირკვევა, თამადობა ქართველებს უძველესი დროიდან უყვართ. ამის დასტურია ის პატარა ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც დასავლეთ საქართველოში რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინეს. ქანდაკება, რომელიც წარმოადგენს მამაკაცის ფიგურას ღვინის ყანით ხელში, თარიღდება ძვ.წ. VII საუკუნით.

ქართული ღვინის ფესვების ძიებამ შესაძლოა ძალიან შორს წაგვიყვანოს. რა გასაკვირია, რომ რვა ათასწლოვანი ტრადიციის მქონე ქვეყანას, სრულიად ლეგიტიმურად სურს მთელ მსოფლიოს გააგებინოს თავისი ისტორია და დააგემოვნებინოს ღვინო, რომელიც საქართველოში იბადება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო ათწლეულში საქართველოში მეღვინეობა წარმატებით ვითარდება და სრულიად ახალ, თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტებს მიუახლოვდა. ამაში წვლილი მიუძღვის როგორც ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, ასევე, სახელმწიფოს, რომლისთვისაც პრიორიტეტია ქართული ღვინის წარმოების განვითარება და მისი უცხოეთში ფართოდ გატანა.

საბჭოთა პერიოდში საკავშირო მასშტაბით ქართულ ღვინოზე გაზრდილმა მოთხოვნამ, მისი წარმოება და ცნობადობა გაზარდა. ჩამოყალიბდა ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემა, ჩამოისხა ბევრი ახალი სახეობის ღვინო. თუმცა, ექსპერტების აზრით, შესამჩნევი იყო ხარისხის გაუარესებაც. ახალი ქართული ღვინის ისტორია 1997 წლიდან იწყება, როდესაც საქართველოში



ქანდაკება – თამადა ღვინის ყანით, ძვ.წ. VII ს.

The statuette of Tamada (toastmaster) holding a horn for wine, 7th century BC

World-renowned British writer and wine researcher Hugh Johnson visited Georgia in the Soviet times in 1987 and was astonished when studying ancient archaeological materials. In his book *Wine History*, a world bestseller, Johnson provided a detailed account of all archaeological and historical materials demonstrating Georgia as a country with ancient wine culture. In 1999 he founded a permanent exhibition in London, called Vinopolis dedicated to the history of vine and wine in the world. Vinopolis is referred to as wine odyssey. Its expositions have been created on the basis of centuries-old archaeological and historical materials. The odyssey in the world of wine starts with Georgia's pavilion, entitled "Georgia – Cradle of Wine". It features ancient grape seeds, goblets, clay vessels and *Qvevris*.

Every Georgian is proud to know that our country is carrying on with the ancient traditions of wine culture. These traditions include nursing and cultivating vine, squeezing out of grapes and bottling wine, as well as serving it at traditional Georgian *Supras* where *Tamada* (toastmaster) is toasting with wine. As it turns out, the Georgians were fond of toast mastering from ancient times. This is confirmed by a small bronze statuette, found in Georgia several years ago. The statuette, representing the figure of a man holding a horn for wine, dates back to the 7th century BC.



2012 წელს საქართველომ, რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ, ევროკავშირთან გააფორმა შეთანხმება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ. შეთანხმების საფუძველზე, 18 დასახელების ქართული ღვინო დაცულია ევროპის მთელ ტერიტორიაზე.

IN 2012 GEORGIA, AFTER SEVERAL YEARS OF WORKING TOWARDS THE GOAL, SIGNED AN AGREEMENT WITH THE EU ABOUT PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS. WITH THIS AGREEMENT COMING INTO FORCE 18 APPELLATIONS OF GEORGIAN WINE ARE PROTECTED THROUGHOUT THE EU TERRITORY FROM COUNTERFEITING AND FALSIFICATION.



ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com

პირველი თანამედროვე ტიპის მარნები გამოჩნდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება განისაზღვრა. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, საქართველო იყო პირველი, სადაც 1992 წელს ეროვნული საპატენტო სამსახური „საქპატენტი“ ამოქმედდა, რომელიც შემდგომ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრად გარდაიქმნა.

ბუნებრივია, ქართული ღვინის ფალსიფიკაციისგან დაცვა საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტიაროგორცქვეყნისშიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი მოვლენა 2012 წელს მოხდა, როდესაც საქართველომ, რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ, ევროკავშირთან გააფორმა შეთანხმება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებს (ალჟირი, აზერბაიჯანი, სირია, ბელორუსი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, მოლდოვა, სომხეთი, უკრაინა) შორის საქართველო პირველია, რომელმაც მსგავს დოკუმენტს მოაწერა ხელი, რითაც გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი ევროკავშირთან

Searching for the roots of Georgian wine may take us far away. Not surprisingly, a country with wine tradition of eight thousand years has a legitimate interest to let the whole world know about its history and have them taste wine born in Georgia. Experts note that during the last decade wine-making has been successfully developing in Georgia, harmonizing with totally new, modern international standards. This became possible owing to both wine producing companies and the state focusing on the development of Georgian wine production and its large-scale foreign export as one of its priorities.

Increased demand for Georgian wine during the Soviet times throughout the Union had a positive impact on production of and awareness about Georgian wine. The system of appellations of origin was formed, many new types of wines were made. However, experts believe that deterioration of quality was also evident. History of new Georgian wine started in 1997 after first contemporary wine cellars appeared in Georgia.

After gaining its independence, Georgia identified as one of the priorities establishing a national system of protection of intellectual property. Georgia was the first among post-Soviet republics where a national patent service Sakpatenti was established in 1992, later transformed into the National Intellectual Property Center.



დაახლოების გზაზე, რადგან ევროკავშირის ერთ-ერთი ნინაპირობა, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ გაფორმებისთვის, სწორედ, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაა.

„ამ შეთანხმების ძალაში შესვლა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან იგი გვაძლევს საშუალებას ქართული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები დაცული იყოს ევროპის ტერიტორიაზე. პირველ ეტაპზე ნუსხაში შესულია 18 დასახელების ადგილწარმოშობის ღვინო. შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ნუსხაში ქართული წარმოშობის რძის პროდუქტების, ყველის და მინერალური წყლების შეტანაზე. ჩვენი მხრივ, ავიღეთ ვალდებულება, რომ ევროკავშირის ქვეყნების დასახელებებს დავიცავთ საქართველოში,“ – აცხადებს საქპატენტის ხელმძღვანელი ირაკლი ღვალაძე.

შეთანხმების საფუძველზე, ის 18 დასახელების ღვინო („ხვანჭყარა“, „ქინძმარაული“, „ნინანდალი“, „გურჯაანი“, „მანავი“, „კახეთი“, „კარდენახი“, „მუკუზანი“, „თელიანი“, „ატენი“, „ნაფარეული“, „სვირი“, „ტვიში“, „ახაშენი“, „კოტეხი“, „ყვარელი“, „ვაზისუბანი“ და „ტიბაანი“), რომელიც ნუსხაშია შესული, დაცულია ევ-

Naturally, protection of Georgian wine against counterfeiting is one of the priorities of the activity of Sakpatenti both in the country and abroad, particularly when export of Georgian wine into various countries of the world increases annually. A significant event took place in 2012 when Georgia, after several years of working towards the goal, signed an agreement with the EU about protection of geographical indications. Of the countries of the European Neighborhood Policy (Algeria, Azerbaijan, Syria, Belarus, Egypt, Israel, Jordan, Lebanon, Libya, Morocco, Moldova, Armenia and Ukraine), Georgia became the first country to sign such an agreement, thereby taking one more step on its way towards European integration, considering that one of the preconditions of the EU for the *Deep and Comprehensive Free Trade Agreement* is exactly harmonization of IP legislation with the EU standards.

“Coming into force of this agreement is of vital importance, as it allows us to protect Georgian appellations of origin and geographical indications throughout Europe. To start with, we have included 18 appellations of origins of wine. We are now in negotiations for including dairy products, cheese and mineral waters of Georgian origin on the list. In our turn, we have committed ourselves to protecting European appellations in Georgia”, – says Chairman of Sakpatenti Irakli Gvaladze.

როკავშირის ტერიტორიაზე გაყალბებისა და ფალსიფიკაციისაგან. მაგალითად, ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის საზღვარზე თუ დაფიქსირდება ისეთი „ხვანჭკარას“ გადატანის ფაქტი, რომელიც არ არის საქართველოში დამზადებული, ეს დაუყოვნებლივ გახდება რეაგირების საფუძველი. ასევე, მონიტორინგი ხორციელდება სავაჭრო ობიექტებშიც, როგორც ირაკლი ღვალაძე აცხადებს, ამ საქმეში საქართველოს საელჩოებიც აქტიურად არიან ჩართული და ნებისმიერი საექვო ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში საქპატენტს უკავშირდებიან.


სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ლიტვაში, ვილნიუსის ერთ-ერთ სუპერმარკეტში დაფიქსირდა ესპანეთში ჩამოსხმული „ხვანჭკარასა“ და „ქინძმარაულის“ რეალიზების ფაქტები. პრობლემის მოგვარებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმები ამარტივებს მაშინ, როდესაც ამგვარი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, უცხოეთში ფალსიფიკაციასთან ბრძოლა გაცილებით რთული იყო საქართველოსთვის. საქპატენტს ცალკეულ შემთხვევებზე სასამართლო დავების წარმოება უწევს, რაც დროში განელილი პროცესია და ფინანსურ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული.

ირაკლი ღვალაძის ინფორმაციით, გეორგაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოს გაფორმებული აქვს კიდევ რამდენიმე ქვეყანასთან. ახლახან გაფორმდა ხელშეკრულებები ყაზახეთთან და ბელორუსთან. ეს ქვეყნები ქართული ღვინის ექსპორტიორთა ნუსხაში ლიდერები არიან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჩინეთთან, რომელიც ქართული ღვინისთვის მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, დაწყებულია მოლაპარაკებების პროცესი რუსეთთანაც, ვინაიდან ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა რუსეთში მისი ფალსიფიკაციისგან დაცვის საკითხიც.

საქართველო სამართლიანად ამაყობს იმ ღვინოებით, რომელიც ევროკავშირის ნუსხაშია შესული და იმედოვნებს, რომ ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების სია გაიზრდება, რადგან ჩვენს ქვეყანაში კიდევ უამრავი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტია ინარმოება, რომელიც უცხოეთში ექსპორტზე გადის და ფალსიფიკაციისგან დაცვასაც მოითხოვს. ახლა კი არსებული სიის პირველ სამეულზე შევჩერდებით და შევეცდებით უფრო ახლოს გაგაცნოთ ღვინოები „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“ და „წინანდალი“, რომლებიც საუკეთესოა ხარისხით და გამოირჩევა გემური თვისებებით.

ღვინო „ხვანჭკარა“ მხოლოდ რაჭაში, ამბროლაურის რაიონის პატარა სოფელ ხვანჭკარასა და მიმდებარე სოფლებში, ძირითადად მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ვენახებში მოწეული ყურძნისგან მზადდება. ამ ღვინოს ორი ჯიშის ყურძნისგან, ალექსანდროულისა და მუჯურეთულისგან წურავენ.

ძველი რაჭული ტექნოლოგიით ყურძენს გვიან, თითქმის შემცქნარს კრეფდნენ და ტკბილს ბოლომდე



Based on the agreement, 18 appellations of Georgian wine (Khvanchkara, Kindzmarauli, Tsinandali, Gurjaani, Manavi, Kakheti, Kardenakhi, Mukuzani, Teliani, Ateni, Napareuli, Sviri, Tvishi, Akhasheni, Kotekhi, Kvareli, Vazisubani and Tibaani) included in the list are protected throughout the EU territory from counterfeiting and falsification. E.g. if at any border of the EU member state the fact of transportation of Khvanchkara not produced in Georgia is revealed, immediate further actions will be taken. Moreover, stores and shops will also be monitored. According to Irakli Ghvaladze, Georgian embassies abroad are actively involved in the process and keep in touch with Sakpatenti in case of any suspicious facts.

After signing this agreement, facts of selling Khvanchkara and Kindzmarauli bottled in Spain were revealed in one of the supermarkets in Vilnius, Lithuania. Legal remedies envisaged by the agreement make it easier to tackle the problem while in absence of such a document it was very difficult for Georgia to combat counterfeiting abroad. Sakpatenti has to litigate in individual cases, which is a time-consuming and costly process.

According to Irakli Ghvaladze, Georgia has bilateral agreements for protection of geographical indications with several other countries. Most recent agreements include those with Kazakhstan and Belarus. These



ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com

ხვანჭკარა – ადგილწარმოშობის დასახელების, კონტროლირებადი, უმაღლესი ხარისხის წითელი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოა. ხასიათდება მუქი ლალისფერი შეფერვით, გემოზე ჰარმონიული, ხავერდოვანი, დახვეწილი, სასიამოვნო სიტკბოთი, ხილის ტონებითა და ჯიშური არომატით.

KHVANCHKARA – Controlled premium-quality, red naturally semi-sweet wine of appellation of origin, characterized with dark ruby colour; it has harmonious, velvet, elaborate taste with pleasant sweetness, fruit tones and species-specific aroma.

ადულებდნენ. ღვინო ბუნებრივად ნახევრადტკბილი გამოდიოდა და დაძველების დიდ პოტენციალს ინარჩუნებდა. მაღალი შაქრიანობის (35%) გამო, სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიტკბო ჰქონდა.

ამ მეთოდით დამზადებულმა ხვანჭკარამ პირველი საერთაშორისო აღიარება 1907 წელს ბელგიის ქალაქ ოსტენდში გამართულ გამოფენაზე მოიპოვა. ქართველი თავადების – დიმიტრი და ლუარსაბ ყიფიანების მამულებში მოყვანილ ნახევრადტკბილ ღვინოს დიდი წარმატება და გრანპრი ხვდა წილად. მაშინ ხვანჭკარას „ხვანჭკარა“ ჯერ კიდევ არ ერქვა და მას „ყიფიანის ღვინოს“ უწოდებდნენ.

საბჭოთა კავშირში „ხვანჭკარა“ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქართულ ღვინოდ ითვლებოდა და მასზე დიდი მოთხოვნა იყო. გადმოცემის თანახმად, „ხვანჭკარა“ განსაკუთრებულად უყვარდა სტალინსაც, იალტის კონფერენციაზე საბჭოთა ბელადი სწორედ ამ ღვინით გაუმასპინძლდა ამერიკის პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს. ამ უკანასკნელს კი იმდენად მოსწონებია რაჭული ყურძნისგან დამზადებული ღვინო, რომ შტატებში მისი მოყვანაც კი განუზრახავს.

მნიშვნელოვანია, რომ დღეისათვის „ხვანჭკარა“ ადგილწარმოშობის დასახელებას, ამ ღვინის დამზადება

countries are leading exporters of Georgian wine. Negotiations are underway with China, which represents a growing market for wine. Negotiations have also been launched with Russia, as after the return of Georgian wine to the Russian market, its protection from counterfeiting is a pressing issue.

Georgia is rightfully proud of its wines included on the list of EU and remains hopeful that the list of Georgian appellations of origin will be broadened, as many various types of agricultural products are produced in Georgia, which are exported abroad and are in need of protection against counterfeiting. This time, we would like to focus on the top three products on the list to help you learn more about wines Khvanchkara, Kindzmarauli and Tsinandali that have the best quality and distinct flavor.

Wine Khvanchkara is produced from grapes that grow exclusively in a small village of Kvanchkara and neighboring villages in Racha, Ambrolauri district, mostly on the right bank of the river Rioni. It is made from two types of grapes – Aleksandrouli and Mujure-tuli.

By the ancient Rachan method of wine making grapes were harvested late, when they were almost withered and fully fermented. The wine was naturally semi-sweet with a great potential for aging. Due to high content of sugar (35%) it had a special sweetness, characteristic to it.



ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com

ქინძმარაული – ადგილწარმოშობის დასახელების წითელი, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო. მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან. მევენახეობის ზონა: აღმოსავლეთი საქართველო, შიდა კახეთი, ყვარლის ადმინისტრაციული რაიონი.

KINDZMARULI – controlled premium-quality, red natural semi-sweet wine of appellation of origin. The micro-zone is located in the eastern Georgia, in Inner Kakheti, in the administrative region of Kvareli.

მხოლოდ კონკრეტულ მიკროზონაში გაშენებულ ვენახებში დაკრეფილი ყურძნისგან შეიძლება. დაუმეგბელია მიკროზონების ხელოვნურად გაფართოება, რადგან ეს ღვინის ხარისხზე აისახება. როგორც ღვინის ექსპერტები აღნიშნავენ, „ხვანჭკარას“ დამზადების ტექნოლოგია დიდად არ შეცვლილა, ის მხოლოდ დაიხვეწა და ღვინის სამაცივრე დანადგარებში შენახვის პრაქტიკა დამკვიდრდა. ცვლილება შეეხო მხოლოდ ყურძნის დამწიფების დროის შემცირებას.

ენოლოგი და ღვინის მკვლევარი გიორგი სამანიშვილი ამას ასე ხსნის: „ხვანჭკარაზე“ მეტი მოთხოვნაა, ვიდრე იწარმოება – თუ გადაამწიფებ, რაოდენობაში წააგებ. მეტი მოთხოვნა და ნაკლები მიწოდება ხვანჭკარას წარმოების მიკროზონის სიმცირიდან გამომდინარეობს. პროდუქტის შეზღუდულ რაოდენობას კი აქვს თავისი პლიუსი – პრესტიჟულობას და ფასს ზრდის.“

გიორგი სამანიშვილი ამბობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ქართულ ღვინოს იცნობენ „ხვანჭკარა“ „ქინძმარაულთან“ ერთად უკვე საუკუნეზე მეტია ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ დასახელებად რჩება. „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“ ნებისმიერი ღვინის კომპანიისთვის ერთგვარი საეზიზო ბარათია, ამიტომ ყველა კომპანია ცდილობს, რომ ჰქონდეს კარგი „ქინძმარაული“ და „ხვანჭკარა“, რათა ბაზარზე სახელი არ შეირცხვინოს“, – ამბობს გიორგი სამანიშვილი.

ღვინის ასოციაციის მონაცემებით, საქართველოდან რეგისტრირებულ 70 ექსპორტიორ კომპანიას ქვეყნის

Khvanchkara produced by this method gained first international recognition in 1907 at an exhibition in the city of Ostend, Belgium. Semi-sweet wine produced in the estates of Georgian noble men Dimitri and Luarsab Qipianis, enjoyed great success and was awarded a grand prize. Khvanchkara was called “the wine of the Qipianis” back then.

In the Soviet Union Khvanchkara was one of the most popular Georgian wines and greatly in demand. They say that Stalin particularly favored it. While hosting the US President Theodore Roosevelt during the Yalta Conference, the Soviet leader toasted the guest with Khvanchkara. The American President liked the wine produced from grapes harvested in Racha so much that he even decided to grow them in the US.

Noteworthy, at present Khvanchkara is an appellation of origin. This wine can only be produced from grapes harvested in vineyards within a specific micro-zone. Artificial broadening of micro-zones is prohibited as it will have an adverse impact on the quality of wine. Wine experts note that the method of production of Khvanchkara has not much changed, it was only improved considering that the practice of storing wine in refrigerating facilities was introduced. The only change was the shortened time for ripening of grapes.

Oenologist and wine researcher Giorgi Samanishvili explains this in the following way: “the demand for Khvanchkara exceeds production – if you allow it to over-ripe, you will lose in terms of the amount produced. The fact that the demand is higher than supply is due to the

ფარგლებს გარეთ წელიწადში 12 მილიონი ლიტრი ღვინო გააქვს, რომელთა შორის ნახევარზე მეტი წითელ ტკბილ და ნახევრადტკბილ ღვინოებს უჭირავს. ამჟამად, „ხვანჭკარას“ საექსპორტო მინოდების მოცულობა დაახლოებით 650 ათას ბოთლს შეადგენს.

ღვინო „ქინძმარაული“ მხოლოდ საფერავის ჯიშის ყურძნისგან მზადდება და ყურძენიც მხოლოდ კონკრეტულ მიკროზონაში უნდა იყოს მოყვანილი. ეს ზონა დღეისათვის კახეთში, ყვარლის რაიონში მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს და 600 ჰექტარზე მეტ ფართობს მოიცავს.

„ქინძმარაულის“ ისტორია საბჭოთა პერიოდიდან იწყება. მისი გამოშვება 1942 წლიდან დაიწყო. ქინძმარაული კახეთში, მდინარე დურუჯის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პატარა ადგილს ჰქვია. კახელებს აქ ძველი დროიდან ვენახები ჰქონდათ გაშენებული და ითვლებოდა, რომ ამ მიწაზე მოყვანილი საფერავისგან განსაკუთრებული გემოს ღვინო მზადდებოდა. ღვინის განსაკუთრებულობა კი ამ კონკრეტული ადგილით, ნიადაგითა და ჰავითაა განპირობებული. როგორც ირკვევა, მდინარე დურუჯი, რომელიც ალაზნის უერთდება, საუკუნეების მანძილზე კალაპოტს იცვლიდა და ნელ-ნელა მარჯვნივ გადაინაცვლებდა. ამ ბუნებრივი პროცესის შედეგად კი მდინარის ხეობაში მთაში ნაშალი ქანები – შავფიქალები ილექებოდა. მათი მეშვეობით ქინძმარაულში ე.წ. ხირხატიანი ნიადაგი ჩამოყალიბდა, ამას ემატება სუბტროპიკული ჰავა და ვაზისთვის მეტად

small size of Khvanchkara's micro-zone, while limited amount of the product has certain pros – it boosts its prestige and price”.

According to Giorgi Samanishvili, in countries that are familiar with Georgian wine, Khvanchkara, along with Kindzmarauli, remains the most popular and successful appellation for more than a century now. “Both Khvanchkara and Kindzmarauli are a certain visiting card for any wine producing company. Therefore, all companies try to have good Kindzmarauli and Khvanchkara, in order not to disgrace their name on the market”, – says Giorgi Samanishvili.

According to the evidence of the Wine Association, 70 exporting companies registered in Georgia export 12 million liters of wine annually to foreign markets, half of which are red sweet and semi-sweet wines. Khvanchkara's current export volume is approximately 650 thousand bottles.

Wine Kindzmarauli is produced exclusively from Saperavi grapes grown in a specific micro-zone, located on the left bank of the Alazani River in Qvareli District, Kakheti, covering more than 600 hectares.

The history of Kindzmarauli dates back to the Soviet times. Its production started in 1942. Kindzmarauli is the name of a small area situated on the left bank of the River Duruji in Kakheti. Kakhetians had vineyards in this area from ancient times and it was believed that wine produced from Saperavi harvested there had a special flavor. The special quality of the wine is due to the particular location, soil and climate. As it turns out,



ხელსაყრელი სიტუირი რეჟიმი. „ქინძმარაულის ნიადაგი თავისი შემადგენლობით განსხვავდება მეზობელი მიკროზონების ნიადაგებისგან. ამ ადგილას ყურძენი განსაკუთრებულად კარგად მწიფდება და მეტ შაქარს აგროვებს, რაც შესაძლებელს ხდის მისგან ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო დამზადდეს“, – განმარტავს ენოლოგი გიორგი სამანიშვილი.

„ქინძმარაული“ მაღალ ალკოჰოლიანი ღვინოა, იგი მუქი ბრონეულისფერი შეფერილობისაა, აქვს მდიდარი და სასიამოვნო არომატი, იმდნობა ხილის ტონები – ალუბლის, კენკრის. ის არის ძლიერი, მაგრამ დახვეწილი გემოს ღვინო, მოტკბო და ტანინიანი. ხარისხიან „ქინძმარაულში“ დაბალანსებული უნდა იყოს მაღალი ალკოჰოლი, ტანინი, მჟავიანობა და სიტკბო. ასეთი გემო განსაკუთრებით მოსწონთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც ყველაზე მაღალია ქართული ღვინის ექსპორტი. ექსპერტების აზრით, „ქინძმარაულს“ დიდი პოტენციალი აქვს აზიის ქვეყნებში, მაგალითად ჩინეთში, სადაც კონტრასტული გემოები მოსწონთ.

ღვინო „წინანდალი“ უკვე კლასიკად ქცეული ქართული თეთრი მშრალი ღვინოა. ის მზადდება ყურძნის ორი ჯიშის – რქანითელისა და კახური მწვანეს შერწყმით. როგორც მეღვინეები ამბობენ, რქანითელის სხეულსა და მაღალ შაქრიანობას ჰარმონიულად ერწყმის კახური მწვანეს სიხალისე და არომატი. ამიტომაც, ღვინო

over the centuries, the river bed of Duruji that joins Alazani was gradually moving to the right. As a result of this natural process, black shells that had dissolved in the mountains were deposited in the ravine. Owing to this, the so-called skeletal soil was formed in Kindzmarauli, which was coupled with subtropical climate and favorable thermal conditions for vine. “With its composition, soil of Kindzmarauli is different from soils of neighboring micro-zones. Grapes ripen especially easily and accumulate more sugar, making it possible to produce naturally semi-sweet wine”, – explains Giorgi Samanishvili.

Kindzmarauli is a wine with high content of alcohol, dark pomegranate in color, rich and pleasant flavor with hints of fruit – cherry and berries. It is a strong wine but with a sophisticated flavor, sweetish and tannic. Quality Kindzmarauli offers a balance of high alcohol, tannin, acidity and sweetness. Such a wine is particularly favored in Post-Soviet countries with highest exports of Georgian wines. Experts believe that Kindzmarauli has a great potential for success in Asia, including China where contrasting flavors are favored.

Wine Tsinandali is a classic Georgian dry white wine produced from two types of grapes – Rkatsiteli and Kakhetian Mtsvane. According to winemakers, body and high sugar content of Rkatsiteli is in harmony with buoyancy and aroma of Kakhetian Mtsvane. Therefore, Tsinandali is the best drink distinguished by its rich aro-

წინანდალი – ადგილწარმოშობის დასახელების, თეთრი, მშრალი ღვინო. მევენახეობის სპეციფიკური ზონაა თელავის ადმინისტრაციული რაიონი, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო.

TSINANDALI – controlled high-quality dry white wine of appellation of origin. The micro-zone of wine Tsinandali is located on the right bank of the river Alazani, in the administrative region of Telavi.





„წინანდალი“ საუკეთესო დასალევია, გამოირჩევა მდიდარი არომატით, მათ შორის, ატმის, გარგრისა და კომშის სურნელით. ტრადიციულად, დაწურული ყურძნის წვენს რამდენიმე თვით მუხის კასრებში აძველებენ და საბოლოოდ „წინანდალი“ ოქროსფერი შეფერილობის გამოდის.

„წინანდალი“ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოა. მისი მიკროზონა კახეთში, თელავის რაიონში მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს და რამდენიმე სოფელს მოიცავს. ვენახები ზღვის დონიდან 300-750 მეტრის სიმაღლეზეა განლაგებული. აქ კლიმატი ზომიერად ნოტიოა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით.

კახეთის ულამაზესი ადგილი – წინანდალი ჭავჭავაძეების გვარს უკავშირდება. ღვინის დამზადებით გატაცებული იყო პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის კახური ადგილწარმოშობის ღვინოების განვითარებაში. 1835 წელს მან 20-წლიანი ვადით მილიონი რუბლის სესხი აიღო და ამ მხარეში მევენახეობის აღორძინებას მიჰყო ხელი. ალექსანდრე ჭავჭავაძემ ააგო მიწისქვეშა მარანი, არეის სახდელები, ჩაყარა ახალი ქვევრები, გახსნა კასრების სახელოსნო. ცნობილია, რომ თავად ღვინის დიდად მოყვარული პოეტი საოცარ კოლექციას ფლობდა. 17 ათასამდე ბოთლიდან რამდენიმე დღემდეა შემორჩენილი, მათ შორისაა უძველესი ფრანგული ღვინოები და წინანდლის საფერავები.

ma, including flavors of peach, apricot and quince. Traditionally, grape juice is aged in oak barrels for several months. Eventually, Tsinandali turns golden.

Tsinandali is a wine of appellation of origin. Its micro-zone is situated on the right bank of the River Alazani, Telavi District in Kakheti and covers several villages. Vineyards are located 300-750 meters above sea level, climate is moderately humid with hot summers and moderately cold winters.

A beautiful area in Kakheti, Tsinandali is linked with the name of the Chavchavadzes. Poet Aleksandre Chavchavadze was interested in wine making. He greatly contributed to the development of wines of appellations of origin in Kakheti. In 1835 he secured a loan of million Rubles for the period of 20 years for the revival of wine-making in Kakheti. He built an underground wine-cellar, vodka distillery, installed new *Qvevris* and opened a workshop of barrels. The poet that had a passion for wine had an amazing collection of 17 000 bottles some of which have survived to date, including ancient French wines and Saperavi of Tsinandali.

As to the wine Tsinandali, it has been produced since 1886. Throughout this time its style has changed a number of times. Tsinandali was very popular in the Soviet Union. At the time when wines were renamed and numbered, it was given number one.

Today Tsinandali remains to be number one white wine in Georgia and is exported abroad. Majority of

რაც შეეხება უშუალოდ ღვინოს „წინანდალი“, მას 1886 წლიდან აწარმოებენ. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ღვინომ ბევრჯერ შეიცვალა სტილი. საბჭოთა პერიოდში „წინანდალი“ საკავშირო მასშტაბით დიდი პოპულარობით სარგებლობდა. როდესაც ღვინოებს სახელები გადაარქვეს და ნომრები ჩამოურიგეს, „წინანდალს“ ნომერი პირველი მიანიჭეს.

დღეს, ნომერ პირველი ქართული თეთრი ღვინო კვლავ დასახელებით „წინანდალი“ გამოდის და იყიდება უცხოეთში. ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების უმრავლესობას აქვს საკუთარი ვენახები წინანდლის მიკროზონაში ან ყიდულობს იქ მოწეულ ყურძენს და საკუთარ „წინანდალს“ აწარმოებს.

ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციის გარდა, საქპატენტმა ევროკავშირში სასაქონლო ნიშნების, ანუ ბრენდის დარეგისტრირებაც გადაწყვიტა. „საქართველო – ღვინის აკვანი“ და „ქვევრი“ – ეს ორი სახელწოდება უკვე საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდები და საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა. როგორც საქპატენტის ხელმძღვანელი ირაკლი ღვალაძე განმარტავს, ეს მარკეტინგული ნაბიჯია, რომლის გამოყენებაც უკვე შეუძლიათ ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს.

„ბევრი ქვეყანა, მაგალითად, ავსტრალია, ჩილე და არგენტინა, ღვინოს უცხოეთში ერთი ბრენდის ქვეშ ყიდის. მათ აქვთ სლოგანები, რომლის ქვეშაც გაერთიანებულია მათი ღვინოები. გადავწყვიტეთ, რომ ასეთი რამ ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა. წარმოიდგინეთ უცხოელი, რომელიც ღვინის შეძენით არის დაინტერესებული და მისთვის უცხო სახეობის ღვინოზე ასეთ წარწერას ნახავს „საქართველო – ღვინის აკვანი“, ის აუცილებლად დაინტერესდება და ამ ღვინოს გასინჯავს. ხოლო რაც შეეხება „ქვევრს“, მოგეხსენებათ, რომ ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგია ათასწლეულებს ითვლის საქართველოში და ეს უნიკალური მეთოდია, რომელიც დღემდე გამოიყენება ჩვენს ქვეყანაში. ახლა უკვე ბრენდი „ქვევრი“ ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს და ჩვენ მზად ვართ სრულიად უსასყიდლოდ გადავცეთ მისი გამოყენების უფლება დაინტერესებულ კომპანიებს“, – განმარტავს ირაკლი ღვალაძე.

საქპატენტის ხელმძღვანელის ინფორმაციით, უკვე გაჩნდა დაინტერესება რამდენიმე კომპანიის მხრიდან. ასე, რომ შესაძლოა მალე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც სავაჭრო ობიექტებში იპოვოთ ღვინო სახელწოდებით „საქართველო – ღვინის აკვანი“ ან „ქვევრი“. თქვენ თამამად შეგიძლიათ შეიძინოთ და დააგემოვნოთ ეს ღვინო და დარწმუნებული იყოთ, რომ ის 100 %-ით ქართულია.

Georgian wine producing companies have their own vineyards in Tsinandali micro-zone or purchase grapes harvested there to produce its own Tsinandali.

In addition to registration of appellations of origins, Sakpatenti also decided to register trademarks or brands in EU. *Georgia – Cradle of Wine®* or *Qvevri* – these are the two names that have been internationally recognized as brands and are owned by the state of Georgia. Chairman of Sakpatenti Irakli Ghvaladze explains that this is a marketing tool that Georgian wine producing companies are now able to use.

“Many foreign countries, e.g. Australia, Chile and Argentina, are selling their wine abroad under one brand. They have slogans that unify their wines. We decided that this would be useful to us as well. Imagine a foreigner, who is interested in buying wine, sees an inscription on a bottle of wine that he meets for the first time, *Georgia – Cradle of Wine®*, it will certainly draw his interest and he will decide to taste the wine. As to *Qvevri*, as you may know, making of wine by using the *Qvevri* method is several millennia old in Georgia. The new brand *Qvevri* now belongs to the State of Georgia and we are ready to provide the right to use it free of charge to any interested companies”, – explains Irakli Ghvaladze.

According to Sakpatenti Chairman, several companies have already expressed interest. So wines named *Georgia – Cradle of Wine®* or *Qvevri* may soon appear for sale in Georgia and on markets abroad. You may confidently buy it and try it knowing that it is 100% Georgian.

ადგილწარმოშობის დასახელება

ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

- რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;
- რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით;
- რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

APPELLATION OF ORIGIN

An appellation of origin is a modern or historical name of a geographical place, region or, in exceptional cases, a name of a country, used to designate the goods:

- originating within the given geographical area;
- the specific quality and features of which are essentially or exclusively due to a particular geographical environment and human factors;
- production, processing and preparation of which takes place within the geographical area.



ქეთი მელუა – ბრიტანელების
საყვარელი ქართველი
მომღერალი

KATIE MELUA – BRITAIN'S
FAVORITE GEORGIAN
SINGER

სოფო კვინტრადი
SOPHIE KVINTRADZE



11 მილიონზე მეტი გაყიდული ალბომი, ცოცხალი შესრულება მილიონიან საკონცერტო არენებზე, მუსიკალური ჩარტების მუდმივი ლიდერობა და 56 „Platinum Awards“ – ეს ქეთი მელუაა, დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარული მუსიკოსი.

საქართველოში დაბადებული ქეთევანი 8 წლის იყო, როდესაც ოჯახთან ერთად საცხოვრებლად დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, ირლანდიის ქალაქ ბელფასტში გადავიდა. ბელფასტში ქეთის მამა კარდიოლოგად მუშაობდა. ქეთის სიმღერა ბავშვობიდან უყვარდა, ხშირად ანეზობდა საოჯახო კონცერტებსაც, რასაც ახლა სიამოვნებით იხსენებს. თუმცა, მისი, როგორც მუსიკოსის კარიერა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ერთ-ერთ ბრიტანულ სატელევიზიო არხზე გამართულ შოუში მონაწილეობამ. კონკურსზე ქეთიმ „Badfinger“-ის ცნობილი სიმღერა „Without You“ შესარულა და გამარჯვება მოიპოვა. მაშინ ქეთი 15 წლის იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა ლონდონის ხელოვნათა სასწავლებელში განაგრძო, სადაც უკვე სიმღერების ნერაც დაიწყო, აქვე შეხვდა ქეთი მელუა თავის მომავალ მენეჯერსა და პროდიუსერს, მუსიკოს მაიკ ბეტს.

2002 წლის სექტემბრიდან ქეთი მელუას ახალი ცხოვრება იწყება, მან კონტრაქტი გააფორმა მაიკ ბეტის საპროდიუსერო კომპანიასთან, ამიერიდან მელუას სახელი ლეიბლ „Dramatico“-ს დაუკავშირდა.

დღეს „Dramatico“-ში ამბობენ, რომ მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა რამხელა წარმატება მოჰყვებოდა ქეთი მელუას რიგით მესამე ალბომს „Pictures“. ამ ალბომის გაყიდვებით ქეთი მელუა წლის ყველაზე გაყიდვადი ბრიტანელი ქალი მუსიკოსი გახდა მსოფლიოში. რეკორდულ გაყიდვებს მსოფლიო

Over 11 million sold albums, live performance in the largest concert venues, constant leadership in music charts and 56 Platinum Awards – this is Katie Melua, one of the most successful and popular musicians of Great Britain.

Georgia-born Ketevan was eight years old, when her family moved to UK, particularly in the Irish city of Belfast. In Belfast, Katie's father worked as a cardiologist. Katie loved singing from her early childhood; she frequently arranged family concerts and she still recollects about it with pleasure. However, her career of a musician was largely determined by her participation in the show of one of the British TV channels. Katie performed a famous song "Without You" by "Badfinger" and won the contest. Katie was 15 years old then. After finishing the school, she continued her studies at the London School for Performing Arts, where she started to compose her first songs and where she later met her future manager and producer, musician Mike Batt.

From September 2002 Katie Melua started a new life. She signed a contract with Mike Batt's production company; since then Melua's name became associated with label "Dramatico".

Today they often say in "Dramatico" that they could have hardly imagined by then how successful Katie Melua's third album "Pictures" would have been. As a result, Melua became the best-selling UK-based female artist in the world. Record sales were followed by concert tours throughout the world. Katie performed at the concert dedicated to Nelson Mandela with a legendary rock band "Queen" also performing at the same concert. A successful Georgian girl turned into Britain's favorite singer; the royal family also listened to her music and Queen Elisabeth invited Katie Melua to a dinner at Buckingham Palace.

საკონცერტო ტურნეებიც მოჰყვა, ქეთიმ ნელსონ მანდელასადმი მიძღვნილ კონცერტზეც იმღერა, სადაც ასევე გამოდიოდა ლეგენდარული ჯგუფი „Queen“. წარმატებული ქართველი გოგონა ბრიტანელების საყვარელ მომღერლად იქცა, მისი მუსიკა სამეფო ოჯახშიც მოისმინეს და დედოფალმა ელიზაბეტმა ქეთი მელუა ბუკინგემის სასახლეში სადილზე დაპატიჟა.

ქეთის სიმღერები სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა და ყოველი მისი ახალი მელოდია ბრიტანეთში ჰიტად იქცეოდა. ასე მოხდა სიმღერის „The Closest Thing to Crazy“-ს შემთხვევაშიც. როდესაც ის პირველად რადიოში გაუშვეს, აღფრთოვანებული მაყურებლების ზარები არ წყდებოდა, ვილაცები ტიროდნენ, ვილაცები მანქანებს აჩერებდნენ და ისე უსმენდნენ, სხვები კი დაუყოვნებლივ ითხოვდნენ სიმღერის შეძენას. ალბომი, რომელშიც ეს სიმღერა შევიდა, ბრიტანული ჩარტების ლიდერი გახდა და 6 კვირის განმავლობაში პირველობა არავის დაუთმო.

ქეთისთვის სიმღერებს თავად მაიკ ბეტიც წერდა. კიდევ ერთი ჰიტის „Nine Million Bicycles“-ის შექმნის ისტორია ჩინეთს უკავშირდება, სადაც ქეთი და მაიკი ერთად იყვნენ. პეკინში მოგზაურობისას გიდმა მათ უთხრა, რომ ამ ქალაქში 9 მილიონი ველოსიპედი იყო.

Katie's songs were gaining popularity from day to day. Each of her new melodies was becoming a hit in Britain. The same happened with a song "The Closest Thing to Crazy". When it was first aired on radio, the calls from excited listeners were not stopping. Some were crying, others were stopping their cars and listening to the song as well as demanding to purchase the song immediately. The album with this song became the leader of British charts and maintained its leadership during six weeks.

Mike Batt also wrote songs for Katie Melua. The history of composing one more hit "Nine Million Bicycles" is connected with China, when Katie and Mike Batt visited the country together. While traveling in Beijing, the guide showed them around the city and said that there were supposedly nine million bicycles in the city. An idea struck Mike immediately and two months later a new song was ready. Melua recollects that it was the strangest melody she has ever heard. Just therefore she decided to perform it.

In parallel with albums, Katie Melua was also planning concert tours. Soon she appeared before the audience with her acoustic guitar and solo performance that further increased the number of her fans. In a live review of one of such concerts *The Times* wrote "her voice was rarely short of astounding".



11 მილიონზე მეტი გაყიდული ალბომი, ცოცხალი შესრულება მილიონიან საკონცერტო არენებზე და 56 „Platinum Awards“.

Over 11 million sold albums, live performance in the largest concert venues, constant leadership in music charts and 56 Platinum Awards.



KATIE MELUA

K E T E V A N

მაიკს მაშინვე გაუჩნდა სიმღერის იდეა და ორი თვის შემდეგ ქეთის ახალი სიმღერა მოასმენინა. მელუა იხსენებს, რომ ეს ყველაზე უცნაური მელოდია იყო, რომელიც კი ოდესმე მოესმინა, სწორედ ამიტომ მოუწდა მისი შესრულება.

ალბომების პარალელურად ქეთი მელუა საკონცერტო ტურნეებსაც გეგმავდა. მალე ის თავისი აკუსტიკური გიტარით და სოლო შესრულებით წარსდგა მსმენელის წინაშე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი გულშემატკივრების რიცხვი. ერთ-ერთი ასეთი კონცერტის შეფასებისას ბრიტანული „Times“-ი წერდა, რომ „მისი ხმა მომაჯადოებლად ჟღერდა“.

ქეთი მელუას მეექვსე ალბომი, „Ketevan“ დიდ ბრიტანეთში მის 29-ე დაბადების დღეზე გამოვიდა.

Melua's sixth album "Ketevan" was released in UK on September 16, on the 29th birthday of Katie Melua.

In 2011 Katie toured Europe, while in 2012 she released another new album. Melua's sixth album was released by "Dramatico" in UK on September 16, the 29th birthday of Katie. Later, the album will be spread in other European countries. Melua's songs and albums are also sold via Amazon and iTunes.

Below in the exclusive interview with *IP Georgia* you can read why Katie Melua decided to give her new album her own name, Ketevan.

2011 წელს მან ევროპულ ტურნეში იმოგზაურა, 2012 წელს კი კიდევ ერთი ახალი ალბომი შესთავაზა მსმენელს. „Dramatico“-ს მიერ გამოცემული ქეთი მელუას მეექვსე ალბომი ბრიტანეთში, 16 სექტემბერს, ქეთის 29-ე დაბადების დღისთვის გამოვიდა. ის შემდგომ ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდება. ქეთი მელუას სიმღერები და ალბომები იყიდება, ასევე, „Amazon“-სა და „iTune“-ზე.

თუ რატომ შეარჩია ქეთი მელუამ ახალი ალბომის სახელწოდებად თავისი სახელი – „Ketevan“, ამას წაიკითხავთ ქვემოთ, ექსკლუზიური ინტერვიუში, რომელიც მომღერალმა ჟურნალს „IP საქართველო“ მისცა.

IP რა არის თქვენი შთაგონების წყარო მუსიკის წერისას?

– თავად სიმღერებია ჩემი ინსპირაციის ყველაზე დიდი წყარო. იმ მომენტიდან მოყოლებული, როცა პირველად მოვისმინე ჯონ ლენონის შესრულებით „Imagine“, ან ქეთ სტივენსის „Where Do The Children Play“, ან ლუი რიდის „Perfect Day“, მაშინვე მომაჯადოვა ამ მუსიკის ძალამ და მისმა სიტყვებმა. ასე რომ, როცა შთაგონებული ვარ მუსიკით, ეს ალტაცება უკან მიბრუნდება და მინდა უფრო ახლოს მივიდე ამ სრული თავის დაღწევის განცდასთან.

IP რა არის ყველაზე სასიამოვნო იმაში, რომ ხართ პოპულარული და წარმატებული მუსიკოსი დიდ ბრიტანეთში?

– ყველაზე სასიამოვნო არის ის პროცესი, როდესაც გზაში ვარ და ჩემს ბენდთან ერთად ტურნეში მივემგზავრები. მე მიყვარს სცენაზე დგომა და სცენის გაზიარება იმ არაჩვეულებრივ მუსიკოსებთან, რომლებიც ახლა ჩემთვის ოჯახის წევრები არიან. ეს ისეთი დიდებული გრძნობაა, როდესაც აკეთებ მუსიკას მათთან ერთად და გყავს აუდიტორია, რომელსაც ამ მუსიკას უზიარებ.

IP მოგვიყევით უფრო მეტი თქვენი ახალი ალბომის „Ketevan“-ის შესახებ. ალბომის სათაურად ქართული სახელის არჩევას რაიმე კავშირი ხომ არა აქვს თქვენს სამშობლოსთან?

– „Ketevan“-ი არის ჩემი რიგით მეექვსე სტუდიური ალბომი. მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვმღერი ჩემს მშობლიურ ენაზე, ყოველთვის ვგრძნობდი კავშირს ჩემს სამშობლოსთან ჩემი მუსიკით. სიმღერა საქართველოში დავიწყე. ქართული კულტურა და ენა კი ძალიან ექსპრესიულია. ასე, რომ მელანქოლიური და ემოციური სიმღერა ჩემგან ბუნებრივად მოდის.

რამდენიმე მიზეზია რატომაც დავარქვი ამ ალბომს „Ketevan“-ი. რამდენიმე წლიანი შესვენების შემდეგ ამ ალბომით კვლავ დავუბრუნდი სიმღერების წერას, ეს კი ყოველთვის არის საკუთარი თავის გამომხატველი. ასევე, მაქვს ერთი სიმღერა, რომელიც სერგო ფარაჯანოვს მიუძღვნის, საქართველოში მოღვაწე ბრწყინვალე სომეხ კინორეჟისორს, რომლის შემოქმედებაც ძალიან შთაბეჭდილებს.

IP What inspires you in your songwriting?

– Songs themselves have always been my biggest inspiration. From the moment I heard songs like “Imagine” by John Lennon, “Where Do The Children Play” by Cat Stevens or “Perfect Day” by Lou Reed I was instantly mesmerized by the power music put with words has. So when I get inspired that excitement comes back to me and I want to get close to that feeling of total escape.

IP What do you find most fun in being a popular and successful musician in the UK?

ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, როცა ეს პირველად მოხდა, მაშინ კოლეჯი ახალი დამთავრებული მქონდა, არავინ მიცნობდა და, რა თქმა უნდა, ემოცია დიდი იყო.“

ამბობს, რომ როცა ბიონსემ მისი კაბა აარჩია განსაკუთრებულად გაუხარდა, რადგან ის ძირითადად „Thierry Mugler“-ს ატარებს, რომელიც კარლ ლაგერფელთან ერთად მისი ერთ-ერთი კერპია.

„ყოველთვის მინდოდა ჩემი ბრენდი შემექმნა და დამოუკიდებლად მეშუავე, მაგრამ ძალიან ბევრი პოპულარული მოდის სახლი და სახეა, ვისთანაც მუშაობას პატივად ჩავთვლიდი, მაგალითად Clash, Clod Montana, Thierry Mugler და კიდევ უამრავი.“

ფიქრობს, რომ დღეს, როცა პლაგიატი და კოპირება ასე ხშირია, ნებისმიერმა დიზაინერმა უნდა დაარეგისტრიროს საკუთარი სახელი და ლოგო.

„აქ, ევროპაში ასე იქცევიან. შესაძლოა, ეს მეტ-ნაკლებად ძვირი იყოს, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელია ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მუშაობ და საკუთარ პროდუქციას წარადგენ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთშიც კი უნდა დარეგისტრირდე თუ ბიზნესის გაფართოებასა და დიდ ბაზარზე გასვლას გეგმავ. ყველა მექანიზმი უნდა აამოქმედო და ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ დაცული იყო.“

ქართველ კოლეგებზე მყარად ჩამოყალიბებული მოსაზრებები არ აქვს, მაგრამ იცის, რომ საქარ-

გაზაფხული-ზაფხული 2013
Spring-Summer 2013

are frequent, any designer should register his name and logo.

“This is how they do it here, in Europe. It can be more or less expensive but it is necessary to do in all countries where you work and present your production. You should get registered even in the USA and China if you plan to expand your business and access large markets. You should use all mechanisms available and do as much as possible to be protected.”

He does not have any firmly established opinions about his Georgian colleagues but he knows that many talented people, many designers in Georgia work abroad, so he believes in a successful future of the Georgian fashion. In his view, fashion is a difficult world, in which a beginner designer can survive only due to talent, purposefulness and infinite love for his job. In addition to creativity, organizational skills are also necessary.

“I always tell my students and interns – when starting your work as a designer, you should first ask yourself million times, whether this is something you can’t live without, something that you want most in the whole world. If this is true and you don’t see yourself anywhere else, then you can start working in fashion industry. If this is not something you really want, you simply won’t be able to handle it.”

He has already presented his latest Fall-Winter collection during London Fashion Weeks. He has many plans, including about his personal life but he believes that there is no need to hurry – **“I’m not in a hurry. My business and I move forward slowly but successfully.”**



თველოში ბევრი ნიჭიერი ადამიანია, ბევრი დიზაინერი საზღვარგარეთაც მუშაობს. ასე, რომ ქართული მოდის წარმატებული მომავლის სჯერა. მისი აზრით, მოდა ურთულესი სამყაროა, სადაც ახალბედა დიზაინერს მხოლოდ ნიჭიერება, მიზანდასახულობა და თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარული თუ გადაარჩენს. მიაჩნია, რომ შემოქმედების გარდა აუცილებელია ორგანიზატორული უნარებიც.

„ჩემს სტუდენტებსა და ინტერნებს ყოველთვის ვეუბნები: როცა ამ საქმეს იწყებ, მილიონჯერ მაინც უნდა ჰკითხო საკუთარ თავს – არის თუ არა ეს ის საქმე, რომლის გარეშეც ვერ ვიცხოვრებ და რაც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მინდა? თუ ასეა და თავს სხვაგან ვერსად ხედავ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოდის ინდუსტრიაში მუშაობის დაწყება. თუ ძალიან არ გინდა, უბრალოდ ვერ გაუძლებ.“

შემოდგომა-ზამთრის ბოლო კოლექცია ლონდონის მოდის კვირეულზე წარადგინა. კიდევ ძალიან ბევრი გეგმა აქვს, მათ შორის ოჯახურ ცხოვრებაშიც. თუმცა თვლის, რომ არ უნდა იჩქაროს – „მე არ ვჩქარობ, წინ მივდივარ ჩემს ბიზნესთან ერთად, ნელა, მაგრამ წარმატებულად.“

ჯენიფერ ლოურენსი და მაილი საირუსი დევიდ კომას კაბებში.

Jennifer Lawrence and Mylie Cyrus in David Koma.



ლიზაიზი

დიზაინი არის პროდუქტის გარეგანი სახე, გამოსახულება. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალური. დიზაინი რეგისტრირდება საქპატენტიში.

DESIGN

Design is an external face, appearance of the product. Legal protection shall be granted to a design if it is new and has individual character. Design shall be registered at SAKPATENTI.

ქართული სუფრის საგანძური

TREASURE OF GEORGIAN FEAST

ლიკა ბერაია
LIKA BERAIA



მრავალფეროვანი ქართული სამზარეულო, ნატურალური პროდუქტით დამზადებული, სპეციფიკური არომატებით გაჯერებული და გამორჩეულად ნოყიერი, ტრადიციული კერძებით, საქართველოს სავიზიტო ბარათია. ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით დამზადებული კერძები თუ სასმელი გულგრილს არც ერთ სტუმარს არ ტოვებს. ქართული სუფრის საგანძური, რომელიც ხალხმა თანამედროვე თაობას საუკუნეების მანძილზე შემოუნახა, დღეს უკვე კანონმდებლობის დონეზეა დაცული.

ყველი

ყველი ერთ-ერთი გამორჩეული პროდუქტია, რომელიც საქართველოში უძველესი დროიდან არაერთი მეთოდით მზადდება.

დამზადების ტექნოლოგია, ნედლეულის მოპოვების ადგილი და შენახვის წესი იმდენად მრავალფეროვანი და უნიკალურია, რომ 2012 წელს საქპატენტმა 13 სახეობის ყველი გეოგრაფიულ აღნიშვნად დაარეგისტრირა. სტატიის რამდენიმე მათგანს წარმოგიდგენთ.

სულგუნი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და უძველესი სახეობის ყველია საქართველოში. მეგრული სულგუნი ჯერ კიდევ კოლხთა სამეფოდანაა ცნობილი და მისი დამზადების ტექნოლოგია დღესაც ისეთივეა, როგორიც რამდენიმე საუკუნის წინათ იყო. სულგუნი ორჯერ იხარშება, ზომიერად მარილიანი, წვნიანი და ფენოვან-ფურცლოვანია. სულგუნს სვანეთშიც ამზადებენ და ის მეგრულზე მეტად ნოყიერი და ცხიმოვანია.

ჩოგი – მოყვითალო ფერის ყველი, კარაქის მაგვარი კონსისტენციით. მზადდება ივლისსა და აგვისტოში მონველილი ცხვრის მალალცხიმიანი რძისგან. ჩოგის დასამზადებლად გამოიყენება მხოლოდ თუშეთის საზაფ-

Diverse Georgian cuisine with its extremely nutritious traditional dishes prepared from natural products and saturated with specific flavors is a visiting card of Georgia. Dishes and beverages prepared under Georgian tradition will not leave the guests of Georgia indifferent. For centuries, people have been preserving the treasures of Georgian feast for future generations, whereas today they are already protected by relevant legislation.

CHEESE

Cheese – one of the most distinctive products prepared by different methods in Georgia since ancient times. Preparation technology, raw material extraction place and storage rules are so diverse and unique that in 2012 Sakpatenti registered 13 types of cheese as geographical indications. Let us present some of them in this article.

Sulguni – one of the most popular and ancient types of cheese in Georgia. Megruli Sulguni is first known to have been used in the Kingdom of Kolchis and its preparation technology is the same today as it was centuries ago. Sulguni is boiled twice; it is moderately salty, juicy and with layers. Sulguni is also prepared in Svaneti and it is more nutritious and fatty than Megruli Sulguni.

Chogi – this cheese has a yellow color and a consistency of butter. The cheese Chogi is produced from high fat sheep milk got in July and August. Chogi is produced exclusively from the milk, obtained from Tusheti spring pastures giving the cheese special flavor and taste.

Tenili – this cheese, processed in a form of thin threads, is produced from high fat sheep and cow milk in the Samtskhe-Javakheti Region and the Dmanisi Municipality of Lower Kartli Region. The cheese is initially rinsed in cream and then placed in pots. Later the pots



სულგუნი ორჯერ იხარშება. ის ზომიერად მარილიანი, ნვნიანი და ფენოვან-ფურცლოვანია.
Sulguni is boiled twice, is moderately salty, juicy and has layers.



ფოტო: „ქართული ყველის“ არქივიდან
Photo: From archives of “Georgian Cheese”

ხულო საძოვრებიდან მიღებული რძე, რაც მას განსაკუთრებულ სურნელსა და გემოს ანიჭებს.

ტენილი უწვრილეს ძაფებამდე დამუშავებული ყველია, რომელიც ძროხისა და ცხვრის მალალციხიმიანი რძისაგან სამცხე-ჯავახეთის რეგიონსა და ქვემო ქართლის რეგიონში, დმანისის მუნიციპალიტეტში მზადდება. ყველს ჯერ ნალებში ავლებენ, შემდეგ კი ქოთნებში ჩატენილს ნაცარზე პირქვე ამოხვენ. ძველად ტენილს ძირითადად სადღესასწაულოდ ამზადებდნენ.

აჭარული ჩლეჩილი მზადდება ძროხის მოხდილი რძისგან, ზაფხულის პერიოდში. ყველის მასა ძაფოვანი, შეკრული და დაწულია. დაწული ყველის სიგრძე 25, სიგანე კი 15 სმ-ია.

მესხური ჩეჩილი საქართველოს სამხრეთ რეგიონში, მესხეთში მზადდებოდა უძველესი დროიდან. გამოირჩევა მსუბუქი რძემჟავური გემოთი და სასიამოვნო არომატით. არსებობს მესხური ჩეჩილის შებოლილი ნაირსახეობაც.

კობი მზადდება ძროხის მოხდილი ან ნაწილობრივ მოხდილი რძისგან, რომელსაც ურევენ ცხვრის რძეს. კობი ცილინდრის ფორმის ყველია, ოდნავ გაწეული გვერდებით, ჰორიზონტალური ზედაპირით და ქერქის გარეშე. ამ სახეობის ყველს ოდნავ მოცხარო გემო გამოარჩევა.

გუდა ძროხის, ცხვრისა და, შესაძლოა, თხის რძით დამზადებული ყველია, რომელიც ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისგან დამზადებულ გუდაში მწიფდება ისე, რომ გაკრეჭილი ბეწვი აუცილებლად გუდის შიდა მხარეს უნდა იყოს მოქცეული. გუდას დასამზადებლად საჭირო რძე აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი კახეთის,

ტენილი უწვრილეს ძაფებამდე დამუშავებული ყველია, რომელიც ძროხისა და ცხვრის მალალციხიმიანი რძისგან მზადდება.

Tenili cheese, processed in a form of thin threads, is produced from high fat sheep and cow milk.

are placed upside down on scattered wood ash. In old times, Tenili was mostly prepared during solemn days.

Acharuli Chlechili – this cheese is produced from fat-free cow milk in the summer time. It has a tied or a wattle shape from thin threads. The length of wattled cheese is 25cm and the width is 15cm.

Meskhuri Chechili – produced in Meskheta, southern Georgia, since ancient times. It has a soft taste of lactic acid and pleasant aroma. A smoked type of Meskhuri Chechili is also produced in Georgia.

Kobi – it is prepared from fat-free or partially fat-free cow milk mixed with sheep milk. Kobi has a form of a cylinder with slightly prominent sides, horizontal surface and without crust. This type of cheese is a bit spicy.

Guda – this cheese is produced from cow, sheep or possibly goat milk. Cheese ripening is carried out in Guda – a bag made of sheep, goat or calf skin, which must be trimmed from inside. Milk for producing Guda cheese is obtained in eastern Georgia, particularly in the regions of Kakheti, Lower Kartli, Samtskhe-Javakheti and Mtskheta-Mtianeti.

According to the Georgian Cheese Association, the only reason why Georgian cheese had not been famous among the world cheeses was Soviet regulations. However, Georgian Cheese Project Manager Ana Mikadze-Chikvaideze believes that it is regretful for the rest of the world rather than vice versa. **“Those standards, which are introduced in cheese production today, are quite clear and acceptable for Georgian pro-**

ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში მიიღება.

ქართული ყველის ასოციაციაში ამბობენ, რომ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ქართულ ყველს მსოფლიოს ყველთა შორის ცნობადობის მაღალი ხარისხი არ ჰქონდა, საბჭოთა რეგულაციები იყო. თუმცა, პროექტის „ქართული ყველი“ ხელმძღვანელი – ანა მიქაძე-ჩიკვაძე ფიქრობს, რომ ეს უფრო დანარჩენი მსოფლიოსთვისაა დასაბუთებული, ვიდრე პირიქით. „სტანდარტები, რომლებიც დღეს დანერგულია ყველის წარმოებაში, ქართველი მწარმოებლისთვის სავსებით გასაგები და მისაღებია. ჩვენ ვირჩევთ ევროკავშირის სტანდარტებს და, მათი დანერგვის შესაბამისად, ძალიან მალე დავიმკვიდრებთ ადგილს ყველის სამყაროში“, – ამბობს ანა მიქაძე-ჩიკვაძე.

ჩოგი, ტენილი, აჭარული ჩლეჩილი, მესხური ჩეჩილი, სულგუნი, მეგრული სულგუნი, სვანური სულგუნი, კობი, გუდა, თუშური გუდა, იმერული ყველი, ქართული ყველი და დამბალხაჩო – ქართული ყველის ყველა ამ სახეობას გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსი უკვე ეცავს. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის პროდუქცია, რომლის წარმოებაც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი.

ჩურჩხელა

ჩურჩხელა ყველისგან განსხვავებით, ისეთი პროდუქტია, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება. ის ნიგვზითა და ყურძნის წვენიტ დამზადებული ტკბილეულია, რომელიც საქართველოში ყველას უყვარს, ქვეყნის

ducers. We choose the EU standards and along with introducing these standards we will gain the foothold in the cheese world quite soon“, says Ana Mikadze-Chikvaidze.

Chogi, Tenili, Acharuli Chlechili, Meskhuri Chechili, Sulguni, Megruli Sulguni, Svanuri Sulguni, Kobi, Guda, Tushuri Guda, Imeruli Kvili, Kartuli Kvili and Dambalkhacho – all these types of Georgian cheeses are already protected by the status of geographical indications meaning that this is the product, which can be produced exclusively in Georgia.

CHURCHKHELA

Churchkhela – Unlike cheese, it is the product which has no analogs throughout the world. Churchkhela is made from walnut and grape juice; it is the most favorite candy in Georgia and gains increasing popularity outside the country. Today, it can even be purchased through Amazon's website. Before that, the process of dipping walnut halves in grape juice was discovered on clay plates dated the 2nd century BC. Clay plates and special clay vessels used by the ancient Georgians to store Churchkhela were discovered by archaeologists when excavating ancient graves.

According to historical sources, the country of vine-growing and wine-making has a long history of preparation of Tatara (grape juice thickened with flour) and Churchkhela. According to the legend, Georgian soldiers traditionally carried Churchkhela on their campaigns. Moreover, Churchkhela traditionally is a part of Georgian shepherds' meals. It is extremely calorific;



ფოტო - shutterstock.com
Photo: shutterstock.com



ჩურჩხელა საქპატენტის მიერ 2011 წელს
დარეგისტრირდა, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა.
Churchkhela was registered by Sakpatenti in 2011 as a
geographical indication.

ფოტო: გოგა ჩანადირი
Photo: Goga Chanadiri

გარეთ კი მზარდ პოპულარობას იძენს. დღეს მისი შეძენა შესაძლებელია ინტერნეტგაყიდვების უმსხვილესი კომპანიის „ამაზონის“ ვებგვერდის საშუალებითაც. „ამაზონამდე“ კი ჩურჩხელას ამოვლების პროცესი ჩვ.წ. აღმდე II საუკუნით დათარიღებულ თიხის ფირფიტებზე მოხვდა. თიხის ფირფიტები და თიხისავე სპეციალური ჭურჭელი, რომელშიც ძველი ქართველები ჩურჩხელას ინახავდნენ, არქეოლოგებმა უძველესი სამარხების გათხრებისას აღმოაჩინეს.

ისტორიული წყაროები ცხადყოფს, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის ქვეყანაში თათარისა და ჩურჩხელის დამზადებას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. გადმოცემის თანახმად, ჩურჩხელა ყოველთვის თან მიჰქონდათ საომრად მიმავალ ქართველებს. მისთვის დღესაც მუდამ მოიძებნება ადგილი მთიელი მწყემსების საგზალში. საკმაოდ კალორიულია და, აქედან გამომდინარე, მაღალია მისი, როგორც საკვები პროდუქტის, ენერგეტიკული ღირებულებაც. მეგრძოლები და მწყემსები ჩურჩხელასთან სწორედ ამ თვისების გამო „მეგობრობენ“.

ჩურჩხელა დიდი რაოდენობით შეიცავს ადვილად ასათვისებელ ნახშირწყლებს – გლუკოზასა და ფრუქტოზას. გლუკოზა კი ადამიანის ორგანიზმის ენერგიით მომარაგებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. კარგად ნახარში ყურძნის წვენი, რომლისგანაც თათარა და ჩურჩხელა მზადდება, დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს, ორგანულ მჟავებს, მიკრო და მაკროელემენტ-

hence, its nutritional value is high. Just these properties prompted soldiers and shepherds “to make friends” with Churchkhela.

Churchkhela contains large amount of carbohydrates – glucose and fructose. Glucose is one of the most important sources of supplying human body with energy. Condensed grape juice from which Tatar and Churchkhela is made contains large amount of antioxidants, organic acids, micro and macro elements, potassium, phosphorus, iron and magnesium.

Churchkhela is the best means for feeding the cardiac muscle. Badagi (condensed grape juice) and walnuts regulate acid-alkaline balance in the body, thus having a positive effect on blood producing organs. Just therefore, doctors prescribe grape juice, Tatar and Churchkhela to the patients with anemia. Specific properties of Churchkhela are largely determined by walnuts, which have been recognized by scientists as brain food. Tatar made from grape juice is a natural remedy for insomnia.

Thus, Churchkhela, a string of walnut halves dipped in grape juice called Tatar, was registered by Sakpatenti in 2011 as a geographical indication. According to legal regulations, Churchkhela is “a national brand” and respectively, high quality and special properties of the product should be protected by the state. The documents give a detailed description of geographical areas, where the raw materials necessary for preparing Churchkhela should be extracted, as well as the rule of its preparation and visual and gustatory properties.

Thus, Churchkhela is a Georgian product and it is authentic only if it is produced in Georgia.

ებს, კალიუმს, ფოსფორს, რკინასა და მაგნიუმს.

ჩურჩხელა გულის კუნთსაც შესანიშნავად კვებავს. ბადაგი და კაკალი ანესრიგებს მუავა-ტუტოვან ბალანსს ორგანიზმში, რის გამოც დადებითად მოქმედებს სისხლმზავად ორგანოებზე. სწორედ ამიტომ, ექიმები ანემიის დროს პაციენტებს ურჩევენ ყურძნის წვენს, თათარასა და ჩურჩხელას. განსაკუთრებულ თვისებებს სძენს ჩურჩხელას კაკალი, რომელიც მეცნიერებმა ტვინის საკვებად აღიარეს. ყურძნის ძლიერნახარში წვენისგან მომზადებული თათარა უძილობის ბუნებრივი ნამალაცაა.

ძაფზე ასხმული ნიგოზი ან თხილი, ამოვლებული ყურძნის წვენის ფაფაში, სახელწოდებით „ჩურჩხელა“ საქპატენტის მიერ 2011 წელს დარეგისტრირდა, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა. სამართლებრივი რეგულაციის მიხედვით, „ჩურჩხელა“ ნაციონალური ბრენდია და შესაბამისად, პროდუქტის მაღალი ხარისხი და განსაკუთრებული თვისებები დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ. დოკუმენტებში დეტალურადაა აღწერილი ჩურჩხელის დამზადებისთვის საჭირო ნედლეულის მოპოვების გეოგრაფიული არეალი, მისი დამზადების წესი და გემოვნური თუ ვიზუალური მახასიათებლები. ასე რომ, ჩურჩხელა ქართულია და ის მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნამდვილი, თუ საქართველოშია დამზადებული.

ბორჯომი

ბორჯომი ვულკანური წარმოშობის მინერალური წყალი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართული ბრენდი უცხოეთში, რომელიც უნიკალური სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა. ის ზღვის დონიდან 850-2500 მეტრის სიმაღლეზე, კავკასიის მთებში იღებს სათავეს და ბორჯომის ნაკრძალის ჭაბურღილებიდან მოიპოვება. თითქმის 2000 წლის წინ, ბორჯომის ხეობაში ქვისა და ხისგან გაკეთებული აბანოები არსებობდა. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ადრე ბორჯომს სწორედ აბაზანებისთვის იყენებდნენ. ბორჯომის წყალი სასამელოდ მხოლოდ 1825 წელს გამოიყენეს რუსეთის იმპერიის სამხედრო მოსამსახურეებმა. ჯარისკაცებმა მიწიდან ამომავალ თბილ წყალს ჯერ თავად გაუსინჯეს გემო, შემდეგ კი პოლკოვნიკ პოპოვს მიართვეს, რომელსაც თურმე კუჭი ანუხებდა. პოლკოვნიკს იმდენად მოსწონებია ბორჯომის წყალი, რომ წყარო ქვით შემოაღობინა და იქვე ახლოს ქოხი ააშენებინა.

1834 წელს სამხედრო ექიმმა ამიროვმა ბორჯომის წყლის შესწავლა დაიწყო. მან პირველმა აღწერა მინერალური წყლის სასარგებლო თვისებები და სინჯები მოსკოვსა და პეტერბურგში გაგზავნა. ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი საოცარი წყლის ამბავმა მიაღწია გენერალ-გუბერნატორ ევგენი გოლოვინამდე, რომელმაც ბორჯომში სამკურნალოდ ქალიშვილი გააგზავნა. გოგონა დაავადებისგან მალე განიკურნა და მინერალური წყლის პირველ წყაროსაც მის პატივსაცემად, „ეკატერინსკი“ უწოდეს.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ბორჯომმა ფართოდ გაითქვა სახელი რუსეთის იმპერიაში. ქალაქი ბორჯომი კი სამთო-ბალნეოლოგიურ კურორტად ჩამოყალიბდა.

1890 წლიდან ბორჯომის წყლის სანარმოო ჩამოსხმა

BORJOMI

Borjomi is a mineral water of volcanic origin, one of the most famous Georgian brands abroad, which has unique health properties. The Borjomi spring is located in the Caucasus Mountains at an altitude of 850–2500m above sea level and is extracted from the wells located in the Borjomi Nature Reserve. Almost 2000 years ago there were bathes made of stone and wood in the Borjomi Valley. Some scientists suppose that formerly Borjomi was used just for bathing purposes. Borjomi was first used as drinking water in 1825 by the soldiers of Russian Empire. Russian soldiers were the first to have tasted the warm water from the spring. Later, they took some water to Colonel Popov, who suffered from stomach disease. Seeing positive results, Popov ordered the construction of rock walls around the spring as well as a small cottage house for himself.

In 1834, military doctor Amirov started to examine the Borjomi mineral water. He was the first to have described health properties of this mineral water, sending the first results of analysis to St. Petersburg and Moscow. The healing effects of Borjomi water became so famous that Governor General Yevgeni Golovin brought his sick daughter to the springs for treatment. In light



ვულკანური წარმოშობის მინერალური წყალი უნიკალური სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.

A mineral water of volcanic origin is distinguished by unique healing properties.

დაიწყო. რამდენიმე წელიწადში კი ბორჯომი უკვე ვაგონებით გაჰყონდათ რუსეთში. 1913 წელს ბორჯომის ექსპორტმა 9 მილიონ ბოთლს მიაღწია. 1960 წლიდან ის საბჭოთა კავშირის საზღვრებს გასცდა. 80-იან წლებში კი პირველი ბრენდი გახდა, რომლის წითელ-თეთრი ეტიკეტი აბსოლუტურად ცნობადი იყო მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

დღეს „ბორჯომი“ 40 ქვეყანაში იყიდება. ექსპორტი წარმოებული პროდუქციის 70%-ს შეადგენს. „ბორჯომის“ პოპულარობა აბსოლუტურად ბუნებრივია, რადგან ვულკანური წარმოშობის მინერალების უნიკალური კომპლექსი, რომელსაც ბორჯომი შეიცავს, ორგანიზმის გამწმენდი, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი, მუავა-ტუტე ბალანსის აღმდგენი ეფექტით გამოირჩევა. უნიკალური შედეგი აქვს ნაბახუსევზე, ხოლო მასში შემავალი ფტორისა და იოდის იონები კარიესის წარმოშობის საფრთხეს ამცირებს. 170 წელზე მეტია ბორჯომის საბადოს მუდმივად აკვირდებიან გეოლოგები და ქიმიკოსები, რომელთა კვლევები ადასტურებს, რომ მინერალური წყლის ტემპერატურა, ფიზიკური და ქიმიური თვისებები ზუსტად ისეთივეა, როგორიც იყო აღმოჩენის დროს...

იმაში, რომ ბორჯომი საუკუნეებს გაუძღვება, მეცნიერების გარდა, დარწმუნებული იყო გენიალური რეჟისორი ანდრეი ტარკოვსკიც. ფილმის „სოლიარის“ გადაღებისას, კონფერენციის სცენაში, რომელიც სცენარის მიხედვით შორეულ მომავალში ხდებოდა, მაგიდაზე „ბორჯომის“ ბოთლი დგას. თურმე, გადამღები ჯგუფის წევრები „ბორჯომის“ ეტიკეტის დამალვას ითხოვდნენ, მოქმედება ხომ შორეულ მომავალში ხდებოდა. ანდრეი ტარკოვსკიმ ეტიკეტის გამოჩენა დაჟინებით მოითხოვა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „ბორჯომს“ დრო ვერაფერს დააკლებდა.

of the quick results of the treatment, he called the first spring Yekaterinsky after his daughter Yekaterina.

In the 1840s Borjomi mineral water gained popularity in the Russian Empire for its curing effects, while the city of Borjomi was established as a mountain-balneological resort.

In 1890 the first bottling plant was opened, while a couple of years later the country started to export large amounts of Borjomi to Russia. In 1913 export of Borjomi mineral water amounted to 9 million bottles. Since 1960 Borjomi exports have gone beyond the limits of the Soviet Union. In the eighties, it became the first brand with a red and white label extremely popular on the entire territory of the Soviet Union.

Today Borjomi is sold in 40 countries. 70 percent of produced water is exported. The popularity of Borjomi mineral water is absolutely natural, because the unique complex of minerals of volcanic origin present in Borjomi helps clean the organism, regulate metabolism and restore acid-alkaline balance. It has unique effects on hangover, while fluorine and iodine ions present in it reduce the risk of dental caries. It is over 170 years already that geologists and chemists have been constantly monitoring the Borjomi deposit. Their research confirms that mineral water temperature, physical and chemical properties are the same as when discovered...

Besides the scientists, a famous Russian filmmaker, Andrey Tarkovsky was also sure that Borjomi will outlive centuries. When shooting a film *Solaris*, in a conference scene, which according to the scenario occurs in the far future, there is a bottle of Borjomi standing on the table. The film crew members demanded to hide the label from cameras as the action was taking place in the far future. But Andrey Tarkovsky insisted that the label had to be seen. He was absolutely sure that time would cause no harm to Borjomi.



ფოტო: გოგა ჩანადირი
Photo: Goga Chanadiri



ფოტო: გოგა ჩანადირი
Photo: Goga Chanadiri

ბორჯომის წყალი კავკასიის მთებში იღებს სათავეს და ბორჯომის ნაკრძალის ჭაბურღილებიდან მოიპოვება.

The Borjomi spring is located in the Caucasus Mountains and is extracted from the wells located in the Borjomi Nature Reserve.

ბაბლუანების კინო

CINEMA OF THE BABLUANIS

სოფო კვინტრადზე
SOPHIE KVINTRADZE



„ვერცხლის ღაბი“ ბერლინის კინოფესტივალზე, „ოქროს ლომი“ სანჯანის ღაბიფესტივალის პრემიაში, ბრან-პრი სანჯანის კინოფესტივალზე, ქართული რეჟისორის პირველი ნაბიჯები კოლივუდში – ყველა ეს პილდო თუ წარმატება ერთ მისამართზე იყრის თავს. ეს ბაბლუანების ოჯახია – ოჯახი, რომლის ყველა წევრმა თავი კინოს მიუძღვნა.

თემური

როდესაც ვახსენებთ გვარს ბაბლუანს, ვგულისხმობთ კინოს – ეს ნათქვამი სულაც არ უღერს ხმამაღლა. ქართული კინო თემურ ბაბლუანის გარეშე წარმოუდგენელია. ფილმები, რომლებიც ამ რეჟისორის სახელს უკავშირდება ნაცნობი და საყვარელია ქართველი მაყურებლის ყველა თაობისთვის.

„ბელურების გადაფრენა“, „ძმა“, „უძინართა მზე“ – გარდა იმისა, რომ შესანიშნავი, სრულიად განსხვავებული და ორიგინალური სარეჟისორო ნამუშევრებია, იმდენად ქართულია, რომ მათი ერთხელ ნახვაც საკმარისია, რომ წარუშლელი კვალი დატოვოს მაყურებელზე. „ქართული“ შემთხვევით არ მისხენება. ეს არის ნამდვილი ქართული კინო, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, რომელიც გასცდა საბჭოთა კინოს ფარგლებს და სრულიად სამართლიანი ადგილი დაიმკვიდრა ევროპულ კინემატოგრაფიაში.

თემურ ბაბლუანის უამრავ ჯილდოს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერლინის კინოფესტივალის „ვერცხლის ღაბი“, რომელიც „უძინართა მზემ“ 1993 წელს მიიღო. ეს არის საოცარი სევდით და ამავე დროს იუმორით აღსავსე ისტორია ოჯახისა, რომლის ყველა წევრიც ერთმანეთისგან განსხვავებული და, ამავე

SILVER BEAR AT THE BERLIN FILM FESTIVAL, GOLDEN LION FOR THE BEST DEBUT IN VENICE, GRAND-PRIX AT SUNDANCE FILM FESTIVAL, GEORGIAN DIRECTOR'S FIRST STEPS IN HOLLYWOOD – ALL THESE AWARDS OR SUCCESS END UP AT ONE PLACE, IN THE FAMILY OF THE BABLUANIS, ALL OF THE MEMBERS OF WHICH HAVE DEDICATED THEMSELVES TO CINEMA.

ТЕМУР

By mentioning the name Babluanis we mean cinema, which is in no way an over-statement. Georgian cinema is unimaginable without Temur Babluani. Films associated with the name of this director are the ones that all generations of the Georgian audience favor and are familiar with.

The Flight of Sparrows, Brother, the Sun of the Sleepless – in addition to being remarkable, completely different and original works of a director, they are very Georgian, to the extent that they leave an indelible mark even on first-time viewers. And it is not by accident that I've mentioned Georgian. This is a genuinely Georgian cinema that gained international recognition, surpassed boundaries of the Soviet cinema and rightfully occupied a place in European cinematography.

Among many awards of Temur Babluani one of the most important is the Silver Bear from the Berlin Film Festival that the *Sun of the Sleepless* was awarded in 1993. This is an amazing history of a family filled with sadness and humor at the same time. Members of the family are different from one another but they are fighting for the same cause. Georgian audience fell in love with the movie so much that everyone can quote dialogues and songs from the movie.


დროს, ერთი საქმისთვის მებრძოლია. ფილმი იმდენად შეიყვარა ქართველმა მაყურებელმა, რომ „უძინართა მზის“ დიალოგები თუ სიმღერა ყველამ ზეპირად იცის.

თემურ ბაბლუანის ფილმები საბჭოთა პერიოდშია გადაღებული, თუმცა, ის იმ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც საბჭოთა ესთეტიკას გვერდს უვლიდა და სრულიად ახლებურ კინოს ქმნიდა. თუმცა, წესი წესი იყო და ისევე, როგორც სხვა რეჟისორების, მისი ფილმებიც ჯერ მოსკოვში უნდა დაემტკიცებინათ და მხოლოდ შემდეგ გამოდიოდა კინოეკრანებზე. იყო ცენზურის ფაქტებიც. მაგალითად, როდესაც „ძმა“ მოსკოვში ნახეს, ფილმისგან რამდენიმე სცენა ამოჭრეს.

თემურის ქალიშვილი ოლიკო ბაბლუანი იხსენებს, რომ ასეთი მომენტები განსაკუთრებით რთული გადასატანი იყო რეჟისორისთვის. მისი და, შესაბამისად, მთელი ოჯახის ცხოვრება ხომ მთლიანად კინოთი იყო მოცული. „კინოში ვცხოვრობდით, რეალობას მონყვეტილები ვიყავით, მამა სულ ფილმებს გვაყურებინებდა. მახსოვს როგორ ველოდებოდით „ილუზიონს“ – კარგი ფილმის სანახავად ოთხივეს ჩავგამწკრივებდა ტელევიზორთან. ხშირად დავყავდით გადასაღებ მოედანზეც. „ძმას“ როცა იღებდნენ კახეთში, ალავერდში ჩვენ ცხენებს დავაქროლებდით“, – იხსენებს ოლიკო ბაბლუანი.

თემურმა მომავალი მეუღლე თეატრალურ ინსტიტუტში გაიცნო. ლია ბაბლუანიც პროფესიით მსახიობია. თემურ ბაბლუანი მეუღლესთან და 4 შვილთან ერთად მთაწმინდაზე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე ცხოვრობდა. ბავშვები იტალიური ეზოსთვის დამახასიათებელ თბილისურ ატმოსფეროში იზრდებოდნენ. 90-იანი წლების რთულ პერიოდში მათთვის კინო ნამდვილი თავშესაფარი იყო, ჯადოსნური სამყარო, სადაც თითოეული ბაბლუანი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ბავშვები ისეთ გარემოში გაიზარდნენ, რომ არავის გაჰყვირებია, როცა წლების შემდეგ, ოთხივე ბაბლუანმა – ოლიკომ, გელამ, გიორგიმ და სონამ თავისი მოღვაწეობის სფეროდ კინო აირჩია.

„უძინართა მზის“ ეკრანებზე გამოსვლიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ, თემურ ბაბლუანი მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად ემიგრაციაში საფრანგეთში გაემგზავრა. ბაბლუანების პარიზული ცხოვრება 1996 წლიდან იწყება. ბავშვებს ახალ გარემოსთან ადაპტაცია არ გასჭირვებიათ, კულტურულმა და მატერიალურმა შოკმა მალე გაიარა და ბაბლუანებმა ახალი ცხოვრება დაიწყეს.



ბერლინის კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი“ „უძინართა მზემ“ 1993 წელს მიიღო.

Sun of the Sleepless was awarded Silver Bear from the Berlin Film Festival in 1993.

Even though Temur Babluani's movies have been made during the Soviet times, he is one of those directors who circumvented the Soviet esthetics and created a brand new cinema. However, rules applied to everyone and Temur Babluani, like any other director in the Soviet Union, had to have his films first approved in Moscow. After the approval they could be released for showing in cinema houses. Sometimes his films were censored, e.g. when they saw *Brother* in Moscow, they demanded cutting out of certain scenes.

Temur's daughter Oliko Babluani recalls that such moments were particularly hard for the director to handle. Life of the whole family was surrounded by cinema. "We lived in cinema, detached from the reality. Our father had us watch movies all the time. I remember waiting for the *Illusion*. He would have us seat in front of the TV to watch a good movie. He often took us to movie sets too. When they were shooting *Brother* in Alaverdi, Kakheti, we were riding on horses", – Oliko Babluani recalls.

Temur met his future wife in the Institute of Theatre. Lia Babluani was a professional actor. Temur Babluani lived with his wife and four children on Aleksandre Chavchavadze Street in Mtatsminda. Children grew up in an atmosphere characteristic to Italian yards in Tbilisi. During the most difficult times of the 90s cinema was their shelter – a magic world where each Babluani felt comfortable, like a fish in the sea. As children they grew up in such environment that no one was surprised when all four Babluanis – Iliko, Gela, Giorgi and Sona chose to pursue careers in cinema.

Three years after *the Sun of the Sleepless* appeared in cinemas, Temur Babluani immigrated to France together with his wife and three children. Parisian life of the Babluanis started in 1996. Children easily adapted to the environment, cultural and material shock was soon over and the Babluanis started a new life.

გელა

მამის გზას თავიდანვე გაჰყვა გელა ბაბლუანი. თემურ ბაბლუანი ამბობდა „ცოტა უცნაური ბიჭია, არავინ იცის როდის რას გადაწყვეტსო“. მართლაც, ამ უცნაურმა ბიჭმა თავისი სადებიუტო ნამუშევრით – „13“ მთელი მსოფლიო აალაპარაკა.

„13“-ის სცენარის წერა 19 წლის რომ ვიყავი, მაშინ დავიწყე და მასში იმდროინდელი მძაფრი ემოციები და შეგრძნებები ჩავდე. ბავშვობა რთულ წლებში გავატარე, იყო დიდი კონკურენცია, შეჯიბრი. ყოველი მეორე ქუჩაში იარაღით დადიოდა, მაგრამ მალავდა. ჩვეულებრივი ადამიანი ერთ წამში გადაიქცეოდა მებრძოლად. ამ ემოციებით დავწერე „13“. სისულელე იქნება იმის მტკიცება, რომ მამაჩემის – რეჟისორ თემურ ბაბლუანის გავლენა ჩემს ფილმებზე არ იგრძნობა. ჟურნალისტები ხშირად მადარებენ ორსონ უელსს, ფელინის, ტარანტინოს. რაც ყველაზე სასაცილოა, რობერტ როდრიგესს მხოლოდ იმიტომ შემადარეს, რომ „13“-ის ფრანგულ ვერსიაში მთელი ჩემი ოჯახი გადავიღე“, – ამბობს გელა ბაბლუანი.

ფილმის გადაღებებში მართლაც მთელი ოჯახი მონაწილეობდა, უმცროსი ძმა – გიორგი მთავარ როლს ასრულებდა, ოლიკო და თემურ ბაბლუანი ეპიზოდურ როლებში იყვნენ.

„ფილმის შექმნაში ყველა ერთად ვმონაწილეობდით იმიტომ, რომ გვინდოდა მართლაც მაღალი მხატვრული ღირებულების, კარგი კინო გამოსულიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, 90 პროცენტი საქმისა გელამ გააკეთა“, – ამბობს ოლიკო ბაბლუანი.

რიცხვი „13“ გელა ბაბლუანისთვის ბედნიერი აღმოჩნდა. შავ-თეთრმა ფილმმა, ორიგინალური სცენარით, მაღალი კლასის სარეჟისორო ხელწერით, ინდივიდუალური და მსახიობების ოსტატური თამაშით ყველა მოხიბლა. ევროპაში ფილმმა არაერთი პრესტიჟული ჯილდო მიიღო, მათ შორის „ოქროს ლომი“ საუკეთესო

GELA

Gela Babluani followed his father's path from the very beginning. Temur Babluani used to say about him: "he is a bit strange, no one knows what he's going to decide and when". Indeed, this strange boy made his first debut movie "13" that made everyone talking.

"I started writing the script for "13" when I was 19 years old. I incorporated strong emotions and feelings in it that I experienced at that time. I had a difficult childhood, great competition, everyone bearing a weapon in the streets and hiding it. An ordinary person could just turn into a warrior in a split of a second. These are the emotions that I drew on when writing "13". It would have been stupid to say that the work of my father, Temur Babluani did not influence my movies. Journalists often compare me to Orson Wells, Fellini, Tarantino. The most ridiculous thing is that they compared me to Robert Rodriguez only because in French version of "13" I casted all of my family members", – says Gela Babluani.

Indeed, all of his family participated in making of the movie. His elder brother, Giorgi played leading role, Oliko and Temur Babluanis played episodic roles.

"We all participated in making of the movie as we wanted it to be of high artistic value, a good movie; however, 90 percent of the job was certainly done by Gela", – says Oliko Babluani.

Number thirteen turned out to be successful for Gela Babluani. A black-and-white movie with original script, high-quality production, individualism and professionalism of actors captivated everyone. It received a number of prestigious awards in Europe, including the Golden Lion for the Best First Feature at the Venice Film Festival. It was also successful in the US. Gela Babluani's work was awarded grand-prix at Sundance International Film Festival of independent movies.

„13“ ვენეციისა და სანდენსის კინოფესტივალების ლაურეატი გახდა.

"13" was awarded by Venice and Sundance film festivals.



„13“-ის ჰოლივუდური ვერსია ეკრანებზე 2010 წელს გამოვიდა.

Hollywood remake of "13" hit the screens in 2010.



სარეჟისორო დებიუტისთვის ვენეციის კინოფესტივალზე. ფილმი წარმატებული აღმოჩნდა შეერთებულ შტატებშიც, დამოუკიდებელი კინოს მთავარ საერთაშორისო კინოფესტივალზე „სანდენს“ გელა ბაბლუანის ნამუშევარმა გრან-პრი დაიმსახურა.

ფილმის „13“ წარმატებამ გელა ბაბლუანს ჰოლივუდისკენ გაუხსნა გზა. ამ ფილმის ევროპული ვერსია ეკრანებზე 2005 წელს გამოვიდა. შემდეგ, რეჟისორმა ამერიკელი პროდიუსერებისგან მიიღო შეთავაზება მისი რიმიეჩის გადასაღებად. 2010 წელს მაცურებელმა სულ სხვა „13“ იხილა. ამერიკული ფილმის რეჟისორი კვლავ გელა ბაბლუანია, თუმცა, მსახიობები ამჯერად არიან ჰოლივუდის ვარსკვლავები – ჯეისონ სტეიტჰემი, მიკი რურკი, სემ რაილი და სხვები. კრიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა აღიარეს, რომ გელა ბაბლუანმა სრულიად ახალი და გასხვავებული ხედვა შესთავაზა ჰოლივუდს. თავად გელასთვის კი, ეს მხოლოდ ახალი ცხოვრების და მოღვაწეობის დასაწყისია. ამჟამად ის ამერიკაში ცხოვრობს და უკვე მუშაობს ახალ პროექტზე, რომლის შესახებაც მალე გახდება ცნობილი.

ორ „13“ შორის იყო „მემკვიდრეობა“ – ფილმი, რომელიც 2006 წელს გამოვიდა, მამა-შვილის თემურ და გელა ბაბლუანების ერთობლივი ნამუშევარია. აქ ბაბლუანები თავიანთ მშობლიურ კუთხეს – სვანეთს უბრუნდებიან და მთის უძველესი ტრადიციების შესახებ გვიყვებიან. ფილმი სისხლის აღების წესისა და ერთი ძალიან უცნაური ფაქტის შესახებ მოგვითხრობს. მისი სიუჟეტი იმდენად მოულოდნელად ვითარდება, რომ შეუძლებელია მაცურებელი გულგრილი დარჩეს. მძაფრი ემოციები, რომელიც ბაბლუანების ყველა ფილმისთვის არის დამახასიათებელი, არც „მემკვიდრეობას“ აკლია.

Success of "13" opened Gela Babluani's path to Hollywood. European version of the movie was released in 2005. Then the director received an offer from American producers for remake of the movie. In 2010 a completely different "13" was released. Director of the American movie is still Gela Babluani while actors are Hollywood stars, including Jason Statham, Mickey Rourke, Sam Riley. Critics and journalists have stated that Gela Babluani offered a brand new and different vision to Hollywood. He currently lives in the US, already working on his new project that will soon be announced.

In between the two "13" there was a *Heritage*, a movie released in 2006. It is a joint work of the father and the son. The Babluanis go back to their native land, Svaneti and tell us about ancient traditions of the mountains. It is a story about a practice of blood revenge and one strange fact. The story takes an unexpected turn in a way that it is impossible for audience not to react. The film *Heritage* is not lacking the strong emotions inherent to all Babluani movies.

ამერიკული „13“-ის რეჟისორი კვლავ გელა ბაბლუანია, მსახიობები კი ჰოლივუდის ვარსკვლავები – ჯეისონ სტეიტჰემი, მიკი რურკი, სემ რაილი.

Director of the American "13" is still Gela Babluani while actors are Hollywood stars, including Jason Statham, Mickey Rourke, Sam Riley.





გიორგი

„მემკვიდრეობაშიც“ და „13“-შიც მთავარი როლები გიორგი ბაბლუანიმა შეასრულა. გიორგის სამსახიობო დებიუტი „13“-ში შედგა, სადაც მან შესანიშნავად გაართვა საქმეს თავი და ახალგაზრდა სებასტიანის ფსიქოლოგიურად რთული და საინტერესო პერსონაჟი შექმნა. როდესაც გელა ბაბლუანი ამ ფილმის გადაღებებს იწყებდა, გიორგი ამ დროს სამსახიობო კურსებზე სწავლობდა და, როგორც თავად იხსენებს, მთავარი როლი მარტივად სულაც არ მიუღია. მანაც ისევე, როგორც ასეულობით ადამიანმა, კასტინგი გაიარა და როლზე არ აიყვანეს. დიახ, გელა ბაბლუანი უმცროსი ძმა მთავარ როლზე არ დაამტკიცა. თუმცა, ფილმის პროდიუსერები გიორგის ეუბნებოდნენ, რომ გელა მის კანდიდატურაზე ბევრს ფიქრობდა, რადგან ყველას ერთხმად მოსწონდათ გიორგი სებასტიანის როლზე. რამდენიმე კვირიანი ფიქრის შემდეგ გელამ ძმას გადაღებების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დაურეკა და უთხრა, რომ როლზე დამტკიცებული იყო.

გიორგის სამსახიობო დებიუტიც წარმატებული აღმოჩნდა, დღეს მას ცნობილ ფრანგ რეჟისორებთან უწევს მუშაობა და არაერთი საინტერესო როლი აქვს შესრულებული.

ოლიკო

თავისი პირველი სარეჟისორო ნამუშევრისთვის ემზადება ოლიკო ბაბლუანიც. პროფესიით მსახიობი, რომელიც მაყურებელმა სულ ახლახან ახალ ქართულ ფილმში „გაილიმეთ“ იხილა, თავადაც აპირებს კინოს გადაღებას. ოლიკო პროექტის მხოლოდ მცირე დეტალებს გვიმხელს. მისი თქმით, ისტორია იწყება საქართველოში და მთავრდება საფრანგეთში. ეს არის ერთი ქალის ამბავი, რომელსაც საზღვარგარეთ წასვლა და წარმატების მიღწევა სურს. თავად ოლიკოსთვის წარმატება საქმის კარგად კეთებაა. ის არასოდეს თანხმდება მარტივად შესასრულებელ როლებზე. ურჩევნია აკეთოს რთული და

„მემკვიდრეობაშიც“ და „13“-შიც მთავარი როლები გიორგი ბაბლუანიმა შეასრულა.

Giorgi Babluani played leading roles both in the *Heritage* and „13“.

GIORGI

Giorgi Babluani played leading roles both in the *Heritage* and „13“. Very first role that he ever played was in 13, which he handled remarkably and created a psychologically complex and interesting character of young Sebastian. At the time Gela Babluani was starting to shoot the movie, Giorgi was in acting school and as he recalls, it was not easy for him to get the leading role. He had to go through the casting like hundreds of other individuals but did not get the role. That's right, Gela Babluani did not give the role to his younger brother. However, as film producers were telling Giorgi, Gela was contemplating his candidacy a lot as he had a unanimous support, everyone liked him for the role of Sebastian. After weeks of contemplation Gela called his brother several hours before the shooting began and told him that he got the role.

Giorgi's debut turned out to be successful and he is now working with a renowned French directors. He has played many interesting roles.

OLIKO

Oliko Babluani was introduced most recently in a Georgia in movie *Keep Smiling*. She is a professional actor but is now planning to shoot her own movie and is getting ready for her first work as a director. Oliko is willing to disclose slightest details of the project, saying that the story starts in Georgia and ends in France. This is a story of a woman who wants to go abroad and achieve success. Oliko herself defines success as being good at what you do. She never agrees to simple roles, rather she prefers complex and interesting roles, even if it's not a leading role.

საინტერესო როლები, თუნდაც ეს არ იყოს მთავარი როლი.

რუსუდან ჭყონიას ფილმში „გაილიმეთ“, ოლიკო ბაბლუანმა ელენეს როლი შეასრულა, დევნილი ახალგაზრდა ქალისა, რომელმაც შვილი დაკარგა, საკუთარ თავზე გამოსცადა ომის უბედურება და ახლა თბილისში დევნილთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. „არავის მოუწდება იყოს ელენე თუნდაც ნახევარი საათით. ძალიან რთული ადამიანია. მკვდარია ფსიქიკურად, ერთ მომენტში იღვიძებს და ამბობს, მე უნდა გამოვიღვიძო ან გადავრჩები ან არაო. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები არსებობენ ჩვენს ირგვლივ, ამ ფილმში ყველა პერსონაჟი ძალიან რეალისტურია. როდესაც საფრანგეთში ამ ფილმის ჩვენება შედგა, ფრანგი კოლეგები და ჟურნალისტები ჩვენთან მოდიოდნენ და მადლობას გვიხდოდნენ იმისთვის, რომ მათ ნამდვილი, ცოცხალი ქალები ვაჩვენეთ“, ამბობს ოლიკო ბაბლუანი.

ბაბლუანებს ძალიან უხარიათ, რომ ოჯახის უმცროსმა შვილმა სონამაც კამერა აიღო ხელში. მართალია, მან სამხატვრო აკადემია დაამთავრა, მერე მაინც კინოსკენ გაუწია გულმა და საოპერატოროზე ისწავლა. უკვე გადაიღო თავისი პირველი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რა გისურვო ომამდე“ და ახლა შემდეგი პროექტებისთვის ემზადება.

„ყველანი ახალგაზრდები ვართ, ბუნებრივად მოხდა ის, რომ გადაწყვიტეთ თავი კინოს მიუძღვნათ. ყველას გვაერთიანებს მისწრაფება შევექმნათ მხოლოდ ხარისხიანი და ღირებული პროდუქცია. ყველაფერი ოჯახიდან მოდის, ეს ძალიან მყარადაა ჩვენში. რაც არ უნდა მოხდეს, სადაც არ უნდა წახვიდე, შენი ოჯახი მუდამ შენთანაა. ჩვენ ბაბლუანები ასე ვართ, მთავარი ჩვენთვის ოჯახი და საქმეა“, – ამბობს ოლიკო ბაბლუანი.



თავისი პირველი სარეჟისორო ნამუშევრისთვის ემზადება ოლიკო ბაბლუანი.

Oliko Babluani is getting ready for her first work as a director.

In Rusudan Chkonia's film *Keep Smiling* Oliko played role of Elene, a young woman who lost her child, went through hardships of war and was living in settlement of internally displayed persons in Tbilisi. "No one would want to be at Elene's place even for half an hour. She is a very complex individual. She is mentally dead. She wakes up one day and says – I need to wake up, I will either survive or not. Regrettably, there are many people like her around us. All characters in this movie are very realistic. When they showed it in France, French colleagues and journalists kept coming to us, thanking for showing real, alive women", – says Oliko Babluani.

The Babluanis are very happy that the youngest of the children, Sona also took a camera in her hands. Even though she graduated from art academy, she later found that she was more attracted to cinema and started filmmaking. She has already made her first short film entitled "What to Wish You before War" and is now getting ready for a new project.

"We are all young and it was only natural that we decided to dedicate ourselves to cinema. We are all united by aspiration to create only quality and valuable production. It all comes from our family, and is deeply rooted in us. No matter what, no matter where you go, your family is always with you. This is how we, the Babluianis are. Family and work are what's most important for us", – says Oliko Babluani.

საავტორო უფლება

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა შექმნის მომენტიდან. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს საქპატენტიში. დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება.

COPYRIGHT

Copyright shall apply to scientific, literary and artistic works which are the result of the intellectual and creative activity. Copyright is commenced upon its creation. The author or other copyright owner may deposit the original or a copy of a work with SAKPATENTI. Person indicated in a Deposition Certificate shall be deemed to be the author of the work, unless otherwise proven.

მუზეუმებში დაცული ქართული საგანძური

GEORGIAN TREASURES PRESERVED IN MUSEUMS

სოფო კვინტრადე
SOPHIE KVINTRADZE



საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თავისი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი საგანძურით, ნათლად ასახავს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და კულტურას. 2004 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა უდიდესი სამუზეუმო გაერთიანება, რომელშიც 11 მუზეუმი, 4 ეროვნული გალერეა, 4 სახლ-მუზეუმი და 2 სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია გაერთიანებული.

ეროვნულ მუზეუმში თავმოყრილია მრავალი კოლექცია: ევრაზიაში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთები, უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, ბუნების ისტორიის ამსახველი მასალა, ქრისტიანული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა – ჭედური და ფერწერული ხატები, ჯვრები, ნაქარგობა, ტიხრული მინანქარი, ასევე, პირველხარისხის ალმოსავლური ძეგლები, ნუმიზმატიკის მდიდარი კოლექცია, ოქროსა და ვერცხლის ნატიფი სამკაულები ანტიკური კოლხეთიდან, სხვადასხვა დროის ქართველი და ევროპელი მხატვრების შესანიშნავი ნამუშევრები.

ამ ყველაფრის სანახავად საქართველოში ჩამოსულ სტუმარს ერთი ან ორი დღე ნამდვილად არ ეყოფა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე მუზეუმი დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარეობს. თუმცა, დროის დახარჯვა ნამდვილად ღირს, რადგან ის, რასაც ეროვნული მუზეუმის ღია თუ დახურულ ექსპოზიციებში ნახავთ, თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში, რომელიც თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარეობს, ბუნებისა და კაცობრიობის ისტორიის უნიკალურ მასალას იხილავთ: 40 მილიონი წლით დათარიღებულ ცხოველთა ნაშთებს, პალეოლითის, ნეოლითის, ბრინჯაოს, ლითონის ხანათა და შუასაუკუნეების მდიდარ

Georgian National Museum with its diverse and abundant treasures clearly reflects a multi-century history and culture of our country. A large museum complex uniting 11 museums, 4 national galleries, 4 house museums and 2 scientific research centers was established in Georgia in 2004.

The National Museum keeps a lot of collections: oldest human remains found in Eurasia, unique archaeological and ethnographic items, natural history materials, rich heritage of Christian culture – chased and painted icons, crosses, embroideries, porcelain enamel, as well as high quality eastern monuments, rich numismatic collection, exquisite gold and silver jewelry from the ancient land of Colchis, remarkable paintings of Georgian and European artists of different time periods.



ოქროს ლომის ქანდაკება – ძვ.წ. III ათასწლეული
Golden Lion statue – 3rd millennium BC



ოქროს ყელსაბამი – IV ს.
Golden necklace – 4th century



სასაფეთქლები – ძვ.წ. IV ს.
Temple pendants – 4th century BC

არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ კოლექციებს.

2011 წელს რამდენიმე წლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა და მუზეუმი განახლებული სახით წარსდგა დამთვალიერებლების წინაშე. ისტორიის მუზეუმში მუდმივმოქმედი გამოფენა – „არქეოლოგიური საგანძური“ გელოდებათ. ძვ.წ. მესამე ათასწლეულიდან მოყოლებული, უნიკალური და ულამაზესი ექსპონატები მნახველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს. ექსპონატებს შორის არის ოქროს სამკაულები, სპილენძის და ბრინჯაოს შრომის იარაღები, ჭურჭელი და ა.შ.

ამ გამოფენის ნახვის შემდეგ, არასოდეს დაგავიწყდებათ, მაგალითად, ლომის პატარა ოქროს ქანდაკება, რომელიც ძვ.წ. მესამე ათასწლეულში ისეთი სინატიფითაა შექმნილი, რომ ნამდვილად ინვესს გაოცებას. „არქეოლოგიური საგანძური“ არის მასალა, რომელიც ისტორიკოსებს საქართველოს ტერიტორიაზე ათასწლეულების წინ მცხოვრები ადამიანების ყოფისა და კულტურის შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას აწვდის.

ისტორიის მუზეუმშია გამოფენილი ბუნების ისტორიის უნიკალური კოლექცია (გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური). განახლებული ექსპოზიცია, რომელიც წარმოაჩენს კავკასიის რეგიონის ფლორასა და ფაუნას, გამოირჩევა როგორც ისტორიული, ისე სამეცნიერო ღირებულებით. ეს ექსპონატები 1852 წლიდან გროვდებოდა ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში. ბევრმა კოლექციამ დღეისათვის რარიტეტული მნიშვნელობა შეიძინა.

ეროვნული მუზეუმის მესამე სართულზე სრულიად

Only one or two days will not be enough for the visitors of Georgia to view all these collections, especially as several museums are located outside the capital. However, it is worth spending time, because what you will see in closed or opened exhibition halls of the National Museum will have an indelible impression on you.

The Simon Janashia Museum of Georgia (formerly known as the State Museum of History of Georgia), located at the Rustaveli Avenue in downtown Tbilisi, exhibits a unique collection of natural and human history: animal fossils dated back to 40 million years, rich archaeological and ethnographic collections of the Paleolithic, Neolithic, Bronze, Iron as well as Middle Ages.

The museum rehabilitation took several years and in 2011 the renovated museum welcomed back its visitors. The museum presents a permanent exhibition "Archaeological Treasure". Unique and exquisite exhibits dated to the 3rd millennium BC have a special impression on visitors. The latter have an opportunity to view golden jewelry, copper and bronze weapons, vessels, etc.

After viewing this exhibition you will never forget, for example, a small golden lion statue, which was created back in the 3rd millennium BC and which really causes astonishment. "Archaeological Treasure" is the material which provides historians with the most important information about the lives and culture of humans living on the Georgian soil millenniums ago.

The Simon Janashia Museum of Georgia also exhibits a unique collection of natural history (geological, botanical and zoological collections). The renovated exhibition showing flora and fauna species of the Caucasus region is remarkable for its historical and scientific values. These exhibits have been collected by famous



ოქროს აბზინდა – II-III ს.

Golden buckle – 2nd-3rd century

ახალი, 2006 წელს დაარსებული საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დათვალიერება შეგიძლიათ. ეს მუდმივმოქმედი ექსპოზიცია არის საქართველოს უახლესი წარსულის შთამბეჭდავი გახსენება. აქ ნახავთ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების ამსახველ 3000-ზე მეტ ექსპონატს.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში კიდევ ერთი უნიკალური საგანძური გელოდებათ. აქ წარმოდგენილი ჭედური ხელოვნებისა და ლითონმქანდაკელობის ნიმუშები საშემსრულებლო ოსტატობით, მხატვრული გადაწყვეტითა და ისტორიული ღირებულებით სცილდება საქართველოს ფარგლებს და ღირსეულად აღიქმება იმკვიდრებს მსოფლიო კულტურის საგანძურში. რაც ყველაზე საინტერესოა, ხელოვნების მუზეუმის საგანძურში შეგიძლიათ ნახოთ როგორც ადრეებინჯაოსა და ანტიკურ-ელინისტურ ხანაში, ისე შუა საუკუნეებსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში შექმნილი ხელოვნების ნიმუშები.

ხელოვნების მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში დაცული ოქროზე შესრულებული ტიხრული მინანქრის უნიკალური კოლექცია ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში. ამ ექსპოზიციაში 200-ზე მეტი ძეგლია წარმოდგენილი, რომელთაგან ნახევარზე მეტი ხახულის კარგდება დაცული. ექსპონატები VIII-XV საუკუნეებს მოიცავს და მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რამდენად მაღალ დონეზე იყო განვითარებული ხელოვნების ეს დარგი საქართველოში.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმს 2004 წლიდან ცნობილი ქართველი მეცნიერი, პალეოანთროპოლოგი დავით ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. სწორედ მისი მენეჯმენტის პერიოდში დაინერგა უამრავი სიახლე და დღემდე მიმდინარეობს მუზეუმის მოდერნიზაციის პროცესი.

Georgian scientists in Georgia and throughout the Caucasus since 1852. A lot of exhibits have acquired a status of rare collections.

You can also visit the newly established Museum of Soviet Occupation. It was founded in 2006 and is now located on the third floor of the National Museum. This permanent exhibition is an impressive reminder of the recent past. Here you can see over 3000 exhibits depicting Russian occupation of Georgia, national-liberation movement and Soviet political repressions.

Another unique treasure is waiting for you at the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. Georgian chased and goldsmith pieces presented here go beyond the country's limits owing to their mastery, artistic solution and historical value and take a worthy place in the treasures of the world culture. What is most interesting, the Museum of Fine Arts exhibits the pieces of art created in the Early Bronze and Antique Hellenistic Age, as well as in the Middle Ages and early 20th century.

The Georgian Museum of Art hosts one of the richest and most unique collections of golden vitreous enamel, reserved in the precious metal collection. More than two hundred artifacts are presented in the exhibition; half of these are reserved at *Khakhuli triptych*. The exhibits cover VIII-XV centuries and help us have a clear understanding of how developed this field of art was in Georgia.



ადამიანის ფიგურა – ძვ.წ. III ს.

Human Figurine – 3rd century BC



„მუზეუმს საზოგადოება ანდობს თავისი ეროვნული საგანძურის დაცვას. ეს ფასდაუდებელი მატერიალური საგანძური მუზეუმმა მსოფლიო მეცნიერებისთვის ღირებულ და ხელმისაწვდომ ცოდნის წყაროდ უნდა აქციოს. ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, როგორც დროებითი, ისე მუდმივი გამოფენების მოწყობა და ისეთი თანამედროვე, ეფექტური იარაღის გამოყენება, როგორიცაა მედია და ახალი ტექნოლოგიები. მუზეუმი მრავალფუნქციური დაწესებულებაა, რომელიც მხარს უჭერს თანამედროვეობას. საერთაშორისო სამყაროში ინტეგრაციის გარეშე ეროვნული მუზეუმის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.

მუზეუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მეცნიერული კვლევა. მეცნიერების საზღვრები არნახულადაა გახსნილი, სწორედ ამ საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვა იყო ჩვენი მიზანი. არა მხოლოდ ჩვენი წარსულის გაცნობა მსოფლიოსთვის და იმის მტკიცება, რომ საქართველო დიდი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა, არამედ ჩვენი ახალი აღმოჩენების პოპულარიზაცია და ახალი ტიპის სამეცნიერო ცენტრების შექმნა, სადაც ქართველებთან ერთად უცხოელი მეცნიერებიც ჩაატარებენ კვლევებს. დმანისი არის საუკეთესო მაგალითი ამისა. დმანისს, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე აღმოჩენის შემდეგ, საერთაშორისო ყურადღება ისედაც არ მოაკლდებოდა, მაგრამ ჩვენ მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ვიზრუნეთ და მისი სასწავლო-კვლევითი ცენტრის წყალობით, ის ჩვენი ქვეყნის ელჩია მსოფლიო სამეცნიერო წრეებში“, – ამბობს დავით ლორთქიფანიძე.

ზეზვა და მზია – პირველი ევროპელები

Zezeva and Mzia – the first Europeans

Since 2004 the National Museum of Georgia has been led by famous Georgian scientist, paleoanthropologist Davit Lortkipanidze. Lots of novelties have been introduced under his management, while the process of modernization is still underway at the museum.

“The society trusts its national treasures to the museum. The museum should turn this invaluable material treasure into valuable and available source of knowledge for the world science. One of our key goals is to arrange both temporary and permanent exhibitions and to use modern and effective tools, such as media and new technologies. Museum is a multi-functional institution, which keeps step with modernity. It will be absolutely impossible to develop the National Museum without integration into the international world.

Scientific research is one of the most important directions of the museum. Scientific borders are opened as much as possible. Our goal was just to get involved in this international competition not only to acquaint the world with our past and to declare that Georgia is the country of great civilization, but also to popularize our new discoveries and create modern scientific centers, where Georgian and foreign scientists will conduct their research jointly. Dmanisi is the best example of it. After the internationally important discovery, Dmanisi would have never lacked international attention, but still we decided to further develop its infrastructure and owing to its educational-research center, it has become an ambassador of our country among the world scientific circles”, Davit Lortkipanidze said.



ყველა ფოტო: საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივიდან
All photos: From the archive of the National Museum of Georgia

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი თბილისიდან 85 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ეს არის უნიკალური ადგილი საოცარი აღმოჩენებით, რომლებიც ცვლის კაცობრიობის ისტორიას და ჩვენს შეხედულებას ადამიანის ევოლუციის შესახებ. დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდებისა და ცხოველთა ნაშთები, ასევე, ქვის იარაღები დაახლოებით 1.8 მილიონი წლით თარიღდება.

დმანისის ძეგლის კვლევების შედეგებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დიდი გამოხმაურება გამოიწვია და სრულიად შეცვალა მანამდე დამკვიდრებული მოსაზრება ჰომინიდების აფრიკიდან ევრაზიაში გადასახლების შესახებ.

საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს აუცილებლად ვურჩევთ მოინახულონ საქართველოს მთიანეთი, მაგალითად, ულამაზესი სვანეთი, რომელიც მნახველს პირველივე ჯერზე ატყვევებს თავისი ბუნებითა და ხუროთმოძღვრული ძეგლებით. 2013 წლის ზაფხულიდან კი სვანეთში განახლებული მუზეუმიც გელით. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი თითქმის საუკუნეს ითვლის. რეაბილიტაციის შემდეგ იქ თანამედროვე საგამოფენო დარბაზები მოეწყო, სადაც შეგიძლიათ ნახოთ როგორც სვანეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ისე ქრისტიანული საგანძური.

თბილისთან ახლოს, კუს ტბის ფერდობზე, თითქმის 52 ჰექტარ მიწის ფართობზე საქართველოს ყველა კუთხის მიწის მოდელის ნახვა შეგიძლიათ. ეს ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1966 წელს ცნობილი ეთნოგრაფის გიორგი ჩიტაიას ინიციატივით. ეთნოგრაფიულ მუზეუმში 14 ეთნოგრაფიული ზონაა: ქართლი, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი, სვანეთი, ხევსურეთი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი, გურია, იმერეთი, რაჭა და ლეჩხუმი. თითოეულ ზონაში იმ კუთხისთვის დამახასიათებელი სახლები და ეთნოგრაფიულ-მატერიალური კულტურის ამსახველი ექსპონატებია, მაგალითად, საბრძოლო და შრომის იარაღები, ტექსტილური და კერამიკული მასალა.

ეთნოგრაფიული მუზეუმი მთელი წლის განმავლობაში მასპინძლობს სხვადასხვა სახის ფესტივალებს, გამოფენებსა და ღონისძიებებს. აქ, ღია ცის ქვეშ შესაძლებელია დაისვენებთ და საქართველოს ყველა კუთხესაც გაიცნობთ.

ძნელია ერთ სტატიაში მიმოიხილო ყველა ის მნიშვნელოვანი საგანძური, ექსპონატი თუ მუზეუმი, რომელიც ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია და საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. ჩვენ ახლა მათი დაცვა, მსოფლიოსთვის გაზიარება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა გვევალება.

ქართულ საგანძურზე საუბარს ფიროსმანის ხსენების გარეშე მაინც ვერ დავასრულებთ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი თვითნასწავლი მხატვარი და მისი შემოქმედება დიდ ინტერესს იწვევს. საქართველოში ფიროსმანის ნამუშევრების უდიდესი კოლექცია ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაა, თუმცა, დიდი ინტერესის გამო, გამოფენები ხშირად იმართება სხვადასხვა სივრცეშიც. ამჟამად, ეროვნულ გალერეაში



თბილისთან, კუს ტბის ფერდობზე, საქართველოს კუთხეების მიწის მოდელის ნახვაა შესაძლებელი.

You can view mini models of all Georgian regions in the outskirts of Tbilisi on the slope of the Turtle Lake.

Dmanisi Museum-Reserve is located 85 km away from Tbilisi. It is a unique place featuring amazing discoveries that are rewriting human history and transforming our view of human evolution. Hominid and animal fossils discovered in Dmanisi, as well as stone weapons are dated back 1.8 million years.

The Dmanisi monument research results have triggered a huge reaction from international scientific society and completely changed formerly existing opinion about resettlement of hominids from Africa to Eurasia.

We firmly recommend the guests of our country to visit the mountain regions of Georgia, for example, most beautiful Svaneti, which captivates visitors with its nature and architectural monuments. Since summer 2013, a renovated museum has been waiting for you in Svaneti. The history of the Svaneti Museum of History and Ethnography counts almost one century. After rehabilitation of the museum, exhibition halls were equipped under modern standards, where you can view archaeological materials discovered in Svaneti, as well as Christian treasures.

You can view mini models of all Georgian regions in the outskirts of Tbilisi, on the slope of the Turtle Lake, occupying almost 52 hectares of land. It is the Ethnographic Museum founded in 1966 by famous Georgian ethnographer Giorgi Chitaia. The museum covers 14 ethnographic zones: Kartli, Samegrelo, Adjara, Abkhazia, Svaneti, Khvetsureti, Kakheti, Meskheta, Javakheti, Guria, Imereti, Racha and Lechkhumi. Each exhibit presents a certain historic-ethnographic area of Georgia. The museum exhibits various tools, textiles and ceramics.

Throughout the year the museum hosts different festivals, exhibitions and events. Here, you can have a good rest in the open air and get acquainted with various regions of Georgia.

It is difficult to dedicate only one article to all those important treasures, exhibitions or museums, which are an integral part of Georgian culture and which were being created for centuries. Now, it is our major task to protect these treasures, to share them with the world and hand them over to our future generations.

We cannot finish talking about Georgian treasures without mentioning Pirosmiani. The outstanding Geor-

წარმოდგენილია ნიკო ფიროსმანის, ასევე, ცნობილი ქართველი მხატვრების ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის განახლებული ექსპოზიციები. გარდა ამისა, ეროვნული გალერეის სხვა დარბაზებში პერმანენტულად იმართება როგორც ქართველი, ისე უცხოელი თანამედროვე მხატვრების გამოფენები.



ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების მუდმივი ექსპოზიციაა სიღნაღის მუზეუმშიც. ფიროსმანი კახეთში, სოფელ მირზაანში დაიბადა და მისი ადრეული ნამუშევრები ამ რეგიონის კულტურას და სულისკვეთებას გამოხატავენ. მისი მხატვრობა გამოირჩევა თვითმყოფადობით და უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული კულტურისთვის, არამედ მსოფლიო ხელოვნებისთვისაც.

თანამედროვე სამყაროში მუზეუმის კონცეფცია შეიცვალა. ის უკვე აღარ არის ადგილი, სადაც დამტკვრილი ექსპონატების კონსერვაცია და მხოლოდ დროდადრო გამოფენა ხდება. დღეს მუზეუმი ურბანული ცხოვრების ნაწილი გახდა. იქ მისულ დამთვალიერებელს საინტერესოსთან ერთად, სასაიმოვნო გარემოც უნდა დახვდეს.

„საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოდერნიზაციის მიზნით, პროექტის „მუზეუმების უბნის“ განხორციელება იგეგმება. ამ პროექტის განხორციელება სამუშაოებს მოგვცემს, მუზეუმი გადავაქციოთ თანამედროვე, ნოვატორულ და კრეატიულ დანესებულებად, კულტურის იმ ცენტრად, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ურბანულ და სოციალურ ქსელში“, – ამბობს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე.

რამდენიმე წლის წინ ბერლინის მუზეუმების კუნძულმა ხუთი მუზეუმი ერთ სისტემად ჩამოაყალიბა. ამით გერმანელებმა შენობების დაგეგმარების, კოლექციების მართვისა და მათი ექსპონირების სრულიად უნიკალური კონცეფცია შესთავაზეს როგორც საერთაშორისო სამუზეუმო წრეებს, ისე დამთვალიერებლებს. თბილისის

გიან პიროსმანის XIX-XX საუკუნეების ნამუშევრები არასოდეს დაკარგეს საზოგადოებრივი ინტერესი. საქართველოში, მუზეუმის ხელოვნების დარბაზში ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების დიდი კოლექცია ინახება. თუმცა, გასული საუკუნის განმავლობაში, მუზეუმის გარეშე ხშირად იმართებოდა მისი ნამუშევრების გამოფენები. ამჟამად, ეროვნული გალერეა წარმოადგენს მისი ნამუშევრების მუდმივ ექსპოზიციას.

ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების მუდმივი ექსპოზიციაა სიღნაღის მუზეუმშიც. ფიროსმანი კახეთში, სოფელ მირზაანში დაიბადა და მისი ადრეული ნამუშევრები ამ რეგიონის კულტურას და სულისკვეთებას გამოხატავენ. მისი მხატვრობა გამოირჩევა თვითმყოფადობით და უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული კულტურისთვის, არამედ მსოფლიო ხელოვნებისთვისაც.

თანამედროვე სამყაროში მუზეუმის კონცეფცია შეიცვალა. ის უკვე აღარ არის ადგილი, სადაც დამტკვრილი ექსპონატების კონსერვაცია და მხოლოდ დროდადრო გამოფენა ხდება. დღეს მუზეუმი ურბანული ცხოვრების ნაწილი გახდა. იქ მისულ დამთვალიერებელს საინტერესოსთან ერთად, სასაიმოვნო გარემოც უნდა დახვდეს.

„საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოდერნიზაციის მიზნით, პროექტის „მუზეუმების უბნის“ განხორციელება იგეგმება. ამ პროექტის განხორციელება სამუშაოებს მოგვცემს, მუზეუმი გადავაქციოთ თანამედროვე, ნოვატორულ და კრეატიულ დანესებულებად, კულტურის იმ ცენტრად, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ურბანულ და სოციალურ ქსელში“, – ამბობს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე.

რამდენიმე წლის წინ ბერლინის მუზეუმების კუნძულმა ხუთი მუზეუმი ერთ სისტემად ჩამოაყალიბა. ამით გერმანელებმა შენობების დაგეგმარების, კოლექციების მართვისა და მათი ექსპონირების სრულიად უნიკალური კონცეფცია შესთავაზეს როგორც საერთაშორისო სამუზეუმო წრეებს, ისე დამთვალიერებლებს. თბილისის

გუბერნიის XIX-XX საუკუნეების ნამუშევრები არასოდეს დაკარგეს საზოგადოებრივი ინტერესი. საქართველოში, მუზეუმის ხელოვნების დარბაზში ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების დიდი კოლექცია ინახება. თუმცა, გასული საუკუნის განმავლობაში, მუზეუმის გარეშე ხშირად იმართებოდა მისი ნამუშევრების გამოფენები. ამჟამად, ეროვნული გალერეა წარმოადგენს მისი ნამუშევრების მუდმივ ექსპოზიციას.



მუზეუმების უბნის პროექტიც, სწორედ ამ გამოცდილების გათვალისწინებით კეთდება. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია სახეს შეიცვლის. პროექტი ეროვნული გალერეის, ალექსანდრეს ბაღის, გუდიაშვილის ქუჩის, ს. ჯანაშიასა და შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმებსა და მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს. ტრანსფორმაცია უკვე დაწყებულია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, სადაც ე.წ. უბილეთო ზონაში გაიხსნა კაფე და სუვენირების მაღაზია. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის შიდა ეზო ხშირად მანპინძლობს საინტერესო ღონისძიებებს. სამუზეუმო ქუჩის სრულად ამოქმედების შემდეგ, ეს ეზო ერთ-ერთ ცენტრალურ, დამაკავშირებელ როლს შეასრულებს რუსთაველის გამზირსა და გუდიაშვილის ქუჩას შორის.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი თითქმის საუკუნეს ითვლის.

The history of the Svaneti Museum of History and Ethnography counts almost one century.

mon Janashia Museum of Georgia will be transformed. The project will cover the National Gallery, Alexander Garden, Gudiasvili Street, Janashia and Amiranashvili Museums and adjacent territories. Transformation has already been launched at the Simon Janashia Museum of Georgia, where a café and a gift shop have been opened in the so called "free ticket zone". It should be noted that the museum's courtyard frequently hosts interesting events. After full operation of a museum street, this courtyard will play one of the key connecting roles between the Rustaveli Avenue and the Gudiasvili Street.



ალექსანდრე კართველი –
ამერიკული სამხედრო
ავიაციის შემოქმედი

ALEXANDER KARTVELI –
CREATOR OF AMERICAN
MILITARY AVIATION

სოფო კვინტრადე
SOPHIE KVINTRADZE



„ჩემი საქმე ყოველთვის უდიდეს ბედნიერებას მანიჭებდა. წარმოიდგინეთ, 2 ან 3 წელი ახალი თვითმფრინავის დიზაინზე მუშაობ და ბოლოსდაბოლოს ის გაფრინდება – ამ კმაყოფილებას ვერანაირი ფულით ვერ იყიდი. რწმენა და მონდომება გემატება, გინდა უფრო მეტს მიაღწიო მომავალში. აერონავტიკა ძალიან სტრესული საქმეა, შენ ადამიანების სიცოცხლეზე აგებ პასუხს, პილოტი, რომელიც 50 ათასი ფუტის სიმაღლეზე დაფრინავს, თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს. ხოლო, თუ ეს სამგზავრო თვითმფრინავია, მაშინ შენ ასობით ადამიანის სიცოცხლეზე ხარ პასუხისმგებელი. ამიტომ, ამ საქმეში ვერ მოიტყუებ, ვერ იეშმაკებ, 100 პროცენტით დარწმუნებული უნდა იყო, რომ ყველაფერი სწორად გააკეთე. ეს ძალიან რთულია, ზოგჯერ ღამეები არ გძინავს, არაფერს ჭამ, არ სვამ, მხოლოდ ელოდები, როდის გაფრინდება შენს მიერ შექმნილი მოწყობილობა. და, როცა წარმატებით გაფრინდება, ყველა სირთულე გავიწყდება რაც გადაიტანე“, – ეს სიტყვები ეკუთვნის ქართველ ავიაკონსტრუქტორს ალექსანდრე ქართველს (ქართველიშვილს), რომელსაც ამერიკული სამხედრო ავიაციის ერთ-ერთ ფუძემდებელს უწოდებენ.

ცნობები ალექსანდრე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საბჭოთა პერიოდში სრულიად გასაიდუმლოებული იყო, ამიტომ დიდი ხნის მანძილზე ქართველებმა არაფერი იცოდნენ თავიანთი თანამემამულის შესახებ.

1960 წელს, კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარმა კენეტ ლეიშმა ალექსანდრე ქართველთან ჩანერა ინტერვიუ, სადაც ავიატორი გულახდილად საუბრობდა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს ინტერვიუ გარდა იმისა, რომ ამერიკული სამხედრო ავიაციის განვითარების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, თავად ალექსანდრე ქართველის პიროვნების შესახებაც ბევრ საინტერესო ფაქტს გვაწვდის.

ალექსანდრე ქართველი 1896 წელს დაიბადა, სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის საიმპერატორო არმიაში მსახურობდა. „მე

“My work always made me very happy. Just imagine, after working for two or three years on a design of a new plane it will fly eventually – you can’t buy such feeling of being content. Your trust and enthusiasm increases, you want to achieve more in the future. Aeronautics is a very stressful work. You become responsible for lives. A pilot, who is flying at 50 000 feet, must be feeling safe, while if it is a passenger plane, you become responsible for lives of thousands of people. Therefore, you can’t cheat in this line of work, you can’t trick anyone, you must be 100 percent sure that you did everything right. This is very difficult. Sleepless nights, no eating, no drinking, only waiting for the time your creation will fly, and when it does so successfully you forget all challenges that you went through”, – these are the words of Georgian aircraft constructor Alexander Kartveli (Kartvelishvili), who is often referred to as one of the founders of Georgian military aviation.

Information about life and work of Alexander Kartveli was kept in secret during the Soviet times and therefore, for a long time Georgians knew nothing about their fellow-countryman.

In 1960, Kenneth Leish, researcher of Columbia University interviewed Alexander Kartveli. During the interview the aviator spoke openly about his life and work. In addition to the fact that the interview contains information important for the development of the US military aviation, it also provides a number of interesting facts from the life of Alexander Kartveli himself.

საარტილერიო ოფიცერი ვიყავი, ამ დროს ავიაციის არაფერი გამეგებოდა. როდესაც ჩემმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მე საქართველოს არმიას შევუერთდი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ წავაგეთ. იძულებული ვიყავი საქართველო დამეტოვებინა და საფრანგეთში გავემგზავრე. სწორედ იქ მივიღე განათლება ავიაციაში“, – ამბობდა ალექსანდრე ქართველი.

ქართველმა იცოდა, რომ მომავალში ავიაცია უდიდეს როლს შეასრულებდა სამხედრო საქმეში, ამიტომ ამ სფეროს შესწავლა გადწყვიტა და პარიზის ავიაციის უმაღლესი სკოლა დაამთავრა. სწავლის პერიოდში არანაირ სამუშაოს არ ერიდებოდა, რათა საარსებო სახსრები გამოემუშავებინა, მუშაობდა აკრობატად ცირკში და მათემატიკის მასწავლებლად. სწავლის დასრულების შემდეგ კი ორი დიპლომი მიიღო – აერონავტიკის ინჟინერიაში და ელექტროინჟინერიაში. კარიერის გაგრძელება ავიაციაში არჩია და პირველი ნაბიჯებიც ახალბედა ავიაკონსტრუქტორმა სწორედ საფრანგეთში გადადგა. ის ცნობილი ფრანგი ავიატორის ლუი ბლერიოს კომპანიაში მუშაობდა, სადაც მონაწილეობა მიიღო თვითმფრინავების “Bernard” და “Ferberois” შექმნაში.

1927 წელს, ცნობილი ამერიკელი მულტიმილიონერის ჩარლზ ლევის მინვესტი, ალექსანდრე ქართველი სამუშაოდ შეერთებულ შტატებში გადადის. ლევის ოცნება იყო ისეთი თვითმფრინავის შექმნა, რომლითაც ატლანტის ოკეანეს გადაკვეთდა. მცირე ზომის ორადგილიან თვითმფრინავს, რომელიც მთლიანად ლითონისგან იყო დამზადებული “Uncle Sam” უწოდეს. ალექსანდრე ქართველის მიერ შექმნილი ეს საფრენი აპარატი ერთ-ერთი პირველია მთლიანად მეტალისგან დამზადებულ თვითმფრინავებს შორის.

ალექსანდრე ქართველის ცხოვრებაში რთული პერიოდი დაიწყო დიდი დეპრესიის დროს, როცა ავიაციისთვის არავის ეცალა. „ბევრი უბედურება გამოცხადდა, რომ თავი გამეტანა, მაგრამ მაინც მოვახერხე, რადგან ნიუ-იორკში ვცხოვრობდი. ნიუ-იორკი კი ის ქალაქია, სადაც შიმშილით არავინ კვდება. ყოველთვის შეიძლება რაიმე სამსახურის შოვნა. ასე, რომ მანქანებსაც ვრეცხავდი, ქუჩებსაც ვწმენდი და თავი გამქონდა“, – იხსენებდა ალექსანდრე ქართველი.

“F-105 thunderchief”-ზე მუშაობის პროცესი
Working on F-105 thunderchief



Alexander Kartveli was born in 1886. He went to Gymnasium for the nobility and served in Imperial Army of Russia. **“I was an artillery officer, I knew nothing about aviation at that time. When my country declared independence, I joined Georgian army in their battle against the Bolsheviks but we lost. I was forced to leave the country. I left for France, the place where I received my education in aviation”,** – says Alexander Kartveli.

He knew that aviation would play the greatest role in military affairs and therefore, he decided to study it and graduated from the higher education institute of aviation in Paris. While a student he did everything to make a living – he worked as an acrobat in circus, as a math teacher. After completing her studies he was awarded two diplomas – one in aeronautics engineering and another in electro-engineering. He decided to pursue career in aviation and the new aircraft constructor made his very first steps in aviation in France. He worked for a company of a renowned French aviator Louis Blériot, where he participated in construction of Bernard and Ferbois aircrafts.

In 1927, having accepted the invitation of a famous American multi-millionaire Charles Levine, Alexander Kartveli moved to the US for work. Levine dreamed of constructing an airplane that would cross the Atlantic Ocean. A small all-metal plane with only two seats was called Uncle Sam. The plane constructed by Alexander Kartveli was one of the first all-metal aircraft.

Difficult times in Alexander Kartveli’s life started during the Great Depression when aviation was least of everyone’s concern. **“I went through so much trouble to make a living but I did it, as I lived in New York. New York is the city where no one dies of hunger. You can always find a job there. So I started washing cars, cleaning streets and made a living”,** – recollected Alexander Kartveli.

After several months he started working in a company Fokker Aircraft in New Jersey, where he was offered a good position and a salary. He was in constant search and managed to receive consent by the company’s management to develop



რამდენიმე თვეში ალექსანდრე ქართველმა დაიწყო მუშაობა ნიუ-ჯერსიში კომპანიაში "Fokker Aircraft", სადაც მას კარგი თანამდებობა და ხელფასი შესთავაზეს. მუდმივ ძიებაში იყო და კომპანიის ხელმძღვანელობა მთლიანად ლითონისგან შექმნილი თვითმფრინავის გაკეთებაზე დაითანხმა. სამხედრო-საჰაერო ძალებში ფრთხილად ეპყრობოდნენ ინოვაციებს, თუმცა, მხარს უჭერდნენ ექსპერიმენტებს და ყურადღებით აკვირდებოდნენ მათ. ექსპერიმენტმა გაამართლა, თვითმფრინავმა წარმატებით გაიარა გამოცდა და ის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციას გადაეცა.

1931 წელს ქართველი საავიაციო საქმის მეორე ცნობილ ინჟინერს ალექსანდრე სევერსკის შეხვდა. "Seversky Aircraft Corporation"-ში კიდევ ერთი ეროვნებით რუსი კონსტრუქტორი მუშაობდა. სამმა კოლეგამ იდეები გააერთიანა და ახალ პროექტებზე დაიწყო მუშაობა. დიდი დეპრესიის შემდგომი ფინანსური სიდუხჭირის მიუხედავად, კომპანიამ მაინც შეძლო ახალი თვითმფრინავის "Seversky Amphibian"-ის შექმნა და პირველი შეკვეთაც მიიღო – თვითმფრინავი კოლუმბიაში გაიყიდა. ამის შემდეგ, კომპანიამ შეკვეთები აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებისგანაც მიიღო.

"Seversky Aircraft Corporation"-ში შექმნილმა შემდგომმა პროექტებმა ალექსანდრე ქართველი მსოფლიოს წამყვან კონსტრუქტორთა რიგებში ჩააყენა. ამ პერიოდში შექმნილი ცნობილი თვითმფრინავებია "P-35" და "SEV-3", რომლებმაც 1936 წელს სიჩქარის მსოფლიო რეკორდები დაამყარეს.

1938 წლიდან ალექსანდრე სევერსკი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა, კომპანიას კი შეუცვალეს სახელი და დაარქვეს "Republic Aviation Corporation", რომლის ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ინჟინერიც ალექსანდრე ქართველი გახდა.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის "Republic Avia-

„კარგი ავიაკონსტრუქტორი უნდა იყოს ინჟინერი, მათემატიკოსი და მეოცნებე“, – ამბობდა ალექსანდრე ქართველი.
"A good aircraft constructor must be an engineer, mathematician and a dreamer", – says Alexander Kartveli.

an all-metal aircraft. Innovations were treated with extra caution in military aviation but they supported experiments and observed them carefully. The experiment was successful. The plain was successfully tested and handed over to the US military aviation.

In 1931 he met another famous engineer of aviation Alexander Seversky. There was one Russian constructor working at Seversky Aircraft Corporation. The three colleagues combined their ideas and started working on new projects. Despite financial hardships followed by the Great Depression, the company was able to develop a new aircraft *Seversky Amphibian* and received its first order – the aircraft was sold in Columbia. After this fact the company received orders from the US military aviation forces.

Projects realized in *Seversky Aircraft Corporation* turned Alexander Kartveli into one of the leading aviation constructors throughout the world. Famous aircrafts developed at that time include "P-35" and "SEV-3" that established a world speed record.

In 1938 Alexander Sversky resigned from his position as a president. The company was renamed to the *Republic Aviation Corporation* and Alexander Kartveli became its Vice-President as well as lead engineer.

tion Corporation"-მა ამერიკის სამხედრო-საჰაერო კორპუსთან დაიწყო თანამშრომლობა. სახელმწიფომ კომპანიას 56 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გაუფორმა "P-35"-ის გაუმჯობესებული ვერსიის შესაქმნელად.

1940 წლის სექტემბერში, ოჰაიოში გამართულ შეხვედრაზე მთავრობის წარმომადგენლებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენეს და ალექსანდრე ქართველს ახალი თვითმფრინავის შექმნა სთხოვეს. ალექსანდრემ, რომელიც ყოველთვის თან ატარებდა ფანქარსა და უბის ნიგნაკს, მაშინვე დაიწყო თვითმფრინავის ესკიზის შექმნა. ეს იყო ცნობილი ბომბდამშენი "P-47 Thunderbolt".

1940 წელი კომპანიისთვის დიდი წარმატების წელი იყო – გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა და ქარხნის მოცულობა. ალექსანდრე ქართველი გუნდური მუშაობის პრინციპს აფასებდა, მან თავის ირგვლივ იმ დროისათვის საუკეთესო სპეციალისტები შემოიკრიბა. 1940 წელს ქართველი მუშაობდა თვითმფრინავზე "P-47"-ზე, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა სამხედრო ავიაციის ისტორიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ამ თვითმფრინავებით 54600 საბრძოლო ოპერაცია განხორციელდა, რომლის დროსაც გაანადგურეს და დააზიანეს მტრის 12 000-მდე თვითმფრინავი, 86 000 მანქანა, 6000 ტანკი და ჯავშანმანქანა. 1945 წლამდე კომპანიამ "Republic Aviation Corporation" გამოუშვა 16000 "Thunderbolt" და საბრძოლო თვითმფრინავების უდიდესი მწარმოებელი გახდა მსოფლიოში.

მოგვიანებით, გააუმჯობესეს თვითმფრინავების სიჩქარე და "Thunderbolt"-მა პროპელერული თვითმფრინავებს შორის რეკორდული სიჩქარე – საათში 506 მილი განავითარა. ალექსანდრე ქართველი ამაცობდა ამ თვითმფრინავით, არაერთმა პილოტმა მას მაღლობაც გადაუხადა, რადგან ომის დროს "Thunderbolt" ყველაზე სანდო თვითმფრინავი იყო, რომელსაც შეეძლო დაზიანებული ფრთითაც უსაფრთხოდ დაესვა პილოტი მიწაზე.



"A-10 Thunderbolt"

A-10 Thunderbolt

At the start of the World War II, the Republic Aviation Corporation started cooperation with the US military aviation corps based on a contract worth USD 5 million to create an improved version of "P-35".


In September 1940 during a meeting in Ohio, Government officials presented their new demands for development of a new aircraft. Alexander, who always had a pencil and a notebook with him, started sketching an aircraft. This was the famous fighter aircraft P-47 Thunderbolt.

1940 was the year of success for the company – number of employees increased, so did the volume of the factory. Alexander Kartveli respected teamwork. He surrounded himself with the best specialists of that time. In 1940 they started working on P-47 which left the greatest trace in the history of military aviation. 54600 military operations were conducted by these aircrafts during the World War II, destroying and damaging up to 12 000 aircrafts of the enemy, 86 000 vehicles, 6000 tanks and armored vehicles. By 1945 the Republic Aviation Corporation had produced 16 000 Thunderbolts and became major producer of fighting aircrafts throughout the world.

Later it improved speed of the aircrafts and Thunderbolt was able to develop a record speed at 506 miles per hour among the propeller aircrafts. Alexander Kartveli was proud of the aircraft; many pilots thanked him as Thunderbolt was the most reliable aircraft that could safely land even with a damaged wing.

Following the war Alexander Kartveli created many fighting aircrafts. Each model was better than the previous and improved. The Republic Aviation Corporation also started producing turbojet fighter-bombers F-84 Thunderjet that flew at 600 miles per hour. At the same time, Aleksandre Kartveli considered as his main achievement

თვითმფრინავი "F-84 Thunderjet" საათში 600 მილის სიჩქარეს ავითარებდა.
Turbojet F-84 Thunderjet flew at 600 miles per hour.



ალექსანდრე ქართველის მიერ შექმნილი თვითმფრინავები
Aircrafts created by Alexander Kartveli

ომის შემდგომ პერიოდში ალექსანდრე ქართველმა არაერთი საბრძოლო თვითმფრინავი შექმნა. ყოველ ჯერზე ახალი, გაუმჯობესებული ვარიანტები იქმნებოდა. "Republic Aviation Corporation"-მა, ბომბდამშენების კვლავდაკვალ, ახალი მოიერიშე თვითმფრინავის გამოშვება დაიწყო. პირველ რიგში, ეს იყო თვითმფრინავი "F-84 Thunderjet", რომელიც საათში 600 მილ სიჩქარეს ავითარებდა. ამის პარალელურად, ამ პერიოდის მთავარ მიღწევად ალექსანდრე ქართველს სამგზავრო ლაინერის "Rainbow"-ს შექმნა მიაჩნდა, რომელიც დროს უსწრებდა. იმ პერიოდისთვის მხოლოდ მას შეეძლო საათში 450 მილის სიჩქარით ეფრინა. ეს ტრანსატლანტიკური ავიალაინერი, რომელიც ნიუ-იორკიდან ევროპაში დაფრინავდა, სულ 26 გამოუშვეს. 20 ავიაკომპანია "American Airlines"-მა იყიდა, ხოლო 6 ავიაკომპანია "Pan-American"-მა. მაგრამ, ფინანსური სირთულეების გამო, ამ საქმის გაგრძელება კომპანიამ ვერ შეძლო, რასაც მთელი ცხოვრება ძალიან ნანობდა ალექსანდრე ქართველი. „ეს უდიდესი ტრაგედია იყო ჩემს ცხოვრებაში, რადგან, თუ ამ მიმართულებით მუშაობას გავაგრძელებდი, მომავალში დიდი ბომბდამშენების და ტრანსატლანტიკური ავიალაინერების აშენებას შევძლებდით, მაგრამ ეს შესაძლებლობა ჩვენ ხელიდან გავუშვი“, – ამბობდა ავიატორი სინანულით.

passenger liner *Rainbow* that was well ahead of time. It was the only aircraft that could develop the speed of 450 miles an hour. This Trans-Atlantic airplane that flew from New York to Europe was produced total of 26. 20 of these liners were bought by *American Airlines* and six by *Pan-American*. Due to the financial hardships the company could not continue its work, which Alexander Kartveli regretted throughout his lifetime. **"This was the greatest tragedy in my life as if we continued our work in this direction, we would have been able to build bigger bombers or Trans-Atlantic liners but we missed the opportunity"**, – said the aviator with regret.

The company continued production of military aircrafts. The *Republic Aviation Corporation* produced first supersonic attack aircraft. The most successful out of these models was *F-105*, a fighter bomber whose speed exceeded the speed of sound two times. The aircraft was actively tested by the US military air forces during the war in Vietnam.


Almost all of the models and designs created by the Georgian aircraft engineer are protected in the US

კომპანიამ კვლავ სამხედრო თვითმფრინავების გამოშვება გააგრძელა. 50-იან წლებში "Republic Aviation Corporation"-მა პირველი მოიერიშე თვითმფრინავი გამოუშვა, რომელიც ზებგერით სიჩქარეს ავითარებდა. ასეთ მოდელს შორის ყველაზე წარმატებული "F-105" გამოდგა, მოიერიშე-ბომბდამშენი, რომლის სიჩქარე ბგერის სიჩქარეს 2-ჯერ აღემატებოდა. ეს თვითმფრინავი აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებმა აქტიურად გამოსცადეს ვიეტნამის ომში.

ქართველი ავიაკონსტრუქტორის მიერ შექმნილი პრაქტიკულად ყველა მოდელი და დიზაინი დაცულია ამერიკის შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების ოფისში. ამერიკაში ალექსანდრე ქართველის 30-მდე სხვადასხვა ტიპის სამხედრო თვითმფრინავის მოდელია რეგისტრირებული.

ავიაკონსტრუქტორის აზრით, თვითმფრინავი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ვიზუალურად მიმზიდველი. ამბობდა, რომ გარეგნული მხარე და აეროდინამიკური დახვეწილობა თანაბრად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რადგან მხოლოდ ასეთი თვითმფრინავები გახდებოდა წარმატებული. მას ხშირად უხდებოდა თავისი იდეებისათვის ბრძოლა, რადგან გარეგნული ელეგანტურობა და დახვეწილობა უფრო მეტ თანხებს მოითხოვდა, მაგრამ ალექსანდრე ქართველი არასდროს მიდიოდა კომპრომისებზე.

როდესაც ჰკითხეს, რით ამაყობდა ყველაზე მეტად ცხოვრებაში, ან ჰქონდა თუ არა ისეთი წუთები, როცა ნამდვილად გრძნობდა კმაყოფილებას, მან უპასუხა: „რა თქმა უნდა, ასეთი წუთები ბევრი ყოფილა. მაგალითად, "P-47"-ით ძალიან ვამაყოფ, რადგან მცირედი წვლილი



„P-47“-ის წარმოება
Production of P-47

Patents and Trademarks Office. 30 different models of military aircrafts designed by Alexander Kartveli are now registered in the US.

He believed that an aircraft should have a visual attractiveness. He used to say that appearance and aerodynamic sophistication should be equally displayed by an aircraft, as these were the only types of aircrafts that were bound to be successful. He often had to fight for his ideas, as elegance and sophistication required much more funding but Alexander Kartveli never compromised.

When he was asked what he was most proud of in his life and whether he had experienced moments when he was really satisfied, he responded: **“of course, there were many of such moments. For example, I am very proud of P-47 as it is my smallest contribution to winning the war. I was also very happy when I was working on passenger planes. I was hoping to make even better passenger aircraft liners. I strongly believe that it is the noble goal of aviation to make people’s lives easier, bring countries closer to each other and promote their friendships. When I am doing such work I feel that I am doing something good for the humanity.**

One should certainly care for the development of military aviation; otherwise, one day some stranger will come and instruct you what to do in your own country; on the other hand, working on fighter aircrafts is very depressing. Therefore,

მიღებული ჰქონდა აშშ-ს მეცნიერების ეროვნული მედალი, არჩეული იყო აშშ-ს საინჟინრო აკადემიის საპატიო წევრად.

He was awarded the US national medal for sciences and was elected as a honorary member of the US Engineer Academy.



მეც მიმიძღვის ომის მოგებაში. ასევე, ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა სატრანსპორტო თვითმფრინავებზე ვმუშაობდი, იმედი მქონდა, რომ უკეთეს სამგზავრო ლაინერებსაც გავაკეთებდით. მე ღრმად მნამს, რომ ავიაციის კეთილშობილური მიზანი არის ადამიანებისთვის ცხოვრების გაადვილება, ქვეყნების კიდევ უფრო დამეგობრება და დაახლოება. როცა ასეთ სამუშაოს ვასრულებ, ვგრძნობ, რომ კაცობრიობისთვის სიკეთე მომაქვს.

რა თქმა უნდა, სამხედრო ავიაციის განვითარებაზე უნდა იზრუნო, თუ არ გინდა, რომ ერთ დღეს ვილაც გადამთიელი მოგადგეს და გიკარნახოს შენს ქვეყანაში რა და როგორ გააკეთო. მაგრამ, მეორე მხრივ, მუდმივად ავიაგამანადგურებლებზე მუშაობა, დამთრგუნველია. ამიტომ, მე მჯერა, რომ ავიაციის მომავალი მის კეთილშობილურ მიზნებშია, მისი გაუმჯობესება კაცობრიობის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს.“

პროფესიულ წრეებსა და კომპანიაში ის „მისტერ ქართველი“ იყო, მეგობრები კი საშას ეძახდნენ. მას მიღებული ჰქონდა აშშ-ს მეცნიერების ეროვნული მედალი და არჩეული იყო აშშ-ს საინჟინრო აკადემიის საპატიო წევრად, ასევე, იყო ტემპლისა და ბრუკლინის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორიც.

თავისუფალ დროს, რაც არც ისე ბევრი იყო მის ცხოვრებაში, სახლში ატარებდა. მეგობრები იხსენებდნენ, რომ ასეთ დროს ის ხშირად მღეროდა ქართულ სიმღერებს, აგროვებდა კომიქსების ჟურნალებს, სადაც კოსმოსური ხომალდების შესახებ ფანტასტიკურ ნახატებს ბეჭდავდნენ. ალექსანდრე ქართველი განსაცვიფრებელი მეხსიერებით გამოირჩეოდა, მან იცოდა ხუთი ენა, მათ შორის ლათინურიც. გონებაში ურთულესი მათემატიკური ამოცანების გამოყვანა შეეძლო, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. ჰყავდა მეუღლე – ჯინ რობინსი, რომელიც მშვენივრად ერკვეოდა აერონავტიკაში. დაქორწინებამდე რამდენიმე წელი ჯინი კომპანიაში ალექსანდრეს პირად მდივნად მუშაობდა. ალექსანდრე ქართველი მეუღლესთან ერთად ნიუ-იორკში ცხოვრობდა, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1974 წელს. სამწუხაროდ, მას შთამომავლები არ დარჩენია.

„კარგი ავიაკონსტრუქტორი უნდა იყოს ინჟინერი, მათემატიკოსი და მეოცნებე. მას მოთმინებაც უნდა ჰქონდეს და ფანტაზია. უნდა იცოდეს როდის შეჩერდეს და ყოველთვის შესწევდეს ძალა, რომ წინ წავიდეს“, – ამბობდა ალექსანდრე ქართველი.

იმისთვის, რომ ალექსანდრე ქართველის შესახებ საქართველომ და მსოფლიომ მეტი გაიგოს, ქართულმა მხარემ, აშშ-ს მხარდაჭერით, მოამზადა პროექტი „ალექსანდრე ქართველიშვილი და აშშ-ს სამხედრო ავიაცია“. პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია ლეგენდარულ ავიატორზე მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის გადაღება და ინგლისურ-ქართულ ენებზე წიგნის გამოცემა. საქართველოში კი უნდა გაიხსნას ალექსანდრე ქართველის მუზეუმი, რომლის მთავარი ექსპონატი მის მიერ შექმნილი ერთ-ერთი თვითმფრინავი იქნება. თვითმფრინავს ამერიკის მხარე საქართველოს საჩუქრად გადასცემს.



ამერიკაში ქართველის 30-მდე სხვადასხვა ტიპის სამხედრო თვითმფრინავის მოდელია რეგისტრირებული.

30 different models of military aircrafts designed by Alexander Kartveli are now registered in the US.

I believe that the future of aviation is in its noble goals, its improvement should serve purpose of securing welfare for the humanity."

In professional circles and the company he was addressed as *Mr. Kartveli*, while his friends called him Sasha. He was awarded the US national medal for sciences and was elected as an honorary member of the US Engineer Academy. He was also an honorary doctor of Temple and Brooklyn universities.

He spent his free time, which he did not have much, at home. His friends recall that he used to sing Georgian songs, collected comic books with fantasy drawings about cosmic aircrafts. Alexander Kartveli had an amazing memory. He spoke five languages, including Latin and was able to find solution to the most difficult mathematic problems in his mind. He knew *Knight in the Panther's Skin* by heart. Her spouse Jean Robins was very knowledgeable about aeronautics. Before getting married Jean worked at the company as Alexander's personal assistant. Alexander Kartveli lived in New York with his wife and there he died in 1974, without leaving an offspring.

"A good aircraft constructor must be an engineer, mathematician and a dreamer. He should also have a patience and fantasy. He must know when to stop and must always be able to move forward", – said Alexander Kartveli.

In order to spread more information about Alexander Kartveli in Georgia and the world, the Georgian side with the US support has prepared a project entitled *Alexander Kartvelishvili and the US Military Aviation*. In the framework of the project it is planned to produce a documentary-fiction film about the legendary aviator and publish a book in Georgian and English languages. Alexander Kartveli's museum will be opened in Georgia with one of the planes created by him as a main exhibit, which the US side will present to the Georgian side as a gift.

www.sakpatenti.org.ge

დაგეგმილია საქპატენტის პოლიგრაფიაში
მის.: 0179, თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31
ტელ.: (+995 32) 291-71-82

PRINTED AT SAKPATENTI PUBLISHING HOUSE
ADDRESS: 0179 TBILISI, NINO RAMISHVILI STR. 31
TEL.: (+995 32) 291-71-82

info@sakpatenti.org.ge

